

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ბერიძე ცისნამი

დანდალოს მეტყველების თავისებურება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - ელზა ფუტკარაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2019

5

## ანოტაცია

ქართული ენის დიალექტთა შორის აჭარულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ისტორიულად გარკვეული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. შესაბამისად, მისი ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ჩვენი კვლევის მიზანია ზემოაჭარული კილო-კავის ერთ-ერთი თქმის- დანდალოს მეტყველებაზე დაკვირვება, მეტყველების თავისებურებათა წარმოჩენა, ფორმათა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური კუთხით განხილვა. ამ მიზნით აღნიშნულ არეალში ჩავიწერეთ დიალექტოლოგიური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტები, რომელთა ანალიზმა მოგვცა საინტერესო ლინგვისტური სურათი.

გამოვლინდა არაერთი სახასიათო ენობრივი ფორმა. გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება. მეტყველება საინტერესო აღმოჩნდა ლექსიკის კუთხითაც. კერძოდ, გვხვდება არქაული ფორმები, საკუთრივ დიალექტიზმები, უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები, ზანიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმები.

მეტყველების თავისებურებანი შედარებულია სხვა დიალექტების მონაცემებთან, რათა უკეთ წარმოგვეჩინა ზემო აჭარულის, კერძოდ, დანდალოს მეტყველების თავისებურება.

კვლევისას გამოვიყენეთ მასალის შეკრება-ჩანერისათვის აპრობირებული ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზის მეთოდები და ხერხები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა ხელს შეუწყობს ზოგადად აჭარული დიალექტის სრულყოფილ შესწავლას და საერთოდ, დიალექტის შესწავლა თქმისა თუ ქცევის დონეზე დეტალურ, სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის სამხრულ - დასავლური დიალექტური ჯგუფის პროფილის განსაზღვრაში.

## **Anotation**

### **Some Peculiarities of Dandalo Speech**

**Tsisnami Beridze**

Among the Georgian dialects the Adjarian one is particularly significant. It has already had historical importance for the development of Georgian literature language. Accordingly, it is urgent to study this dialect from the scientific point of view.

The goal of our research is to observe the speech of village Dandalo, which is one of the forms of Upper Adjarian dialect, to show the peculiarities of this speech, to consider it from the phonetical, morphological, syntactical and lexical point of view. For this purpose, we have recorded the texts with dialectological, folklore and ethnographic character; Their analysis have introduced a very interesting linguistic picture.

We have managed to reveal a lot of characteristic language forms, different phonetic, morphological and syntactical peculiarities have been identified. The speech is considered to be interesting from the lexical point of view, particularly, archaic forms, specific dialectic samples, vocabulary units established by the influence of foreign language, figurative words and expressions.

Speech peculiarities are compared with the data of other dialects in order to represent the particular features of Upper Adjarian, this time, peculiar forms of the village of Dandalo.

During research we used methods and techniques of historical-comparative, census, analysis and synthesis approved for gathering and recording material.

We think that the given research can support the perfect study of common Adjarian dialect, and generally, dialect study on the word and conduct level will give us an opportunity to define the Profile of the South Western Dialectic groups.

## სარჩევი

შესავალი-----	5 გვ.
I თავი - ფონეტიკური თავისებურებანი-----	9 გვ.
II თავი - მორფოლოგიური თავისებურებანი -----	23 გვ.
III თავი - სინტაქსური თავისებურებანი -----	36 გვ.
IV თავი - ლექსიკური თავისებურებანი -----	38 გვ.
დასკვნები -----	58 გვ.
გამოყენებული ლიტერატურა -----	66 გვ.
დანართი -----	68 გვ.

## შესავალი

ქართული ენის დიალექტთა შორის აჭარულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ისტორიულად გარკვეული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. შესაბამისად, მისი ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

აჭარული დიალექტი, კერძოდ, ზემო აჭარული, მესხურ-იმერხეულ დიალექტებთან მჭიდრო კავშირშია და მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა ვიქონიოთ სამხრულ-დასავლური კილოების მეტყველებაზე.

აჭარული კილო გავრცელებულია არამართო აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონები), არამედ ჩოხატაურის რაიონის (გურია) სამ სოფელში (ზოტი, ჩხაკაურა, ქვაბლა), სადაც ზემო აჭარიდან გადასახლებულან XX საუკუნის 70-იან წლებში. დღეისთვის აჭარული დიალექტი გურიის გარდა, ისმის საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც აჭარელთა მასობრივი ჩასახლება მოხდა. აჭარულ დიალექტზე საუბრობენ, ასევე, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში (ინეგოლი, უნია, ფაცა, იზმირი, ამასია, ადანა და სხვ.) ცხოვრობენ [ნოლაიდელი, 2013:3].

ისტორიული ბედუკულმართობის გამო აჭარული კილო დიდი ხნის განმავლობაში დაშორებული იყო სალიტერატურო ენას. მიუხედავად ამისა, ზემო აჭარულმა შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ენობრივი კონტაქტების შედეგად აჭარულში შემოვიდა უცხოური სიტყვები, მაგრამ მისი ლექსიკური შედგენილობა ძირითადად უცვლელი დარჩა.

აჭარული მეტყველება საინტერესო სურათს გვიჩვენებს ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური კუთხით. კერძოდ,

ა) აჭარული კილო ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით უახლოვდება როგორც ქართული ენის დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს. ეს სიახლოვე განსაკუთრებით ხელშესახებია, ერთი მხრივ, მესხურთან და იმერხეულთან, ხოლო, მეორე მხრივ, გურულთან.

ბ) აჭარულში დადასტურებულია ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება, ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ თურქთა ასიმილაციური პოლიტიკის გატარების შედეგად დიდი ხნით მონყვეტილი აღმოჩნდა მშობლიური ქართული ენისგან, მისი დიალექტებისგან.

გ) აჭარული კილოს თავისებურებათა შემაპირობებელ გარემოებათაგან ხაზი უნდა გაესვას იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ მასში შეიმჩნევა ჯერ კოლხურის და შემდეგ ზანურის სუბსტრატის კვალი.

დ) აჭარული დიალექტის ხანგრძლივად უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცევამ მასში წარმოაჩინა ენათმეცნიერულად საინტერესო ლექსიკური მასალა [ნიჟარაძე, 1971:6].

აჭარულ დიალექტს არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. აღსანიშნავია მ. ხუბუას შრომა „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა“ (1932 წ). მკვლევარს 1926 წლის ზაფხულში უწარმოებია დაკვირვება ზემო აჭარულზე. ჩანერილ ტექსტთა რაოდენობა მცირეა. მან 100-120 სოფლიდან მოახერხა 10-12 სოფელში ტექსტების ჩაწერა. ბუნებრივია, ეს გამოკვლევა ვერ გვიქმნის სრულყოფილ წარმოდგენას დიალექტის თავისებურებებზე. შესაბამისად, ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ზემო აჭარულის არაერთი თავისებურება.

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული აჭარული კილოს შესწავლის საქმეში ჯ.ნოლაიდელს. მას გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტები: „ნარკვევები აჭარელთა

ყოფა-ცხოვრებიდან“, ბათუმი, 1933; „აჭარის ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1936 და ნარკვევი „აჭარა დიალექტოლოგიურად“, 1933.

აჭარული დიალექტის თავისებურებებს ეხება ქ.ლომთათიძის ორი გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“ ( თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 6, 1938) და „დამოუკიდებელ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში („იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946).

საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა აჭარის მოსახლეობის მეტყველების შესწავლას პ. ჯაჭანიძემ. მათგან აღსანიშნავია: „აჭარული დიალექტის მორფოლოგიური საკითხები“ (აღ. წულუკიძის სახელობის ქართულის სახელმწიფო პედ ინსტიტუტის 23-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1953) და „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი“ (იმავე ინსტიტუტის 24-ე სესიის თეზისები).

მხატვრულ ლიტერატურაში აჭარული მეტყველების ნიმუშები გვხვდება პ. ლორიასთან, ჭ. ლომთათიძესთან, ზ. გორგილაძესთან, ფ. ხალვაშთან, მ. ვარშანიძესთან.

აჭარული მეტყველების სხვადასხვა საკითხის შესახებ მოსაზრება აქვთ გამოთქმული გ. ახვლედიანს, ვ. თოფურიას, ს. ულენტს, ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურს და სხვებს.

მართალია, არაერთი გამოკვლევა თუ შრომა მიეძღვნა აჭარული კილოს შესწავლას, მაგრამ ზემო აჭარულის მეტყველება სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი.

ჩვენი კვლევის მიზანია დანდალოს მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვება, მეტყველების თავისებურებათა წარმოჩენა, ფორმათა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური კუთხით განხილვა.

ვფიქრობთ, რომ ზემო აჭარული მეტყველების ლოკალური შესწავლა უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის აჭარული დიალექტის შესახებ. ხეობათა თუ სოფლების მიხედვით მეტყველებაზე დაკვირვება და ტექსტების ჩანერა, უფრო მეტ საანალიზო ფორმას გამოავლენს. ამ მიმართებით კვლევა, ბუნებრივია, რომ აქტუალური,

საშური და სიახლის მომცემია. შესაძლებლობა მოგვეცემა უფრო კონკრეტული, დეტალური, სიღრმისეული კვლევისა.

ჩვენ მიერ ჩანერილი მასალა თემატურად მრავალფეროვანია. არის ზღაპრები, შაირები, სიმღერები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები, რომელთა დაკვირვებამ მოგვცა საინტერესო ლინგვისტური სურათი.

გამოვლინდა არაერთი სახასიათო ენობრივი ფორმა. გამოიკვეთა საინტერესო ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოვლინდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც იშვიათად ისმის ცოცხალ მეტყველებაშიც.

განსაკუთრებით საყურადღებო დიალექტის ლექსიკური ნაწილი აღმოჩნდა. დანდალოს მცხოვრებთა მეტყველებაში გვხვდება არქაიზმები, ბანიზმები, საკუთრივ დიალექტიზმები, უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები და საინტერესო ხატოვანი სიტყვა-თქმები.

კვლევისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზის მასალის შეკრება-ჩანერისათვის აპრობირებული მეთოდები და ხერხები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა დაგვეხმარება და ხელს შეუწყობს ზოგადად აჭარული დიალექტის სრულყოფილ შესწავლას და საერთოდ, მისი საფუძვლიანად შესწავლა კი, დეტალურ წარმოდგენას შეგვიქმნის სამხრულ - დასავლური დიალექტური ჯგუფის პროფილის განსაზღვრაში.



## I თავი

### დანდალოს მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი

დანდალოს მეტყველება მდიდარია სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებით. აქ გვხვდება ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა და სხვა ფონეტიკური პროცესები.

**ასიმილაცია:** ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები გვიჩვენებს, რომ ფონეტიკური პროცესებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია ასიმილაციის შემთხვევები. კერძოდ, გავრცელებულია ხმოვანთა რეგრესული, სრული ასიმილაცია.

**აუ-უუ:** წუკერავენ (წუკერავენ), უუცდებოდა (აუცდებოდა), დუუნყო(დაუნყო), წუუკიდებდით (წუკიდებდით), გუუმუსლიმანებიან (გაუმუსლიმანებიან), დუუნყიან (დაუნყიან), გუუსცია (გაუსცია), ჩუუვარდენ (ჩაუვარდენ), დუუნახიან (დაუნახიან), დუუტია (დაუტია), დუუნწერია (დაუნწერია), გუუკეთებია (გაუკეთებია), გუუსინჯავენო (გაუსინჯავენო),

დუესახლებია (დაუსახლებია), დუეკვირდებით (დაუკვირდებით), დუენყევლიან (დაუნყევლიან), გუეკვირდა (გაუკვირდა), გუეჩინდება (გაუჩინდება), დუედვა (დაუდვა), დუნახველი (დაუნახველი), დუედვა (დაუდვა), დუებმავდეს (დაუებმავდეს), გუუფინა (გაუუფინა), დუნყო (დაუნყო), დუედვიან (დაუედვიან), ჩუეყრიან (ჩაუეყრიან), დუეძინებია (დაუძინებია), გუუშვეს (გაუშვეს), დუედებთ (დაუედებთ), დუერიგებთ (დაუერიგებთ), დუეკოჭეს (დაუკოჭეს), დუეყარე (დაუეყარე), წუელე (წაუელე), დუედგმიან (დაუედგმიან), დუეძახა (დაუეძახა), დურგვია (დაურგვია), გუეკეთა (გაუეკეთა), დუეჭირე (დაუეჭირე), დუნგრიე (დაუნგრიე), უესტარიითო (აუსტარიითო), გუეკორწიალდებოლით (გაუეკორწიალდებოლით), ჩუნყიან (ჩაუნყიან), დუებიქსეს (დაუებიქსეს).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ე ხმოვანი გავლენას ახდენს ა ხმოვანზე და გადააქცევს ე ხმოვანად. აქაც ასიმილაცია სრული და რეგრესულია:

აე-ეე: იმ ადგილს დეერქვა (დაერქვა) ნაჭერები; ცოტა წამუწნიე, რომ გენათებია (გაენათებია); დეეხმარა (დაეხმარა) მამაოს სახლის აშენებაში; ამფრათ დეემართა (დაემართა) იმ ღარიბ ბიჭსაც; არც სახენა დეენახა (დაენახა) ვისმეს; იმას ვერვინ გეექცევა (გაექცევა); ამ ადგილს რომ დეესახლებია (დაესახლებია) და სოფელი გეეცოცხლებია (გაეცოცხლებია); იმ დიდი გვარის კაცთანა გეეგზავნა (გაეგზავნა); დეენინ (დაენინ) და მოკლეს; სოინი ჩითის კაბა დეეფრინა (დაეფრინა); იმან კუდზე დეენიკა (დაენიკა); ჩემ ბაღანას ჩემზე რო დეეჭერებია (დაეჭერებია); ჩემი სახლის შენებას დეესართა (დაესართა); ემას რომ გეეღვიძა (გაეღვიძა), ვეხვენე; ღარმის იბრეთი დეემართა (დაემართა); ვუთხარ დავალეხა დეენერა (დაენერა); ჰაცხა თურქეთში დეეთრევა (დაეთრევა); რამე მუსიკა არაა, რომ ჩეენეროთ (ჩაენეროთ); მერე კაც გეეცინა (გაეცინა).

ოუ-უუ: ერთი დღე სტუმრები მუევიდენ (მოუვიდენენ); შააჭმევიდენ და მურჩებოდა (მოურჩებოდა); მოდულები გამუეყენებელ (გამოუყენებელ) ადგილს ქვია; მუნდა (მონდა), რაცხათერ მოსპოს ბიჭი; წინწკალ მუევიდებდა (მოუვიდებდა); კაც ქალი მუევიდებოდა (მოუვიდებოდა); გამუეგზავნიან (გამოუგზავნიან) დიდი გვარის კაცი; აღარ მუევილიან (მოუვილიან); გემში მუეთავსებიან (მოუეთავსებიან); წყალი მუევილია

(მოუვლია);და მიცა გველს; დანანა **მუესვათ** (მოუსვათ); სახლები **მუენყობელი** (მოუნყობელი) იყო; პერანგში არ **ამუედრება** (ამოუდრება); **მუევლეღს** (მოუევლეღს) არ დავტევ; **გამუეხდეღ** (**გამოუხდეღ**) ყვეღს მუყყრიღით; მოსვენება **მუნდა** (მოუნდა) კაცს; ხის ძირში **ნამუეგორდა** (ნამოუგორდა); **მუეყვანდენ** (მოუეყვანდენ) დუენახვეღი; **მუეყვა** (მოუეყვა) ეს ამბავი; მასნა **მუესმინოთ** (მოუსმინოთ); ქალს რომ კაცი **მუეკდება** (მოუკდება); ზოვღი ძალი **მუეყვანია** (მოუეყვანია); მინდორაი **მუეთხრია** (მოუეთხრია); ფხარი **მუეტეხია** (მოუეტეხია); **მუნდენ** (მოუნდენ) მინისტრის შვიღი; ბებიაღის **მუეყვა** (მოუეყვა) ყვეღაფერი; წყალი ვერ **ჩამუეყვანიან** (ჩამოუეყვანიან); სახს მუეხტება (**მოუხდება**) ქალიღ.

**ეუ-ეუ:** მისთვინ **შუეთარებიან** (შეუეთარებიან) თავი; ხელ-ფეხი **შუეკრეს** (შეუეკრეს); გამეიყვანეს **შუეკაზმელი** (შეუეკაზმელი) ცხენები; მეფესაც **შუეგროვებია** (შეუეგროვებია) ვაჟკცები; **შუეკრეფია** (შეუეკრეფია) ახალგაზდეღი; შაქარს **შუერევეთ** (შეუერევეთ) ფერის მისაცემად; **შუეხედავ** (შეუეხედავი), ინვაღიღიც იყო; ჰალა **შუედღია** (შეუედღია), დაბერდა; ბაბამ **შუეცვაღა** (შეუეცვაღა); ფეჩში **შუერთე** (შეუერთე); **შუეჩიჩხინე** (შეუეჩიჩხინე), ნაკვერჩხალი წინ გამეიტაი; საჭმელინა **შუერჩიო** (შეუერჩიო); ჭალაში **შუეშვი** (შეუეშვი) ძროხები; ხობიებს **შუეშვებ** (შეუეშვებ).

**ოე-ეე:** რომ ძიღი **მეენატრება** (მოენატრება) მუა ჭკვაზე; კასტუმი მინდაღ და ჩეღდა **ჩამეეტანანა** (ჩამოეეტანანა); მარაგი ფეჭვიღი არ იყი, რომ **ამეეკრა** (ამოეეკრა);

**ეა-აა:** **შააჭმევდენ** (შეაჭმევდენ) და მუცელი მუერჩებოდა; შენ **შაასრულე** (შეასრულე) ვაღია; იმ წუთში **შაადარა** (შეადარა) მისი ქრივი საყვარელი; ბაღანა ძაღღმა **შააშინა** (შეააშინა ); **შაამონმეთ** (შეამონმეთ) ოჯახიც და სასიძოც; ღარმის სახში **შაანია** (შეანია); ვირმა ახორში **შაასტრო** (შეასტრო); **შაალამაზოს** (შეალამაზოს) შვიღი კონა ქაცვი.

გარდა ხმოვანთა ასიმიღაციისა, დანდაღოს მეტყვეღებაში ჩანს **ბგერათდაყრუების** შემთხვევეღიც:

**ბ > ფ:** რას **უყურეფ** (უყურებ); **ინვაღეფ** (ინვაღებ) ორი დღის სიცოცხლეში; დიდ **ორმოეფ** (ორმოებ) ვთხრიღით; ვიღოცავ თუ **ვიმუშავეფ** (ვიმუშავებ); შენ ყოღინფერს

**უალერსეფ** (უალერსებ); **ძალვან გეძეფს** (გეძებს); **ფოთლეფში** (ფოთლებში) აქ წითელი ძივები; მოაჯლაჯუნებს **ბარეფსა** (ბარებსა), ოთლი ჩამოდიან **ხარეფსა** (ხარებსა); ყოველ დღე ეს ბიჭი **უგეფს** (უგებს).

დანდალოს მეტყველებისთვის (და, საერთოდ, ზემო აჭარულისთვის) დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია. I და II ობიექტური პირის ნიშნები **მ, გ, გვ** ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისთვის. მათი მომდევნო **ი** იმსგავსებს ზემოხსენებულ **ა, ე** პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას. კერძოდ,

**ა+ი→ი-ი:** მემრენ პირი **იმიხვიეს** (ამიხვიეს); თავი არ **იმიწევია** (ამიწევია) ზეზე; სასათლაოებთან **იმიყვანა** (ამიყვანა).

**გა+ი→ გი-ი:** პერჩატკები არასდროს არ **გიმიკეთებია** (გამიკეთებია); კაბა ტალახ-ბათახი **გიმიხტა** (გამიხტა); სამშობლოში არ **გიმიგზანია** (გამიგზანია); დედამთილი **გიმიბლემდა** (გამიბლემდა); **გიმიცივდეს** (გამიცივდეს) ყურშუმები; გული შენტვინ **გიდიმიკდება** (გადამიკდება); ამან **გიმიძლო** (გამიძლო) მუცელი; რაცხა **გიგვიკეთოს** (გაგვიკეთოს); კაი ჩირი **გიგინხია** (გაგინხია); ნამარხი ყაბული **გიმიხადე** (გამიხადე); ბალნები არ **გიმილვიძო** (გამილვიძო) და არ **გიმიბეჩო** (გამიბეჩო).

**ლა+ი→ ლი-ი:** **ლიმიძახა** (დამიძახე) ვედრაი ვიტაიო; რა **ლიგიშავე** (დაგიშავე), რომ ამ დღეში ჩამავდე; ვინც **ლიმიმტკიცებს** (დამიმტკიცებს), რომ ისინი მართლა ქალები არიან; **ლიმიხიეს** (დამიხიეს) კაბი კალთა; ხტომაში **ლიმინახა** (დამინახა) გენილი; ლეკვები არ **ლიმიხოცონო** (დამიხოცონო); ვინმემ რომ ეზო **ლიგიგავოს** (დაგიგავოს); ახალი სახლი **ლიგინყიან** (დაგინყიან); **ლიგინახავდენ** (დაგინახავდენენ) **ლიგიჭირავდენ** (დაგიჭირავდენენ); ყისმეთი ბოლომდე არ **ლიმირჩა** (დამირჩა); მაღლათ **ლიმიწერე** (დამიწერე); **ლიგიძინია** (დაგიძინია) ყანი პირაი; კაჰნი ბოლოს **ლიგინახე** (დაგინახე); არც ტანი **ლიმიბანია** (დამიბანია); **ლიმითვალე** (დამითვალე) კიბილები.

**ჩა+ი-ჩი-ი:** ჩიმიყვანეს (ჩამიყვანეს) ისტამბულში; გულში ცეცხლი ჩიმივარდა (ჩამივარდა); ყველაფერი ჩიმიმწარდა (ჩამიმწარდა); ტან ამაყად ჩიმიარე (ჩამიარე).

**წა+ი-წი-ი:** ყველას ცეცხლი წიგვიკიდეს (წაგვიკიდეს); რესტორანში წიმიყვანა (წამიყვანა).

**გადა+ი-გიდი-ი:** გიდიგვინვეს (გადაგვინვეს) კერე-კუჩხე; ახლა ეს გიდიმიჭარო (გადამიჭარო); თავი გიდიმივინყა (გადამავინყა).

**შე+ი ->ში-ი:** სახლში რომ შიმიყვანა (შემიყვანა), ჯერ საინი გამატეხია; თითი მტკივა, შიმბხვიეთ (შემბხვიეთ); გასაჭირისგან შიგვიბრალე (შეგვიბრალე) გამჩენელო; ცხვირი შიმბრუნა (შემბრუნა); შიგილოცავ (შეგილოცავ) თვალისას; დუქაბა პოვარს შიგვინვითო(შეგვინვითო)

**ხმოვანთა სრული ასიმილაციის სხვა მაგალითები სახელებში:** ახლა გაადვილდა ცხოვრობა (ცხოვრება); დოდოფალი (დედოფალი) მომიყვანეს სახში. შენი დედეს ოზოში (ეზოში) გედევხადეთ ქორწილი.

დანდალოს მეტყველებაში, ისევე როგორც აჭარულში, გვხვდება **ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია:**

**აი-ეი:** ერთი გედეხარხარა (გადახარხარა); რომ გეიხაროს (გაიხაროს) გულები; წითლად დეინწკლა (დაინწკლა) მდინარეში კალმახიო; ერთი ასკერიც წეიყვანა (წაიყვანა); გვანცამ რომ დეინახა (დაინახა); გვანცამ დეიწყო (დაიწყო); სახლები იყო და დეინგრა (დაინგრა); იმის ბიჭი წეიყვანს (წაიყვანს); ბალნის მოკლა ჩეიფიქრა (ჩაიფიქრა); დეინაკვერჩხლებდა (დაინაკვერჩხლებდა) და ნახშირათ ამეილებდა; იმისკენა წეინიო (წაინიო); დეიქვა (დაიქვა) სოინი ეს ქვეყანაც; ტყვილაი ალაგინა დეიკავო (დაიკავო); ხის მორს ეილებდნენ (აილებდნენ); რომ ფუტკრები წეითიშონ (წაითიშონ); ჩაყრილი ოჯახი არ გეიქცეს (გაიქცეს); ერთპირაი არ ჩეიწყობა (ჩაიწყობა); საცრებინა ეიფარონ (აიფარონ); პირში რამეს ვერ წეიკარებ (წაიკარებ); ზეიდან წეიხეთქავს (წაიხეთქავს) ცხიმს; სისქეს რომ დეიჭერს (დაიჭერს); იქეთ გეიხედე, (გაიხედე) გვერდია; ბალანა რაფერ დეიჭრებაო

(დაიჭრებაო); ერთმა კაცმა **ღეიბადა** (ღაიბადა); სამჯერ **ღეიყვირა** (ღაიყვირა); **ჩეიფიქრონა** (ჩაიფიქრონა) ერთი ქრივი კაცი.

**ოი-ეი:** **ამეილებდა** (ამოილებდა) იალ; ისინი **მიმეიპანტენ** (მიმოიპანტენ); ხორცი **მეიტანა** (მოიტანა) გასაყიდათო; **წამეიხურეთ** (წამოიხურეთ) საბნები; ღეინახა ისინი და **წამეიკივლა** (წამოიკივლა); **შემეისვეს** (შემოისვეს) ცხენებზე და გააჭენეს; გვანცამ და ლელამ **გამეიყვანეს** (გამოიყვანეს); ასკერები **შემეიპარენ** (შემოიპარენ); **მეიჭუჭკებიან** (მოიჭუჭკებიან) და ერთმანებს შეებრძოლებიან; ის **მეიგებდა** (მოიგებდა); ნახშირათ **ამეილებდა** (ამოილებდა); ახლა **გამეიგონეს** (გამოიგონეს) სკები; დავატრიალებთ და თაფლიც **გამეიხდება** (გამოიხდება); **მეიტანა** (მოიტანა) ბრინჯი; რომ არ **მეიკურკუშოს** (მოიკურკუშოს); მერე რომ **მეიხარშება** (მოიხარშება); ჯერ სიმამმა **ამეილო** (ამოილო), პირი **მეინვა** (მოინვა); გემრიელი ქარი **მეიქროლა** (მოიქროლა); ყართუფაი **ჩამეიტანება** (ჩამოიტანება); გოგო **მეიკლა** (მოიკლა); ასეც **მეიქცენ** (მოიქცენ) და მართლა **მეიშორეს** (მოიშორეს); ნამუსიან თავს **გამეიღეფს** (გამოიღეფს); **გადმეიღვარა** (გადმოიღვარა) თეტრი წყალი.

**ოა-უა:** მოჭრილს **გამუაძრობდა** (გამოაძრობდა) ბუჩქებიდან; ზოგიც სახში **გამუატანა** (გამოატანა); თურმე **მუაწინ** (მოაწინ) დედაბერთან; ბევრი თაფლი **მუაგროვეს** (მოაგროვეს); **მუაყრიდით** (მოაყრიდით) დაჭრილ ნიგოზ; **მუასხამდენ** (მოასხამდენ) დანაყილ პურიკაკალ; რაფერნა **მუაშორო** (მოაშორო); **მუაკითხა** (მოაკითხა) ღებრაილმა; რომ არ **გამუარდნილიყო** (გამოარდნილიყო).

დანდალოს მეტყველებაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელი **ოვ-ის** ნაცვლად გვაქვს **უა** და **უე** კომპლექსები

იმა **მუაბამდით** (მოვაბამდით) მარხილ; დასისხლიანებული **შამუარდა** (შემოვარდა) სახლში; სანამ ყვავილი **გამუა** (გამოვა); კერე-კუჩხეში **მუაპნიოთ** (მოვაპნიო); **მუაყრიდით** (მოვაყრიდით) დაჭრილ ნიგოზ; მერე დაფჭრიდით და **გამუაცხოვდით** (გამოვაცხოვდით); როის **ჩამუა** (ჩამოვა) ვირიდან; მერე **მუასხამით** (მოვასხამით) დამწვარ იალ; მე **მუაშორებ**

(მოვაშორებ) მაქავრობას; კაცი სტოლბიდან **გადმუარდა** (გადმოვარდა); **წამუელთ** (წამოველთ) მოდულებიდან; რომ **გამუელ** (გამოველ) კატამ იხელთა დრო.

**ღისიმილაცია:** დანდალოს მეტყველებაში გვაქვს **ღისიმილაციის** შემთხვევები, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ასიმილაციის.

**ხმოვანთა ღისიმილაცია:**

ბაყა-ბაყა წვეულ **კიბიებზე** (კიბეებზე); კარტოფილ **ოფიებში** (ოფეებში) ვგავდით; **ხიებს** (ხეებს) ტყავების აძრობა დუუნყო; ზამთარში **დღიები** (დღეები) დაჰანავდა, **ღამიები** (ღამეები) გეიზარდა; ბოროტი **საქმიები** (საქმეები); დიდი **სიცხიები** (სიცხეები) ინვევდა; გაჩინდა რაცხა დუნისთული **სიმსივნიები** (სიმსივნეები).

**ბგერათდაკარგვა:** დანდალოს მეტყველებისთვის დამახასიათებელია **ბგერათდაკარგვის** შემთხვევებიც. ბგერა იკარგება როგორც სიტყვის თავში, ისე ფუძეში. ყველაზე ხშირად სიტყვაში **იკარგება რ ბგერა**.

**რ იკარგება სიტყვის თავში:** **კინა** (რკინა) რომ გაცივდება; ცხვარი **ქენას** (რქენას) დუუნყებსო; **ბილი** (რბილი) ხორცი მინიკვა; რა ზოვლი **ძალი** (რძალი) მუყყვანია; ხარისხიან **ძეს** (რძეს) ინველებოდენ; ძველი ხარის **ქა** (რქა) ხნავსო; **ძალმა** (რძალმა) რა დააშავა.

**რ იკარგება სიტყვის ფუძეში:** **ორსაათულიანი** (ორსართულიანი) ჰანაი ხის სახლი გვექონდა; ბევრ თუთუნსაც **ვგავდით** (ვრგავდით); **ააფერს** (არაფერს) არ ჭამს; **ამოალმავებდენ** (ამოალრმავებდენ) და თითო ფუტკრის ოჯახს ყრიდენ; ყველაზე **გემიელი** (გემრიელი) ხორცი; **ალაათფერი** (ალარათფერი) არ მოდის; მისი ტრადიცია **გააგძელეს** (გააგრძელეს); გამოხრეტილი **დაგვჩაო** (დაგვრჩაო); ნელ-ნელა **წამობძანდი** (წამობრძანდი); ლელამ **გააგძელა** (გააგრძელა); კარტოფილ ოფიებში **ვგავდით** (ვრგავდით); ერთმანებს **ვზდიდით** (ვზრდიდით); ჰანაი **მკთალი** (მრკთალი) სინათლე; კარგად **გაზდის** (გაზრდის) მეფეო; რაღა **დაგჩენია** (დაგრჩენია); თავშეხვევლი აღმა **გავბი** (გავრბი); ფასა და ასკერი **დააბშავა** (დააბრშავა); პირველი **საათული** (სართული) ახორი იყო; მიიჩვენია (**მირჩენია**) ხვალინდელ ქათამს; არცერთ არ **გუუმათლეს** (გუუმართლეს);

წყლის **სიჯამთელე** (სიჯამრთელე) მოგცეს; დეინყო **ხრობა** (ხრჩობა); სიძე მისულა **სიმამთან** (სიმამრთან); ფუნჩხი **დაგრჩებიან** (დაგრჩებიან).

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „**რ-ს** დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან. ისტორიულად იგი არ იყო მყარი ფონემა ქართველურ ენებში. რ ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც“ [ქავთარაძე, 1964:134; იმნაიშვილი, 1974:202].

**იკარგება** მ ბგერაც: მამა სერაფიმე **ფარველობსო** (მფარველობსო); წითლათ შეღებილა **თლათ** (მთლად); გემრიელი იყო ის ხის **ჭადი** (მჭადი); რამდენჯერ **შიერი** (მშიერი) დაუნოლილვარ; თვაქვეშ დუდვა **კლავები** (მკლავები); შით **თელ** (მთელ) კარტოფილ ჩავყრიდით; **წვანილს** (მწვანილს) დანაყევდა; **თელი** (მთელი) დღე პირში რამეს ვერ წეიკარებ; ხორცი **ტრედ** (მტრედ) მისა; **თიდან** (მთიდან) მომავალი მანქანა; **ავატყოფობა** (ავატმყოფობა) იყო გაჩენილი; მარგალიტის **ძივებიო** (მძივებიო); **წიფე** (მწიფე) ხუმრანა ჩავყარო; სახლები იყვინტება **თლიანათ** (მთლიანად); მაგ **გელ** (მგელ) დასაუდუმლებს; მუბაარეფი **თვარეა** (მთვარეა); ქალო **შვენიერო** (მშვენიერო);ჭირიმე შენი **კლავების** (მკლავების).

გვხვდება ვ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც: **სიკდილს** (სიკვდილს) ჯობდა დეგვეკლა; **გამაგზანა** (გამაგზავნა) საპჯოში; კაცი **მოვკლები** (მოვკვლები) დერდითა; ვერავინ **შეცლის** (შეცვლის); **ზეით** (ზევით) მოსიაშვილები არი; ცოტა **ქვეით** (ქვევით); ჩვენი სკოლიდან **მოსლამდენ** (მოსვლამდენ); **სიკდილის** (სიკვდილის) ნიშანია; მშიერი **ვკტებოდით** (ვკვდებოდით); ექვსი დედმამიშვილი **ვიყაით** (ვიყავით); თურქეშიც იყო **გადასლები** (გადასვლები).

სისტემური ხასიათი აქვს **ლ** ბგერის კარგვს **სახლ** ფორმაში: წაი ბაბი ახლა **სახში** (სახლში); დოდოთალი მომიყვანეს **სახში** (სახლში); რამბავი საქმეა ამ **სახში** (სახლში); რაცხამდენიც იყვენ **სახში** (სახლში); ყიზილბაშო შემოი **სახში** (სახლში).

ზემო აჭარულის, კერძოდ, დანდალოს მეტყველებისთვის სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ი თავსართთან, ეს იქნება ქცევის ნიშანი თუ ვნებითის საწარმოებელი,



პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ მისი (ი-ს) უკვალოდ გაქრობა I პირის ფორმაში. მაგალითად: ძვილაი ჩამეცტაი (ჩამოვიტანე) საპჭოში; ცხვარი შევტაი (შევიტანე); ზღვაში ბალანა გევექნიე (გავიქნიე); ამდენი ცოდვა ჩევიდინე (ჩავიდინე); სიკვდილი თვალით დევენახე (დავინახე); საყელო ჩამევერეკე (ჩამოვირეკე); მე რომ გენილი მევეყვაი (მოვიყვანე); არ შეიძლება რომ გამევეყნოთ (გამოვიყენოთ); ჰიმკენ გევექცე (გავიქცე) არ ვიცი; რაცხათვერ სული გევეტაით (გავიტანეთ);

სისტემებზე ვიდ ფუძიან ზმნებშიც დაკარგულია ი ხმოვანი:

ანაი როის ჩამოვლოდა (ჩამოვილოდა); მერე ნენეი შამოვლა (შემოვიდა); დრო რომ გეველა ჩგავიდა; ფაშა თვითონ ნეველა (წავიდა); მარჩიელთან მიველა (მივიდა); ევლოდით (ავიდლოდით) იქ, კორდი იყო; შევედენ (შევიდენ) შით; ფაშა გონზე მოველა (მოვიდა); ჩვენ ჩევიდეთ (ჩევიდეთ) ცხმორისში; ყემზემ ფაშამ გამოველა (გამოვიდა); ზედმეტი არ მოგივედეს (მოგივიდეს).

ნა-ვიდ-ა, გა-ვიდ-ა, შე-ვიდ-ა... ფორმები შეკუმშულადაა წარმოდგენილი: წე-ვდ-ა. გე-ვდ-ა, შე-ვდ-ა. ამ მოვლენას ორგვარი ახსნა აქვს. გ ახვლედიანი მიიჩნევს, რომ პროცესი ფონეტიკურია: გე-ვიდ-ა>გე-ვდა, შდრ.გე-ვ-ივტან-ე>გე-ვ-ტან-ე, თუ აი>ეი კომპლექსში ვ დაჩნდება (I სუბიექტური ნიშანი ან ფუძისეული), ი, როგორც წესი იკარგება [ახვლედიანი, 1949:76]. სხვა შეხედულებით, ცვლილებების მიზეზი მორფოლოგიურ დონეზე უნდა ვეძიოთ, კერძოდ, უნდა აიხსნას მო-კლ-ა...და მო-ველ, მო-ხ-ველ, მო-ვდ-ა - ორივე შემთხვევაში პირველი და მეორე პირის ფორმებში სრულხმოვანი ფუძეა, მესამე პირში - შეკუმშული [გოგოლაშვილი, 1984:89].

ასევე იკარგება ს ბგერა, ძირითადად მაშინ, როცა სახელი პირდაპირი ობიექტია. წვიტ ბალნებ (ბალნებს) აკვანში ჩავაკრავდით; მოთუშავენ ხახვ (ხახვს); თათულ (თათულს) ჭამენ; ცრემლებ (ცრემლებს) გადმოკარკლავს; საჭმელ (საჭმელს) რომ შეჭამთ; ბუხარში ჩავყრიდით ჭირეკებ (ჭირეკებს); იმით ბუკეტებ (ბუკეტებს) აკეთებენ; კანათ (კანათს) თესვედენ; გააკეთებდა ბორან (ბორანს) და ყველაი შით ანობდა პურ (პურს) ან ჭად (ჭადს); პირველაი კარტოფილ (კარტოფილს) ვგავდით; ამეილებდა იალ (იალს); ორმოფე

(ორმოცეს) ვთხრიდით; **შერბეთ** (შერბეთს) ჩავასხამთ ერთჯერად პარკებში; მუასხამენ **პურიკაკალ** (პურიკაკალს); მოთუშავენ **ხახვ** (ხახვს).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს - ც** იკარგება: ავალე **ხეფენგი** (ხეფენგის) კარი; **წიფლი** (წიფლის) ქერეჭის ჭამა; **თიფი** (თიფის) ზვინი; თვითონ წევდა იმ **მთი** (მთის) ზირში; იმ **დღი** (დღის) მემრე; **ვერცხლი** (ვერცხლის) წყალი ავადუღე; გამარჯობა ნაძვი (ნაძვის) ხეო; დიდი **წიფლი** (წიფლის) ხე დგას. **ს** ბგერის დაკარგვის შემთხვევები ხშირია დიალექტებში, სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „ს-ს დაკარგვის საფუძველი ქართულ წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ“ [ფალავა,...2016:533].

**ს** ბგერის დაკარგვის შემთხვევები გვხვდება სალიტერატურო ქართულში [ძიძიშვილი, 1960:107]. განსაკუთრებით იკარგება დიალექტებში. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „ს-ს დაკარგვის საფუძველი ქართულ წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ [ფალავა... 2016, 533].

ხშირია **ჰ** ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც: ამას ყეთმირიც **ქვია** (ჰქვია); იმ ბალვსაც **ქონდა** (ჰქონდა) ამფერი ელელეცი; პატრონი არარ **ყავს** (ჰყავს) იქავრობას; ფაშამ **კითხა** (ჰკითხა); დიდი სისტრაფით **მიქროდენ** (მიჰქროდენ); იმ გვანცას **ყავდა** (ჰყავდა) შეყვარებული; მეთევზეს **ყოლია** (ჰყოლია) კაი ვაჟკაცი; მივა ამ ღარიბ მებობელთან და **კითხავს** (ჰკითხავს); იქედან **ჩამოქონდენ** (ჩამოჰქონდენ); ერთი ჩითის კაბა **ქონდა** (ჰქონდა).

ხშირად იკარგება **ნ** თანხმოვანი **მაინც** ფორმაში: ხიდზე **მაიც** (მაინც) დეიჭირეს; ჰაცხან **მაიც** (მაინც) გამჟღავნდება; ქალი **მაიც** (მაინც) შეითანია; **მაიც** (მაინც) ბევრი შვილები გვყავსო.

**ბგერათჩართვა**: დანდალოს მეტყველებისთვის დამახასიათებელია ბგერის ჩართვის შემთხვევებიც. ძირითადად ის ბგერები ვითარდება, რომლებიც სხვა პირობებში იკარგება. შეიძლება განვითარდეს **მ,ნ,რ,ლ,ვ, ბ**.

ვითარდება **მ** ბგერა: მარხვის **მემრე** (მერე) ილლანა მიცე; ჩვენი **უმფროსი** (უფროსი); **მემრე** (მერე) გაშპა და გეიარა წევდა; **მემრენ** (მერენ) მეიჭუჭკებოდენ კაცები; ღმერთმა

სასახელოდ **გამცხოვრა** (გაცხოვრა); **ყველამფერი ყველამფერია** (ყველაფერი ყველაფერია), მარა ამხელა ინათზე შედგომა რათ უნდა; რომ შეაქო **უმფო** (უფრო) ხომ შეიფერებს.

ვითარდება **ნ** ბგერა: **მემრენ** (მერე) მეინუჭკებოდენ; **მემრენ** (მერე) გაღვივდებოდა; მივიდა **პოლინციაში** (პოლიციაში); ჭრელი წინდების **ქსოვნაც** (ქსოვაც) იცოდა; ჩექმანა **მეყიდნა** (მეყიდა); შევარდა **ისვენ** (ისევ) შკერებში; ხვალ **კიდვენ** (კიდევ) ამოსლას აღარ წეველთ; **ყოლინფერს** (ყოლიფერს) მტერი ყავს **ზათინ** (ზათი).

სპორადულად ვითარდება **ბ** ბგერაც: სოფელი მალე **გამბრავლდა** (გამბრავლდა); **გამბრავლების** (გამბრავლების) ნიშანია.

ვითარდება **ვ** თანხმოვანიც: **მაშვინ** (მაშინ) ორმოცდაორი წლები იყო; დღეით არ **გაგაფრინვა** (გაგაფრინა); **მოშუშვებამდე** (მოშუშებამდე) ვადულოთნა; მომიკოჭებდა **თოკვით** (თოკით).

**სრულხმოვნობა:** დანდალოს მეტყველებაში ჩანს სრულხმოვნობის შემთხვევებიც. ეს მოვლენა ზოგადად აჭარული დიალექტისთვისაა დამახასიათებელი: **კიბილი** (კბილი) მოქმპა; რაცხა შენ დიმითვალე **კიბილები** (კბილები); **ხობო** (ხბო) რომ დეიბადება; ნაძვის ხეზე ახალწელზე ნაირნაირ კაკიებს და **ტკიბილ** (ტკბილ) კამპეტებს ვკიდავდით; **კილდე** (კლდე) **კილდეს** (კლდეს) ეწყვეტება; **ფილავი** (ფლავი) ბრინჯიდან კეთდება; მეგემ კაკლი **ხეჭვო** (ხეჭპო) სობაში არ დეინვის.

სრულხმოვნობა ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაცაა დამახასიათებელი.ბ. ჯორბენაძე აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ზოგადი მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსში ჩართულია ხმოვანი: ჩირდილი „ჩრდილი“, ფირჩხილი „ფრჩხილი“, ღირძილი „ღრძილი“.... [ჯორბენაძე, 1989:223].

სრულხმოვნობის საკითხთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია დამკვიდრებული. არ. ჩიქობავა თვლის, რომ აღნიშნულ ფორმებში ჩანს ოდინდელი სრულხმოვნობის კვალი. ჭანურისა და მეგრულის ე.წ

სრულხმოვნობა ძველის ვითარებას გვისახავს, შეკუმშული ფუძეები მეორეული მონაცემია“ [ჩიქობავა, 1942:53].

ვ.თოფურია განიხილავს აჭარულ დიალექტში სრულხმოვნობის საკითხს. იგი აჭარულ „კიბილ“ სიტყვას „კბილ“- ის აღრინდელ სახეობად თვლის. „კიბილ“-ის შესატყვისად მეგრულ-ჭანურის „კიბირი“ მიაჩნია. რაც შეეხება დანარჩენ სიტყვებს, როგორცაა: აჭ. კილდე, წიგინი, ტკიბილი, ხევს. ჩირდილი, ჩინდა, ფირჩხილი (=მეგრ.ჭან. ბირცხა, ბუცხა), გირწყილი, ინგილ. შიტო-სა და მისთ. ი-ს ფონეტიკურ წარმოშობისად მიიჩნევს [თოფურია,1976:76].

შ. ნიჟარაძე: „ასე რომ, ჩვენ მიერ მითითებული აჭარული სიტყვები, დაბეჭითებით შიძლება ითქვას, ორგვარი წარმოშობისაა: ერთი მხრივ გვაქვს კიბილი, კილდე, ხობო (მდრ.ჭან მეგრ. კიბირი, კირდე, სვანური ხაბნა, ლაბნა), რომელსაც ქართველურ ენებში სრულხმოვნის ფორმები შეესატყვისება, მეორე მხრივ კი წიგინი, ხეჭებო, სადაც ი,ე თანხმოვანთა გასაყარია“ [ნიჟარაძე, 1971:15].

**მეტათეზისი:** ხშირია **მეტათეზისის** შემთხვევებიც: **ბანალი** (ბალანი ) წინა ნააგლიჯო; **ზრუგი** (ზურგი) იყო ტექნიკა; **ზრუგით** (ზურგით) ყართუფაი ჩამეიტანება; ნამეტარი **ჭროფლაი** (ჭორფლა) ბაღვია; კარის **ზღრუბლზე** (ზღურბლზე) მოხვევა არ იზამს, წევჩხუბებთ; **ზრუგში** (ზურგში) მოკიდებული ცხვართ ვიარე.

**სუბსტიტუცია:** დანდალოს მეტყველებაში გვხვდება **ბგერათ შენაცვლების** შემთხვევებიც.

- ვ > მ:** გახედე აბა ცაში **მარსკლავები** (ვარსკლავები) თუ არი; ვერ **ავამსე** (ავავსე).
- ბ > მ:** ჭყანისი სუფთა **მაყაყი** (ბაყაყი) წყაროა; ღამე **მაყაყები** (ბაყაყები) ყიყინებენ; ნადირმა **უკმინა** (უკბინა) ტყეში.
- მ > ფ:** **ფხარი** (მხარი) მუუტეხია; **ფხარზე** (მხარზე) გადაკიდებული.
- გ > ბ:** აწვედა **კობზს** (კოვზს); დღლიზებდა **კობზს** (კოვზს);
- ნ>რ:** ვერ გუყარე ნემსი **ყურწში** (ყუნწში).
- უ>ი:** იმფო (**უმფო**) ახალ წელზე ვჭამდით; ახლოს გათხვება **იმფო** (უმფო) კაია.

**აფრიკატიზაცია:** დანდალოს მეტყველებაში იშვიათად, მაგრამ გვხვდება აფრიკატიზაციის შემთხვევებიც:

**ჟ>ჯ:** **ჯანგი** (ჟანგი) აქ მოღებული; **ჯარონაზე** (ჯარონაზე) დავასხამთ; ახალი ძალი **დავპაიჯოთ** (დავპატიყოთ); ბევრი ხალხი ყავდა **დაპაიჯნილი** (დაპატიუებული).

**ტ>ჭ:** **დავჭვიროთ** (დავტვიროთ) შიშა;

**ზ>ძ:** ძრუგზე აღინა ბულია.

**დებაფრიკატიზაცია:** გვხვდება დებაფრიკატიზაციის შემთხვევებიც.

**ჯ>ჟ:** **დეუჟდომელი** (დეუჯდომელი) არნა გუუშვა; კრუხი არ **დაჟდება** (დაჯდება) ბუჯერზე; წესიერაი **დამაჟდუმლე** (დამაჯდუმლე); **დაჟდებიან** (დაჯდებიან) მაშინაში.

**სწ>სტ:** **ასტავლა** (ასწავლა) წაკითხვა; **სტორ** (სწორ) გზაზე დამაყენე; რაცხა **სტორე** (სწორე) დეილაპარაკე; მე **გასტავლეთ** (გასწავლეთ) და გინდათ შეისმინეთ; **სასტორი** (სასწორი) და სამართალი; შვიდ სუფრას რომ **დეესტრები** (დეესწრები); ვერ **მუასტრო** (მუასწრო) იქით გასლა; მე **მუესტარ** (მუესწარ) მარა თავი ვერ გამუაძრობიე.

**გემინაცია:** დანდალოს მეტყველებაში ადგილი აქვს მარტივ თანხმოვანთა შერწყმას - **გემინაციას:**

**ცამმეტი** (ცამეტი) წლის წინ ჰად იყო ამდენი ვიდეოები და სურათები; **ცხრამმეტი** (ცხრამეტი) წლის ვიყავ გევეთხვე.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩანერილი მასალა გვიჩვენებს შემდეგ ფონეტიკურ პროცესებს. ხშირია ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია: **წუეკერავენ** (წაუკერავენ), **უუცდებოდა** (აუცდებოდა), **დეუნყო** (დაუნყო), **წუეკიდებლით** (წაუკიდებლით), **გუუმუსლიმანებიან** (გაუმუსლიმანებიან), **დეუნყიან** (დაუნყიან), **გუდეუყრიან** (გადაუყრიან) და სხვა.

გვხვდება ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითებიც: **გედეიხარხარა** (გადაიხარხარა), **გეიხაროს** (გაიხაროს), **დეინინწკლა** (დაინინწკლა) (წაიყვანა), **დეინახა** (დაინახა), **დეინყო** (დაინყო), **დეინგრა** (დაინგრა), **წეიყვანს** (წაიყვანს), **წამეიხურეთ** (წამოიხურეთ) და სხვა.

დანდალოს მეტყველებისთვის (და, საერთოდ, ზემო აჭარულისთვის) დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია. I და II ობიექტური პირის ნიშნები **მ, გ, გვ** ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისთვის. მათი მომდევნო ი იმსგავსებს ზემოხსენებულ ა, ე პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას: **იმხვიეს, გიმხტა, გიმცივდა, დიმძახა, დიმირჩა, ჩიმყვანეს** და სხვა.

დასტურდება დისიმილაციის შემთხვევებიც, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც ასიმილაციის: **კიბიებზე** (კიბეებზე), **ლამიები** (ლამეები), **დღიები** (დღეები), **სიცხიები** (სიცხეები) და სხვა.

ტექსტის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანდალოს მეტყველებას ახასიათებს ბგერის დაკარგვის შემთხვევები, როგორც სიტყვის თავში, ისე ფუძეში. ძირითადად იკარგება რ ბგერა: **კინა** (რკინა), **ძე** (რძე), **ქენა** (რქენა), **ძალი** (რძალი), **ქა** (რქა), **აათერს** (არათერს), **ვგავდით** (ვრგავდით), **წამობზანდი** (წამობრძანდი), **გააგძელა** (გააგრძელა), **მკთალი** (მკრთალი), **ვზღიდით** (ვზრღიდით) და სხვა.

აგრეთვე იკარგება მ ბგერაც: **ფარველობსო** (მფარველობსო), **თლათ** (მთლად), **შიერი** (მშიერი), **კლავები** (მკლავები), **წვანილს** (მწვანილს), **თიდან** (მთიდან), **ძივებიო** (მძივებიო), **შვენერო** (მშვენერი) და სხვა.

გვაქვს ვ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც: **სიკდილს** (სიკვდილს), **გამაგზანა** (გამაგზანა), **შეცლის** (შეცვლის), **ზეით** (ზევით), **მოსლამდენ** (მოსვლამდენ), **ვკტებოლით** (ვკვდებოლით), **გადასლები** (გადასვლები) და სხვა.

სისტემური ხასიათი აქვს **ლ** ბგერის დაკარგვას სახლ ფორმაში: **სახში** (სახლში).

ხშირია ი თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ, მისი უკუალოდ გაქრობა I პირის ფორმებთან: **ჩამეცტაი, შევტაი, გევექნიე, ჩევდინე, დევნახე** და

ა.შ. აგრეთვე, ი იკარგება ვიდ ფუძიან ზმნებში: **შამოვდა** (შემოვიდა), **წევდენ** (წავიდენ), **გევდენ** (გავიდენ), **მივდა** (მივიდა), **გევდა** (გავიდა)....

გვხვდება **ს** ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც, როცა სახელი პირდაპირი ობიექტია: მოთუშავენ **ხახვ** (ხახვს), **თაფლ** (თაფლს) ჭამენ, **ბუკეტებ** (ბუკეტებს) აკეთებენ, **კანაფ** (კანაფს) თესვენ, ანობდა **ჰურ** (ჰურს) და სხვა.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს** თანხმოვანიც იკარგება: **თივი** (ს) ზვინი, **ვერცხლი** (ს) წყალი, **ხეფენგი** (ს) კარი, **წითლი** (ს) ქერეჭი და სხვა.

გვხვდება **ჰ** ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც: **ქვია** (ჰქვია), **ყავს** (ჰყავს), **კითხა** (ჰკითხა), **ყოლია** (ჰყოლია), **ქონდა** (ჰქონდა), **მიქროდენ** (მიჰქროდენ) და სხვა.

სისტემური ხასიათი აქვს **ნ** ბგერის კარგვას **მანც** ფორმაში: ხიდზე **მაიც** (მანც) დეიჭირეს; ქალი **მაიც** (მანც) შეითანია და სხვა.

ბგერის დაკარგვის საპირისპიროდ გვხვდება ბგერის **გაჩენის** შემთხვევებიც. ვითარდება **მ** ბგერა: **მემრე** (მერე), **უმფროსი** (უფროსი), **გამცხოვრა** (გაცხოვრა), **უმფო** (უფო) და სხვა.

დასტურდება **ვ** თანხმოვნის გაჩენის მაგალითებიც: **მაშვინ** (მაშინ), **გაგატრინვა** (გაგატრინა), **თოკვით** (თოკით), **მოშუშვებამდე** (მოშუშებამდე) და სხვა.

სპორადულად არის **ბ** - **ს** გაჩენის შემთხვევებიც: **გამბრავლდა** (გამრავლდა).

ვითარდება **ნ** ბგერაც: **მემრენ** (მემრე), **პოლინციაში** (პოლიციაში), **ქსოვნაც** (ქსოვაც), **ისვენ** (ისევ), **კიდვენ** (კიდევ), **მეყიდნა** (მეყიდა) და სხვა.

ფონეტიკური პროცესებიდან საანალიზო ტექსტებში, ასევე, გვხვდება **მეტათვისი**: **ბანალი** (ბალანი), **ზრუგი** (ზურგი), **ჭროფლაი** (ჭორფლა), **ზღრუბლზე** (ზღურბლზე); **ზრუგში** (ზურგში)

სუბსტიტუციის შემთხვევებიცაა დადასტურებული: **მარსკლავები** (ვარსკლავები), **მაყაყი** (ბაყაყი), **მაყაყები** (ბაყაყები), **უკმინა** (უკბინა), **ფხარი** (მხარი), **კობზს** (კოვზს) და სხვა.

დანდალოს მეტყველებისათვის სახასიათოა სრულხმოვნობის შემთხვევები: **კიბილი** (კბილი), **თიბილი** (თბილი), **ტკიბილი** (ტკბილი), **კილდე** (კლდე) და სხვა.

ასევე გვხვდება აფრიკატიზაციის (ჯანგი (ჟანგი), ჯარონაზე (ჟარონაზე), დავპაიყოთ (დავპატიყოთ), დავჭვიროთ (დავტვიროთ)), დეზაფრიკატიზაციის (დეუჟლომელი (დეუჯლომელი), დამაჟდუმლე (დამაჯდუმლე), ასტავლა (ასნავლა), მუესტარ (მუესნარ), დეესტრები (დეესნრები)) და გემინაციის (ცხრამმეტი, ცამმეტი)) შემთხვევები.

## II თავი

### დანდალოს მეტყველების მორფოლოგიური თავისებურებანი

დანდალოს მეტყველება არაერთი საინტერესო მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება. თავისებურებები გამოვლინდა სახელებში, ზმნაში, კავშირებში, თანდებულებსა და ნაწილაკებში. სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი მოვლენისგან განსხვავებული არაერთი წარმოება გვხვება. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

**სახელები:** სახელები თავისებურებას ავლენს ბრუნვის მიხედვით. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები დაირთავენ ი ბრუნვის ნიშანს:

**ჰანაი** (ჰანა) ხის სახლი გვეყონდა; დიმიძახა **ვედრაი** (ვედრა) ეიტაიო; მე და **ანაი** (ანა) ვმუშაობდით; **ბაბაი** (ბაბა) დაბრუნდა კაი ხნის მერე; **ტყვილაი** (ტყვილა) ხომ არ უთქმია ძველ კაცს; **ფეხშიშველაი** (ფეხშიშველა) გასულა ყანაში; **ფარდუკაი** (ფარდუკი) შეიკერა; რამდენჯერბ **კენჭობილაი** (კენჭობილა) მითამაშია; **კვირიკობაი** (კვირიკობა) არის ჩურუგაის პირველი კვირა; **დოხავინაი** (დოხავინა) კეთდება ხავინისავენ; **ნენეი** (ნენე) გაბიშავდა თხლათ; აბლა ხანუმ **ციცაი** (ციცაი) მომე; ემეკიდა **ხოზიკაი** (ხოზიკა); შენი შვილი **თავქაჩალაი** (თავქაჩალა); ხელში ქონდეს **მოზიკაი** (მოზიკა); შოფერი **იოსკაი** (იოსკა) იარებოდა; შენტან **ჭინკაი** (ჭინკა) მართლა მოსულა; **მაშინაი** (მაშინა) გეიტანს; **დეკნაი**



(დეკნაი) ჩავარდება შით; მერე დამარქვეს **გრიზაი** (გრიზა); მას **ხენიფეი** (ხენიფე) ერქვა; **საფუტარაი** (საფუტარა) უნდა ღუფუტოთ.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ ბ. ჯორბენაძეს და შ. ნიჟარაძეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ **ღ**-ს. მაგალითად: ანა**ღ**, ბაბო**ღ**, და**ღ**, ძმა**ღ** და სხვა [ჯორბენაძე, 1989:552; ნიჟარაძე, 1971: 16,17].

გვხვდება შემთხვევები, როდესაც მიცემითი ბრუნვის **ს** ნიშანი იკარგება. ეს ძირითადად ხდება თანხმოვანფუძიან სახელებში. ძირითადად პირდაპირი დამატება არ დაირთავს მიცემითი ბრუნვის ნიშანს, მაგალითად:

**კარტოფილ** (კარტოფილს) ოფიებში ვგავდით; გააკეთებდა **ბორან** (ბორანს); ამეილებდა **იალ** (იალს); ყველაი შით ანობდა **პურ** (პურს) ან **ჭად** (ჭადს); ადრე დიდ **ორმოფე** (ორმოფეს) ვთხრიდით; იმ **კაკალ** (კაკალს) ხან ერთი ჩამორეკავდა, ხან მიერე; თვალეზე ცრემლებ (ცრემლებს) იწმენდდა; ადრე იქ **პურ** (პურს) ლენავდენ; ახლა რომ **ბუხარ** (ბუხარს) ვუძახდით; **კბილებ** (კბილებს) არ გუუსინჯავენო; **შერბეთ** (შერბეთს) ჩავასხამთ ერთჯერად პარკებში; მუასხამენ **პურიკაკალ** (პურიკაკალს); მოთუშავენ **ხახვ** (ხახვს); **საჭმელ** (საჭმელს) რომ შეჭამთ; ბუხარში ჩავყრიდით **ჯირეკებ** (ჯირეკებს); იმით **ბუკეტებ** (ბუკეტებს) აკეთებენ; თოვლი **სახლეფ** (სახლეფს) ფარავდა.

ანალოგიურად ირიბი დამატებაც ზოგჯერ მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

გამუყენებელ **ადგილ** (ადგილს) ქვია; აგი **სიდელრ** (სიდელრს) მუუტანე; ვენაცვალე იმ **ზამთარ** (ზამთარს); **სოფელ** (სოფელს) პატრონი არ ყავს; იმ **სერ** (სერს) ახლა ვანია სერი ქვია; ხორცმა **ხორც** (ხორცს) მუუდგა; სისხლმა **სისხლ** (სისხლს) მუუდგა; **ჩიტ** (ჩიტს) გავატანე ხებრათა.

ხშირია შემთხვევები, როცა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს-ც** დაკარგულია:

ავალე **ხეფენგი** (ხეფენგის) კარი; **წიფლი** (წიფლის) ქერეჭის ჭამა; **თიფი** (თიფის) ზვინი; თვითონ წევდა იმ **მთი** (მთის) ზირში; იმ **დღი** (დღის) მემრე; **ვერცხლი** (ვერცხლის)

წყალი ავადდღე; გამარჯობა ნაძვი (ნაძვის) ხეო; დიდი წიფლი (წიფლის) ხე დგას; დაბლა ყანი (ყანის) ბოლო გააჭალავე.

სპორადულად კუმშვადი სახელის ნაცვლად უკუმშველი ფორმაა წარმოდგენილი:

ცხვარის (ცხვრის) ხორცი მეიტანა გასაყიდათო; დიდი კაკალის (კაკლის) ხე იდგა; ყველაზე ძნელი კდარისგან (კდრისგან) დაბასხუნებაა; იმფერი ქესტენები (ქესტენები) მოდიოდა; მისი ქმარის (ქმრის) სიკვდილი თურქეთში გააგებინეს; მაშინ ხარატულის აკვანები (აკვნები) იყო.

მოქმედებით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები -ით ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული ნაცვლად -თი დაბოლოებისა:

ფაკლაით (ფაკლათი) აძრა სახლი წინ; რაით (რით) გაგაძლო ქელფეთიო; იალბუზზე ყაზმაით (ყაზმათი) ხელში.

წარმოდგენილი ტექსტები გვიჩვენებს, რომ ვითარებით ბრუნვაში -ად/-დ ბრუნვის ნიშანი ყრუვდება და ისმის, როგორც -ათ/-თ. ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს:

მინდვრათ (ად) გაშლილი გუთნები; წითლათ (ად) შეღებილა; სანადიროთ (დ) გამომდგარიყვენ; პირველათ (ად) იმ დიდი გვარის კაცთანა გეგზანა; ჩიტების გროვა წასულა საძებნელათ (ად); ქვა წამლათ (ად) აქცია; ყეთმირიყ ქვია მიერენაირათ (ად); ჩვენთან სხვანაირათ (ად) კეთდება; შენი თავი ვის რათ (დ) უნდა; ბოლკოთ (დ) მუაჩვენა ბალანა.

იან სუფიქსიანი სახელები ვითარებით ბრუნვაში ა ხმოვნითაა წარმოდგენილი: ჩემიან ვედრიანა (ვედრიანად) დევეცი; ტაფიან ქათმი ნაჭრებიანა (ნაჭრებიანად) ძიში ლანდა მიცა;

საყურადღებოა ბრუნვის ფორმათა მონაცვლეობის შემთხვევები. ძირითადად მოსალოდნელი მოქმედებითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად სახელობითია გამოყენებული.

ბაღნების ერთაი (ერთად); ბაღნის მოსაკლელაი (მოსაკლელად); სასმელაი (სასმელად) იმა ვიყენებით; მეზობელი ბიჭი დაანახვეს სასიძოს მაგიერაი (მაგიერად); მოვხარბოთ ჩვენ გემრიელაი (გემრიელად); მაზლიშვილების ერთაი (ერთად); პირველაი

(პირველად) წყალი რომ არ დალიო; **პირველად** (პირველად) კარტოფილ ვგავდით; **წესიერად** (წესიერად) დამაჟღერებელი; თუთუნში წევდოდა **საკრეფელი** (საკრეფად).

სპორაღურად გვხვდება მიცემითისა და სახელობითის მონაცვლეობაც: ღივიძინა ყანი **პირად** (პირას).

დანდალოს მეტყველებაში, მსგავსად ზემო აჭარულისა, გვხვდება საკუთარ სახელებში -**ვ** წოდებითი ბრუნვის ნიშანი: **მერაბავ** ტირილში არ წევდეთ ჭო?; **ფატყუმავ** ამელამ აქ დავჩეთ და ხვალ წევდეთ; **თოფანავ** რამდენი წლის ხარ ჭო?.

ტექსტებში არის **ემფატიკური** ა ხმოვნის გამოყენების შემთხვევები. განსაკუთრებით კი ხალხურ შელოცვებში:

აღისა, მალისა, თვალი მეცა **ადგილასა, შინაგრისა, გარეველისა, თეთრისა, თეთრფერვანისა, შავისა, შავფერვანისა**; **ჰილა ჰილასა, სამსა დილასა, ...ოთხი ცერისა, ხუთი თითისა....** როგორც ცნობილია, ემფატიკური ა ხმოვნის გამოყენების შემთხვევები ხშირია აღმოსავლურ დიალექტებში, ხოლო დასავლურში ის ნაკლებად გამოიყენება. შესაბამისად, დანდალოს მეტყველებაში სპორაღურად ისმის.

ებ-იან მრავლობით რიცხვში **ე** ხმოვანფუძიანი სახელები იჩენენ თავისებურებას. სალიტერატურო ენაში **ე-ზე** დაბოლოებულ სახელებთან **ებ-იან** მრავლობითში ორი **ე** იყრის თავს. მაგრამ დანდალოს მეტყველებაში დისიმილირდება და გვაქვს **იე**. ეს საერთოდ მოქმედი პროცესია აჭარული კილოსთვის.

გაჩინდა რაცხა ღუნისთული ავატყოფობები, **სიმსივნეები** (სიმსივნეები); ბალნებს **სიცხეები** (სიცხეები) აქვან; ჰარამი ღმერთის მიერ აკრძალული **საქმიებია** (საქმეებია); ბაყა-ბაყა წვევლ **კიბიებზე** (კიბეებზე); კარტოფილ **ოფიებში** (ოფეებში) ვგავდით; **ხიებს** (ხეებს) ტყავების აძრობა ღუუნყო; ზამთარში **დღიები** (დღეები) დაჰანავდა, **ღამიები** (ღამეები) გეიზარდა.

აღნიშნული თავისებურება დამახასიათებელია მესხურ-ჯავახურისათვის [მარტიროსოვი,1984:53]. მოვლენა ფართოდ გავრცელებულია ტაო-კლარჯულ მეტყველებაში [ფუტკარაძე, 2016:251].

ე-ზე გათავებული სახელების ანალოგიით ენარმოებათ მრავლობითი რიცხვი ა ფუძიან სახელებსაც, გზა- **გზიები**, მთა- **მთიები**, ზღვა- **ზღვები**, მუხა - **მუხიები**, რქა -**რქიები**; კაკა -**კაკიები**. ეს თავისებურება საერთო დამახასიათებელი მოვლენაა აჭარულისთვის. ასვე ტაო-კლარჯული მეტყველებისთვის [ფუტკარაძე, 2016:313].

სახელებში ორმაგი მრავლობითობის შემთხვევაცაა დაფიქსირებული, მაგრამ მხოლოდ გვარებში:

დღეს რომ **ბალაძნებია**, **კველიძნებია** თლათ ამ კაცის ჩამოსახლებული არიან; დეერქვენ ჩხუბოლლები, **ჩხუბაძნიები**.

**ზედსართავი სახელი**: დანდალოს მეტყველებაში ზედსართავი სახელი რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ ავლენს. **მერეს** ნაცვლად სისტემურად გამოიყენება **მემრე**:

**მემრე (მერე)** ის ხის ქერქები ღელი წისქვილზე დააფქვია; **მემრე (მერე)** თოკებ გრიხავდენ; ამ დღი **მემრე (მერე)**; ტკივილი მქონდა მუხლებში, **მემრე (მერე)** კოჭებში, **მემრე (მერე)** გაშპა და გეიარა წევდა; **მემრე (მერე)** მე ვუთხარ; აბედა **მემრენ (მერე)** გაღვივდებოდა; **მემრენ (მერე)** მეიჭუჭკებოდენ კაცები.

**ასეთი, ისეთი** ფორმების ნაცვლად **ამფერი, იმფერი** გვხვდება: მე **ამფერი (ასეთი)** ლექსი მაქ ნასტავლი; თუ ვინმე **იმფერი (ისეთი)** სტუმარი მოვიდოდა; **იმფერი (ისეთი)** გემრიელი ქარი მეიქროლა; **იმფერი (ისეთი)** ქესტენები მოდიოდა; **იმფერი (ისეთი)** ზამთარიც ყოფილა რომ ჭადი გვექონია; **ამფერი (ასეთი)** თქმულებაც იყო; **ამფერი (ასეთი)** ბრძანებაც გუეცია; ახლა ჰად აქ **იმფერი (ისეთი)** გემო; ნაჭერი იყო **იმფერი (ისეთი)**; მე **იმფერი (ისეთი)** გენილი ვიყავ; იმ ბაღვსაც ქონდა **ამფერი (ასეთი)**.

უფროს ნაცვლად გამოიყენება **უმფო, იმფო** ფორმები. ეს მოვლენა ძირითადად შეიმჩნევა მოხუცთა მეტყველებაში: ნამუუნე რომ **უმფო (უფრო)** გვენათებია; რომ შეაქო **უმფო (უფრო)** შეიფერებს; **იმფო (უფრო)** ახალწელზე ვჭამდით; ახლოს გათხვება **იმფო (უფრო)** კაია.

**ნაცვალსახელი:** ყურადღებას იპყრობს **ეს, ის,** ნაცვალსახელები. ამ ნაცვალსახელებს მოკვეცილი აქვთ თანხმობითი ნაწილი და წარმოდგენილია მხოლოდ ხმოვანი **ე, ი:**

**ე (ს)** თავანი რამდენათ გიგივეთებიაო; **ე (ს)** რა ბული დგასო; **ე (ს)** ინსანი თუ გაჩენილი გყავდა, მე რაღას მაჩენდიო; **ი (ს)** გოგო მემრენ სხვას მიათხოვა; **ი (ს)** გოგო მან წეიყვანა; **ე (ს)** ცოლ-ქმარი ყანას ფხეკენ; **ი (ს)** ჰაცხაიდან მაიც გამჟღავნდება; მეგემ გუუშვიან **ე (ს)** კაცი; **ე (ს)** რა იჯები ლელიავ; ღმერთო **ი (ს)** დრო მომასტარი; **ე (ს)** რა მოგიტანიაო; ტფობით მოკლა **ი (ს)** საწყალი; **ი (ს)** რა ზოვლი ძალი მუუყვანია; ამოსული არიან **ე (ს)** ზაფხულია; **ე (ს)** რა ზოვლი უფრუტუნებს.

**ამას, ამის, მაგი** ნაცვალსახელების ნაცვლად წარმოდგენილია **ამა, იმა, მაი** ფორმები: **იმა (ს)** უნდა ხაშარი; გადმოდენე **მაი (მაგი)** ხობვები; **მაი (მაგი)** ფუჩიები ხომ არ გეგვეყიდა; არ ვიცოდი **ამი (ს)** თავი; **იმა (ს)** მოხნა არ უნდა; **იმა (ს)** ვჭამდით; **იმა (ს)** ნიშანი ქონდა თუ არაო; **იმა (ს)** ვართმევდით; **იმა (ს)** შავი ღლე დაადგებოდა; **იმა (ს)** მუაბამდი მარხილ.

**სად** კითხვითი ნაცვალსახელი სისტემებრ **ჰა, ჰად, ჰაიდან** ფორმითაა გავრცელებული. ეს საერთო დამახასიათებელი თავისებურებაა აჭარული კილოსთვის:

ახლა **ჰად (სად)** აქ იმფერი გემო; **ჰა (სად)** იყო ცალ-ცალკე საინები; **ჰაცხაიდან** მაიც გამჟღავნდება; **ჰაიდან (საიდან)** გამოდის ფუტკარი; ვინ **ჰად (სად)** მიდის; **ჰალა (სად)** შეუძლია; მამამისი შიში მგონე ბიჭია და ჰადმე (სადმე) წევდეს; კიდე **ჰაიდან (საიდან)** გამოხტება არ ვიცი; **ჰაცხა (სადმე)** ტყიძირში შეათარა თავი; **ჰა (სად)** გაგონილა; **ჰაცხა (სადმე)** წყალი გვენება; ნადი **ჰად (სად)** იყო; **ჰაიდან (საიდან)** მეიყვანა.

დასავლური კილოების მსგავსად, დანდალოს მეტყველებაშიც გვხვდება **თავისი** და **მისი** ნაცვალსახელთა აღრევის შემთხვევები: **მისი (თავისი)** ქმარის სიკვდილი თურქეთში გააგებინეს; **მისი (თავისი)** მამის სიკვდილმა გაანადგურა კაცი.

**ზმნა:** დანდალოს მეტყველებაში ზმნასთან დაკავშირებული თავისებურებები მრავალფეროვანია. განსაკუთრებით თავისებურებას იჩენს ზმნის მრავლობითი რიცხვი. სუბიექტური მესამე პირის **-ნენ** ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილია **-ენ** დაბოლოება: ერთ

დღეს სტუმრები **მუუვდენ** (მოუვიდნენ); ისინი **მიმივიპანტენ** (მიმივიპანტენენ); ხარისხიან ძეს **ინველებოდენ** (ინველებოდენენ); იქ **გადენიდენ** (გადენიდენენ); მაშინ **გაგვაგზანიდენ** (გაგვაგზანიდენენ); იქ კანათ **თესევდენ** (თესავდენენ); **შააჭმევდენ** (შეაჭმევდენენ) და მუერჩებოდა; ადრე მას წონოლა მთას **უძახდენ** (უძახდენენ); **მუუახლოვდენ** (მოუახლოვდენენ) გამოქვაბულს; პირში ენა **ჩუუვარდენ** (ჩუუვარდენენ); გაჭენებული **გედევშვენ** (გადაევშვენენ); სისტრათით **მიქროდენ** (მიქროდენენ); ასკერები **შემეიპარენ** (შემეიპარენენ); ერთ სახში **მეინუჭკებოდენ** (მოიჭუჭკებოდენენ); რომ გაცივდებოდა ისევ **აცხელებდენ** (აცხელებდენენ); ხის მორს **ვილებდენ** (აილებდენენ); შიან გულ **ამოჭრიდენ** (ამოჭრიდენენ), **ამოალმავებდენ** (ამოალმავებდენენ) და თითო ფუტკრის ოჯახს **ყრიდენ** (ყრიდენენ).

სალიტერატურო ფორმისაგან განსხვავებით, დანდალოს მეტყველებაში სუბიექტურ მესამე პირში -თ მრავლობით რიცხვს ენაცვლება -ნ: ჩიტებს დაპატიჟებული **ყავდენ** (ყავდათ); **დუუნყევლიან** (დაუნყევლიათ) ჩიტებს; ის ხომ არ **წუყყვანიან** (წაუყყვანიათ); ვახშამი რომ დუუდგმიან (დაუდგმიათ); **გამუყყრიან** (გამოუყყრიათ) თეთრი კანჭები; ოჯახი არ იყო რომ ბაღნები არ **ყოლოდენ** (ყოლოდათ); ვახტუნდა თურქების შემოსევების დროს მეგემ ყველაი **გუუსლიმანებიან** (გამუსლიმანებიათ); კავიანის ხილი რომაა, იქ **დუუდვიან** (დაუდვიათ) თავსაკვეთები; **დუუნყიან** (დაუნყიათ) ხატები; ბევრი ხალხი თავმოკვეთილები **გუდუყყრიან** (გადაუყყრიათ) აჭარი წყალში; ერთი პერიოდი იმდენი თავი **ჩუუყყრიან** (ჩაუყყრიათ), რომ აჭარი წყალი წითლათ შეღებილა თლათ; იმ წონოლა მთისთვინ **შუუფარებიან** (შეუფარებიათ) თავი; მათ არ **მუუღიან** (მიუღიათ) მუსლიმანობა; ქრისტიანული ხატები და ჯვრები **ქონდენ** (ქონდათ); პირში ენა **ჩუუვარდენ** (ჩაუვარდათ).

გვხვდება შემთხვევა, როდესაც წყვეტილის მწკრივში -ე დაბოლოებას ემატება ვი: სახლში ძალი **მევეყვანევი**; ჯარში წერილი **დავწერევი**; ვოლგით **მევეყვანევი** მე ქალი; ბევრი წიგნი **წევკითხევი**; ბალვი გიდიმირჩა და ერთი ცხვარი **შეწწირევი**.

დანდალოს მეტყველებაში მესამე პირის ობიექტური პრეფიქსები არაა წარმოდგენილი ზოგიერთ ზმნებში: ყავს, ქონდა, გავს, მოჰარა და ა.შ. მაგ: მას ოთხი შვილი (ჰ)ყავდა; წინწინ წყლის წისკვილები (ჰ)ქონდენ; ი რა ძალიან მამამის (ჰ)გავს.

საანალიზო ტექსტი გვიჩვენებს, რომ თავისებურია თემისნიშანთა გამოყენების შემთხვევებიც. -ავ თემის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია -ევ ფორმა: ათი წლიდან ჭვირთს ვზიდევდი (ვზიდავდი); შიანედან გზას ხედევდი (ხედავდი); ერთი ნახვით ნახევდი (ნახავდი); მარილში დამარილევდა (დამარილავდა) და დაახურევდა (დაახურავდა); საძვარზე დანისლევდა (დანისლავდა); მერე გავბიშევდით (გავბიშავდით) იოხი ჯოხით; ყართუფას ზიდევდა (ზიდავდა) ბაბაი ბრუვით; ჭადი ჰად იყო, ჰა ნახევდი (ნახავდი); მერე მოკერევდა (მოკერავდა) და ისე ჩამოქონდა; სელს თესევდენ (თესავდენ); დავკეტევდით (დავკეტავდით) კარებ; სტუმრისთვინ ვინახევდით (ვინახავდით).

სპორადულად -ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება -ევ ფორმა: კამპეტებს ვკიდევდით (ვკიდებდით) ნაძვის ხეზე; ხელიხელ ჩავკიდევდით (ჩავკიდებდით) და ისე წევლოდით სკოლაში.

**ზმნისწინი:** ზმნისწინისეული ხმოვნითი ნაწილის შეცვლა ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი პროცესია. ასევე, დანდალოს მეტყველებაშიც მოსალოდნელი ზმნისწინი წარმოდგენილია სახეცვლილი ფორმით. შე ზმნისწინის ნაცვლად გვხვდება შა ფორმა: შააჭმევდენ (შეაჭმევდენ) და მუურჩებოდა; შაადარა (შეადარა) მისი ქრივი საყვარელი; შაალამაზოს (შეალამაზოს) შვიდი კონა ქაცვი; შენ შაასრულე (შეასრულე) ვალია; მას შავანვა (შევანვა) ფიშეკები; ვინ არ შავანუხე (შევანუხე); ღარმის სახში შაანია (შეანია); შაფუყვებოდი (შეფუყვებოდი) ზეითვენ; ბალანა ძალღმა შააშინა (შეაშინა).

შემო ზმნისწინის ნაცვლად შამო ფორმაა წარმოდგენილი: მემრე ნენეი შამოვდა (შემოვდა); დასისხლიანებული შამოვარდა სახში; მამაჩემმა შამომისტრა (შემომისტრა); სასიმამრო სასიძოს შამოკრევდა (შემოკრავდა) მუთაქას; შამოვდა (შემოვიდა) ე ჰანაი ტრაქტორები; შამოსევლი (შემოსევლი) არიან.

**ზმნიზღდა:** საინტერესოა სურათს გვიჩვენებს ზმნიზღდა დანდალოს მეტყველებაში: **ხანჯელ** ერთ მეზობელ აართმევდა ფქვილ და ჭად; **წინწინდულა** ახლა ჰალადაა, გაადვილდა ცხოვრობა; **ამწინაებზე** მიველ მალაზიაში და სიძვირე იყო, **ამწახანება** გუუფებთან ყველაფერი; **თანისთან** თოხნე ბახჩა, თვარა ერთდა მოგეყრება ყველაფერი მერე; რა მეცოდება ი გოგო, **თოფლობით** მიდიოდა; **უჩუმარაი** გამეგვარე სახლიდან.

როგორც ცნობილია, ადგილის ზმნიზღდა სალიტერატურო ენაში გადმოიცემა მიცემითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმით. დანდალოს მეტყველებაში -ში თანდებულიანი მიცემითის ნაცვლად გვხვდება უთანდებულო ფორმა: წეიბარგენ **ბათუმ** (ბათუმში); ეიდა ველარ წევდით **ბათუმ** (ბათუმში); ყველაი **ბათუმ** (ბათუმში) ცხოვრობენ.

სპორადულად გვხვდება **აგზე, იგზე, აქში, იქში** ფორმები აქ, იქ ფორმათა ნაცვლად:

**აგზე** გუდუუხტა ძროხამ და ძუძუ გეიფრინა; **აგზე** რათ უნდა ბარგს დაყრა **იგზე** ვერ დაანყე?; **იქში** იქნება ჩაყრილი და ერთმანებში არეული; **აქშინა** იყოს შენახული.

**თანდებული:** საინტერესოა თანდებულის გამოყენების შემთხვევები დანდალოს მეტყველებაში. ხშირად -თვის თანდებულის ნაცვლად -თვინ ფორმა გვხვდება:

**სახურავისთვინ** (სახურავისთვის) ყავარს აძრობდნენ; მოჭრეს დიდი ხე **ყავრებისთვინ** (ყავრებისთვის); **ვისთვინ** (ვისთვის) მოგირთმევიო; გატეხილი **ცულისთვინ** (ცულისთვის); მამაშენი **სულისთვინ** (სულისთვის); **თქვენთვინ** (თქვენთვის) სული არ შემებრალება; მაცდუნებელი აღმოჩნდა **თურქებისთვინ** (თურქებისთვის); ამის **გაკეთებისთვინ** (გაკეთებისთვის); **შენთვინ** (შენთვის) გიდიმიკდება; მისი **თვალისთვინ** (თვალისთვის) რომ მიეხედა; იმ წონოლა **მთისთვინ** (მთისთვის) შუუფარებია; შიშას **ზამთრისთვინ** (ზამთრისთვის) ვამზადებდით.

-ვით თანდებულის ნაცვად გამოიყენება -ვინ ფორმა:

**მაკრატელივინ** (მაკრატელივით) პირი ქონდა; **დედასავინ** (დედასავით) მიყვარს შენი თავი; **გველინაკუნეივინ** (გველინაკუნეივით) მახსოვს; **ზოფასავინ** (ზოფასავით) კაცი; მამამთილი **მამასავინ** (მამასავით) გელინო; დედამთილი **დედასავინ** (დედასავით) გელინო; მაზლი არი **ძმასავინო** (ძმასავითო) გელინო; **მიტკალივინ** (მიტკალივით)



გათეთრებულია; წითელი **ვაშლივინ** (ვაშლივით) ჩუწითლებია ი ლოყები; რას ღელავ **ზღვასავინ** (ზღვასავით).

-**მღე** თანდებულის ნაცვლად გამოყენებულია -**მდინ** ფორმა: **თვლამდინ** (თვლამდე) ხან წამლა, ხან მორწყა; სკოლიდან **მოსლამდინ** (მოსვლამდე) იქ გადენიდენ; **ზამთრამდინ** (ზამთრამდე) გვყოფნოდა.

**კავშირი**: კავშირი რაიმე სპეციფიკურ თავისებურებას არ ავლენს. **მაგრამ** კავშირის ნაცვლად გამოიყენება **მარა** ფორმა: მე მუუსტარ, **მარა** თავი ვერ გამუაძრობიე; ნამანევიც არის, **მარა** რატომ ქვია ვერ გეტყვი; ჭადი ქვექონია, **მარა** ყველი აღარ იყო;

**რომ** კავშირის ნაცვლად გვხვდება **რომე** ფორმა: **რომე** ერთი ჩემი გოგოს ყისმეთი ვარჩევით; ახლა **რომე** ბუხარ ვუძახით; იმფერი გემიელი ქარი მეიქროლა, **რომე** დუნია გააგრილა; **რომე** შენ ამდენი შვილები გყავს;

**თორემ** კავშირის ნაცვლად **თვარამ/თვარა** არის წარმოდგენილი: ოჯალის ყველა წევრისთვის მიცენა, **თვარა** (თვარა) იმდენი ნამარხი მადლათ არ დეგენერება; ახორში პოლი ჩიმივარდა, ჩასაპოლია, **თვარა** (თორემ) დეკნაი ჩავარდება შით; სხვაზე ნაკლები არ ქონდენ მათ, **თვარა** (თორემ) თუ არ გინდებიან კუდი ღილიას გზა ბარაქსა.

**ნაწილაკი**: **უნდა** ნაწილაკი დამოუკიდებლად არ გვხვდება და სახელებთან ან ზმნასთანაა შეზრდილი. თხელი **წვენი** (წვენი უნდა) იყოს; ოღონდ **ვურიოთნა** (ვურიოთ უნდა); **წვენში** (წვენში უნდა) გავხსნათ; **თათანა** (თათა უნდა) შუურიოთ; შაქარში **მოვგილოთნა** (მოვგილოთ უნდა); **ჩვენა** (ჩვენ უნდა) ვაჭამოთ შერბეთი; ჩევდა **ჩამეეტანანა** (ჩამეეტანა უნდა); **ძითათანა** (ძითათა უნდა) გუუკეთო; მაგათ **ვინა** (ვინ უნდა) მიმოდოს; **ძათინა** (ძათი უნდა) გამოკოჭო და **შუელოცონა** (შეულოცო უნდა); პირში **პურინა** (პური უნდა) გამუუსვა; შვიდი **ლუკმანა** (ლუკმა უნდა) შეჭამო; ტყულაი **ალიგინა** (ალიგი უნდა) დეიკავო; **პატივინა** (პატივი უნდა) ეცა ჩემთვის; **წევყვანონა** (წევყვანო უნდა) შენი პრატი; **ზღვაშინა** (ზღვაში უნდა) გეიქნიოს; **მოშუშვებამდენა** (მოშუშვებამდე უნდა) ვურიოთ; აღუღებულ **წყალშინა** (წყალში უნდა) ჩავყაროთ; **ცრემლებინა** (ცრემლები უნდა) იყოს გულიანი.

უნდა ზმნის ნაწილაკად ქცევა დადასტურებულია ზოგიერთ ქართულ დიალექტში, კერძოდ, აჭარულში, ჭავჭავურში და საერთოდ მოქმედი პროცესია აჭარულში და არა მხოლოდ დანდალოს მეტყველებაში [ნიჟარაძე, 1975:134, მარტიროსოვი, 1984:67]. ასევე, ეს მოვლენა გავრცელებულია კლარჯულ დიალექტებში [ფუტკარაძე, 2016:238].

**თურმე** ნაწილაკის ნაცვლად გვხვდება **მეგემ** ფორმა: **მეგემ** დუწყველია მამას შვილი და ვეღარ გუუხარია; **მეგემ** რუსი ქალი მუყყანია, მარა აჭარელს გუუსტრო ოჯახის ქალობაში; **მეგემ** სამი თვის ბალანა ჩამოკიდებულა ხის ტოტზე და გადარჩენილა.

**ლამის, თითქმის** ნაწილაკის ნაცვლად ხშირად გამოიყენება **ლარმის, კილარმის**: **ლარმის** ბალანა გუუტანია მაშინას; **კილარმის** დეივსო ოჯახი; **ლარმის** დეინვა სულიკოს სახლი.

საანალიზო ტექსტი გვიჩვენებს, რომ დანდალოს მეტყველებაში გვხვდება არ ნაწილაკის დართვით **ორმაგი უარყოფის** შემთხვევებიც. წერას **აფერი არ ეშველება**; ახლა **აღააფერი არ მოდის**; შორებლისა **არაფელი არ იცი**; **არც** კინის შეტანა არ შეიძლება.

ამრიგად, დანდალოს მეტყველება საინტერესო მორფოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება. სახელობით ბრუნვაში სახელები დაირთავენ ი ბრუნვის ნიშანს: **ჰანაი, ბაბაი, ტყვილაი, ფარდუკაი, კვირიკობაი, ნენეი, ხოზიკაი, დეკნაი, ჭინკაი** და სხვა.

არის შემთხვევები, როცა პირდაპირი დამატება არ დაირთავს მიცემითი ბრუნვის ნიშანს: ვგავდით **კარტოფილ (ს)**, დანვევდა **იალ (ს)**, **ჰურ** ანობდა (ს), **ორმოფე** (ს) ვთხრიდიდთ, გააკეთებდა **ბორან (ს)**, აკეთებდენ **ბუკეტებ (ს)**.

ხშირად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს-ც იკარგება: **ხეფენგი (ს)** კარი, **წიფლი (ს)** ქერეჭი, **თივი (ს)** ზვინი, **ვერცხლი (ს)** წყალი, **ყანი (ს)** პირაი და სხვა.

კუმშვადი სახელების ნაცვლად უკუმშველი სახელებია წარმოდგენილი: **ცხვარის, კაკალის, კდარისგან, ქესტენები, ქმარის, აკვანები**.

ვითარებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან -თი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად -ით გვხვდება: **ფაკლაით, ყაზმაით** და სხვა.

მოქმედებით ბრუნვაში ად/დ ბრუნვის ნიშანი ყრუვდება და ისმის ათ/თ: მინდვრათ, წითლათ, პირველათ, საძებნელათ, წამლათ, ბოლკოთ, სანადიროთ და სხვა.

-იან სუფიქსიანი სახელები ვითარებით ბრუნვაში -ად ბრუნვის ნიშნის ნაცვლად -ა ხმოვნითაა წარმოდგენილი: ვედრიანა, ნაჭრებიანა.

საანალიზო ტექსტებში გვხვდება ბრუნვის ფორმათა მონაცვლეობის შემთხვევებიც. კერძოდ, მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმა: ბაღნის მოსაკლელაი, სასმელაი ვიყენებდით, სასიძოს მაგიერაი, მოვხარშოთ ჩვენ გემრიელაი, წესიერაი დამაჟდუმლე და სხვა.

იშვიათად გვხვდება მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ფორმა: ყანი პირაი.

დასტურდება ემფატიკური ხმოვნის გამოყენების შემთხვევები: ადგილასა, შინავრისა, გარეველისა, სამსა დილასა, ცერისა, თითისა და სხვა.

ებ-იან მრავლობითში ე-ზე გათავებული სახელები ნაცვლად ორი ე-სი დისიმილირებული იე ფორმითაა წარმოდგენილი: სიციხეები, საქმიები, ოფიებში, ხიები, დღიები და სხვა. ამ მოვლენის ანალოგიით გვხვდება ა-ზე გათავებული სახელების მრავლობითი რიცხვიც: გზიები, მთიები, მუხიები, რქიები, კაკიები და სხვა.

საანალიზო ტექსტების მიხედვით ზედსართავი სახელები რაიმე თავისებურებებს არ ავლენენ. მერეს ნაცვლად გვხვდება მემრე/მემრენ ფორმები.

ასეთი/ისეთის ნაცვლად დასტურდება ამფერი/იმფერი.

უფროს ნაცვლად გამოიყენება უმფო, იმფო.

ნაცვალსახელებიც ავლენენ თავისებურებებს. კერძოდ, ეს, ის ნაცვალსახელები ე,ი ფორმით გვხვდება: ე (ს) თავანი, ე (ს) ინსანი, ი (ს) გოგო, ი (ს) სანყალი, ე (ს) ზაფხულია და სხვა.

ამას, ამის, მაგის ნაცვალსახელის ნაცვლად გვხვდება ამა, იმა, მაი ფორმები. იმა (ს) უნდა, მაი (ს) ხობვები, ამი (ს) თავი, იმა (ს) ვჭამდით, იმა (ს) მუაბამდი და სხვა.

სად, საიდან კითხვითი ნაცვალსახელის ნაცვლად დასტურდება ჰა, ჰად, ჰაიდან; ჰა იყო, ჰად მიდის, ჰაიდან გამოხტა, ჰა გაგონილა, ჰაიდან გამოდის და სხვა.

მრავალფეროვანია ზმნასთან დაკავშირებული თავისებურებებიც. სუბიექტური მესამე პირის - ნენ დაბოლოების ნაცვლად გვხვდება -ენ: მუუვდენ, მიმეიჰანტენ, უძახდენ, შააჭმევდენ, მუუახლოვდენ, ცუუვარდენ, შემეიჰარენ და სხვა. ხოლო -თ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ენაცვლება -ნ დაბოლოება: ყავდენ, დუუნყევლიან, წუუყვანიან, დუუდგმიან, გამუუყრიან და სხვა.

წყვეტილის მწკრივში ე მწკრივის ნიშანი გართულებულია, ემატება ვი: მევეყანევი, წევკითხევი, დავნერევი, შევნირევი.

სისტემებრ დაკარგულია მესამე ობიექტური პირის ნიშნები შემდეგ სიტყვებში: ყავს, ქონდა, გავს, მოჰარა და მისთ.

საინტერესოა თემის ნიშანთან დაკავშირებული თავისებურებებიც. -ავ თემისნიშნის ნაცვლად გვხვდება -ევ ფორმა: ვზიდევდი, ხედევდი, დამარილევდა, დახურევდა, ნახევდა და სხვა.

სპორადულად გვხვდება -ებ თემისნიშნის ნაცვლად -ევ ფორმა: ვკიდევდით; ჩავკიდევდით.

რაც შეეხება ზმნისწინთა თავისებურებებს: შე, შემო ზმნისწინის ნაცვლად გვხვდება შა, შამო: შააჭმევდე, შაადარა, შაალამაზა, შაასრულა, შავანვა, შამოვდა, შამოვარდა, შამომისტრა და სხვა.

სპორადულად გვხვდება აგზე, იგზე, აქში, იქში ფორმები აქ,იქ ფორმათა ნაცვლად:

აგზე გუდუხტა, იგზე ვერ დაანყე?; იქში იქნება ჩაყრილი, აქშინა იყოს შენახული.

საინტერესოა სურათს გვიჩვენებს თანდებულებიანი ფორმები: -თვის თანდებულის ნაცვლად გამოიყენება -თვინ: სახურავისთვინ, ყავრებისთვინ, ვისთვინ, სულისთვინ, ცულისთვინ, გაკეტებისთვინ, შენთვინ და სხვა.

-ვით თანდებული -ვინ ფორმითაა წარმოდგენილი: მაკრატელივინ, დედასავინ, ზოფასავინ, ვაშლივინ, ზღვასავინ და სხვა. -მდე თანდებულის მონაცვლეა -მდინ: თვლამდინ, მოსლამდინ, ზამთრამდინ და სხვა.

გვხვდება სახელთა უთანდებულო ფორმები, რომლებიც ადგილის გარემოების ნაცვლად გამოიყენება: წეიბარგენ ბათუმ, ცინარეთ გიეთხვა და სხვა.

კავშირები რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენს. მაგრამ კავშირის ნაცვლად გვხვდება მარა ფორმა, რომ კავშირის ნაცვლად რომე, ხოლო თორემ კავშირის ნაცვლად თვარა.

უნდა ნაწილაკი სახელთან ან ზმნასთან შეზრდილია გამარტივებული სახით: ვურიოთნა, მოვზილოთნა, ჩვენნა, წვენშინა, ჩამეეტანანა, შუულოცონა.

თურმე ნაწილაკს მონაცვლედ გვხვდება მეგემ, ხოლო ლამის, თითქმის ნაწილაკის ნაცვლად ღარმის, კიღარმის.

დასტურდება ორმაგი უარყოფის ფორმებიც: აფერი არ ეშველება, ალააფერი არ მოდის, არც კინის შეტანა არ შეიძლება და სხვა.

### III თავი

#### დანდალოს მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი

დანდალოს მეტყველება საინტერესოა სინტაქსური თავისებურებებითაც. კერძოს, აქაურთა მეტყველებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა პრეპოზიციულია:

მინდორში იდგა დიდი კაკალი; უშველებელი კაკალი იყო; ამ კაკალ ქონდა დიდი ტანები; კილამის ნახევარ ბულულს მომკიდევდა; ყველა ოჯახში ეში-ტოლი ბაღნები ვიყავით; ხარისხიან ძეს იწველებოდენ; შინაური მაზები დაადვა თვალზე; შაადარა მისი ქრივი საყვარელი; გამეიყვენს შუუკაზმელი ცხენები; ფხარზე შავი ელელეცი აქო; ამ სოფელში აშენებული იყო დიდი ყულე; შით სულ ოთხი რამკა ეტევა; ავნიე დიდი სქელი წიგნი; ბაყაყის მოკლა ცუდი ავდრის ნიშანია.

სალიტერატურო ენაში, სადაც მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მასთან დაკავშირებული საზღვრული და ზმნა მხოლოდით რიცხვში უნდა იდგეს, მაგრამ დანდალოს მეტყველებაში ზოგჯერ ეს წესი ირღვევა და გვაქვს საზღვრულიცა და ზმნაც მრავლობით რიცხვში: ორი ლამაზი გოგონები (ორი გოგო) ხატების წინ იდგენ (იდგა); ექვსი დედმამიშვილები (ექვსი დედმამიშვილი) ვიყავით; სამი დები იყვენ (სამი და იყო), სამი ლამაზი ქალბატონები (სამი ლამაზი ქალბატონი) მოდიოდენ.

განსხვავებით სალიტერატურო ენისგან, აქაურთა მეტყველებაში, მსაზღვრელად წარმოდგენილ კრებით სახელთან საზღვრული მხოლოდითის ნაცვლად მრავლობითში დგას: ერთი დღე ბევრი ბაღნები (ბევრი ბაღანა) ვიყავით; ბევრი ხალხი თავმოკვეთილები (თავმოკვეთილი) გუდუყურიან; ბევრი სამუშაოებია (სამუშაოა) ჩასატარებელი და ა.შ

გვხვდება შემთხვევები, როცა გარდაუვალ ზმნასთან II სერიის ფორმებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას.

მეგემ ამ (ეს კაცი) კაცმა ცოტა შეწუხდა; ადგა ქალმა (ადგა ქალი), მივდა პოლინციაში; ყემზემ თაშამ (ყემზემ თაშა) გამოვდა; ერთმა კაცმა (ერთი კაცი) დეიბადა; ზარმა უკვე დეირეკა (ზარი დეირეკა); თოვლმა ჩამოვდა (თოვლი ჩამოვდა) სერიებზე; ვირს ზეიდან ნურმა ჩამუევდა (ნური ჩამუევდა).

სალიტერატურო ენის მიხედვით მსაზღვრელად წარმოდგენილი I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში უნდა დაირთავდეს მიცემითი ბრუნვის ს ნიშანს, მაგრამ თითქმის სრული შეთანხმება დარღვეულია: ჩემ ანას (ჩემს ანას) ნენიკას ვუზახდით; ჩემ ბალანას (ჩემს ბალანას) ფეხი გუუსრიალდა ქვაზე და ლარმის გამევესე; ჩემ ამხანაგს (ჩემს ამხანაგს) დედა მუუკდა და იქ მივაღ; ჩემ გუღს (ჩემს გუღს) დავაჯერებ მაიც.

კუთვნილებით ნაცვალსახელს, როცა დაერთვის თანდებული, მაშინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი კუთვნილებით ნაცვალსახელს არ სჭირდება, მაგრამ ადგილი აქვს აღრევას. ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი: ჩემს გამო (ჩემ გამო) კინალამ მოკდა კაცი; ჩემს შემდეგ (ჩემ შემდეგ) შენ იქნები რიგში; ჩემს შესახებ (ჩემ შესახებ) ვინმემ რამე არ იცის.

ამრიგად, დანდალოს მეტყველებაში არაერთი საინტერესოა სინტაქსური თავისებურებაც გამოვლინდა.

## IV თავი

### დანდალოს მეტყველების ლექსიკური თავისებურებები

დანდალოს მეტყველება საინტერესო სურათს იძლევა ლექსიკის კუთხით. ჩანერილმა ტექსტებმა საშუალება მოგვცა გამოგვეყო ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორცაა: არქაული ფორმები, საკუთრივ დიალექტიზმები, უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული სიტყვები, ზანიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმები.

**არქაული ფორმები:** აჭარული კილოს ლექსიკურ ფონდში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი და საშუალო პერიოდის ქართული ენის ლექსიკა. ამ მხრივ არც დანდალოს მეტყველებაა გამონაკლისი:

**აბანო** - სააბაზანო: იმხელა თრალი იყო, რომ სანამ აბანოში ცივი წყლით არ დეიბანა, ვერ გამოკეთდა. შდრ. აბულაძე: დასაბანელი სახლი; საბა - სახლი დასაბანელი;

**აბელი** - წინწკალს აბელაით ვანთობდით: შდრ.: საბა - ეს არის ნივთი მსწრაფლ ცეცხლის შემწყნარებელი.

**ალაგი** - ადგილი: წინე, დამაჟდუმლე, ამხელა ალაგი ტყვილაი ხომ არაა: შდრ.: აბულაძე - ბილიკი, გზა; საბა - დასადგომი ანუ დასადებელი.

**აპოხტი** - ხმელი ხორცი: ქათმებს დავასუქებდით და მერე აპოხტებ ვაკეტებდით. შდრ. აბულაძე - ხმელი ხორცი; საბა - ყოველთა ხორცთა ხმელთა სახელია.



**ასტამი** - რკინის ნიჩაბი: მაგ ასტამზე დაყარე ნაკვერცხალი და ახორში შეიტაი, რომ ჰაერი გათბეს. შდრ.საბა: ცომის მოსაფხევი.

**ბაგა** - ბოსელის ნაწილი: ძროხას ხობო ბაგაში ჩეეგლო. შდრ.:აბულაძე - ბოსელი, გომი; საბა- პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი.

**ბულული** - მომოკოჭებდა თივას თოკვით, კილამის ნახევარ ბულულს. შდრ. საბა: ბული-ბული ღერღეტის ხადილი.

**გარგანი** - ჯობი: გარგანი უნდა მაგას, მეტი არფერი. საბა: „არგანი არს კვერთხის უსხოსი, საბრჯენელათ და დასაყრდენი კაცთა უძლურთათვის.

**გროვა** - გუნდი: ჩიტების გროვა წასულა საძებნელათ. შდრ. საბა: გროვა მარტო ფრინველთა.

**დაგვაჯება** - მიბაძვა:ერთმანებს ეგვაჯებოდენ გენილები და აფერს არ აკეთებდენ.

შდრ.: ჩუბ.: „კეთილი შური, რათა არ უღარეს უქმნეს იქმნეს სხვათაგან“.

**ღრამი** - პატარა, ნამცეცა: ერთი ღრამია და რამდენს ბედავს. შდრ.ნიჟ.: პანანა, ბენო; საბა: ექვსის დანგის წონა.

**ელელეცი** - ნიშანი: მარცხენა ფხარზე ქონდა ელელეცი.შდრ.საბა: ტყირპია, ელენთა.

**კანული** - დასაწყისი: ი რომ კანული გაღებულია რაც გინდა ის დარგე მერე. შდრ.საბა: ქართ. კანობი - გაზაფხულ პირველ ხარის შებმას უწოდებენ მესხნი.

**კუტი** - პატარა: კუტი ლამბაი ანთული იყო. შდრ.საბა: საპყარი.

**მძივი** - მძივები ქონდა ასხმული. შდრ.აბულ: საბეჭდავი; საბა: ეს არის მრგვალად ქმნილი ილიკრო, გინა ქვა, გინა ჭიქა გახვრეტილი, მკერდზე ასაცმელი; აბულ: საბეჭდავი.

**ნამსხმანი** - ადამიანის სხეული: მთელი ნამსხმანი მენვის. შდრ. აბულ.:იოგი; ნიჟ.:ადამიანის სხეული, ტანი.

**ნაფუზარი** - ამ ჩვენი ნაფუზრის ხნულები. შდრ.საბა: ნაფუძარი, ნასახლარი.

**ნაფოტი** - ნაჯახით ჩამონაფოტა. შდრ.საბა: ხეთ ანათალი, ანახეთქი.

**ნაჯახი** - ნენიკამ მეიტანა ნაჯახი და თავი წააგდებია. შდრ. საბა: მცირე ცული, ხელცული.

**ფათრობა** - მკითხაობა: იტყვიან ფათერმა ვინცხას ყისმეთი ღუეკოჭაო. შდრ. საბა: ბებლი.

**ქერეჭი** - ომიანობი ღროს ჩვენ წითულიქერეჭის ჭამა არ მოგვწევია. შდრ.საბა: ქერეჭანი.

**ღალადი** - ბიბინი: მოსავალმა იწყოს ღალადი. შდრ.აბულ: ხმის ყოფა, ყვირილი, ძახება.

სპორადულად გამოვლინდა ისეთი არქაული ერთეულები, რომელიც დანდალოს მეტყველებაში და საერთოდ აჭარულ დიალექტში განსხვავებული შინაარსის მატარებელია. მაგ: **კუტი** - საბას განმარტებით საპყარი, ხოლო დანდალოს მეტყველებაში პატარას ნიშნავს: ერთი კუტი ლამბაი გვექონდა. ამავე რიგისაა **ღალადი**. აბულადის განმარტებით ნიშნავს ყვირილს, ძახებას, აქაურთა მეტყველებაში კი - ბიბინს.

გამოვლინდა ისეთი **არქაული ფორმებიც**, რომელთა შესწავლა დაგვეხმარება ფუძენის კუთვნილი არქეტიპის აღდგენაში. ამ მიმართებით საერთოქართველურ ფუძეთა გვერდით გამოყოფენ აჭარული დიალექტის ლექსიკაში არსებულ ლექსემებს [ნოლაიდელი, 2013:4]. ასეთი ლექსიკური ერთეულები დანდალოს მეტყველებაშიც გვხვდება. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთს.

**ახუპვა** - ხელში აყვანა: ეიხუპებდა ბალანას და სოფელ-სოფელ დადიოდა. შდრ.ნოლ.: ხელში აყვანა, დანაოჭება. სვან. თავს უყრის, ანაოჭებს.

**გვარდა** - ხის ჭურჭელი: გვარდაში იანახავენ ჩვენი მემთევრები ყველ და კარაქ. შდრ.ნოლ.: - ოვალური ფორმის მოგრძო ხის ჭურჭელი (შდრ.მეგ.გორდა - ირიბი. გითოგორდა რენია - გამოზნეცილია). ძველ ქართულ ფუძეს **მგუარდლ** დაცული აქვს **გუარდ** ძირის უძველესი სახე [ნოლაიდელი, 2013:15].

**დასკუჭული** - დაკუტებული, მოკლე: სკოლაში დასკუჭვილ კაბებს არ ჯობია შარვალი ჩეიცვან. შდრ.ნოლ.: ტანდაბალი ადამიანი, დაკუტებული. იტყვიან კაბაზეც. სვანურთან მიმართებით აჭარულს ახასიათებს სემანტიკური გადახრა. შდრ სვან. ასგუჭინე - წაასვენებს, წააბრძანებს.

**მატყლი** - ვახტუნდა ნაღს გავაკეთებდით და მატყლ ვართევდით ახალი გენილები. როგორც ნოლაიდელი აღნიშნავს, საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურ დონეზე დადასტურებულად ითვლება ტერმინი **მატყლი** (მატყლ) და მისი კავშირი სიტყვაში -ტყავ. ი. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართულ ბურტყლსა და მეგრულ ბურდლაზე, პარარელს ავლებს მატყლ - თან და ასკვნის, რომ

ძირი რტყ მფრინველის ნაზი შემოსილობის სახელადაც კია გამოყენებული. მართულში ფორმანტია, ბ-ც უძველეს ხანაში ფორმანტი ყოფილა. ქართულში -რტყ ძირისაგან არაერთი სიტყვაა ნაწარმოები: სარტყელი, შემორტყმა და სხვა., რომელიც შემორტყმას აღნიშნავს. ამიტომ რ ძირითად ბგერადაა მიჩნეული, -რტყ - ძირად, -ლი კი ბოლოსართად.თავდაპირველად მთლიანად ეს სიტყვა შემოვლებულის, გარემორტყმულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მატყლიც ამავე ძირის სიტყვაა, მაგრამ ან მისი ფორმანტი დროთა განმავლობაში შეცვლილი უნდა იყოს, ან იგი პირველთან შედარებით მერმენდელ წარმოებად უნდა ვიგულისხმოდ“ [ნოლაიდელი, 2013:9].

ნოლაიდელის აზრით, ქართული რტყ ძირის ექვივალენტი მეგრული რდღ ძირიანი სიტყვა ბურღლა ახლაც აქტიურად იხმარება ქართული ენის დასავლურ კილოებში და იგი ზანიზმადაა მიჩნეული ამ დიალექტებში (გურულში, იმერულში), მაგრამ რტყ ძირის სხვა ფუძეც მოგვეპოვება: ლარტყა, რაც სვანურისთვის დამახასიათებელი ფორმაა და გვხვდება, როგორც აჭარული დიალექტის ლესიკაში, ისე სხვა დასავლურ კილოებში. სვანური ლა- შეესაბამება ქართულ სა-თავსართს. ლარტყა კი არის წვრილი, გრძელი, თხელი ძელი (საბა), რომელიც ძირითადად, ხის შენობის აგებისას მასზე გარეშემორტყმისათვის ან შენობის რომელიმე ნაწილის დაფარვისთვის იხმარება [ნოლაიდელი,2013:9].

**ნამშხალი** - ახლად ამოყრილი ყლორტი: ეტყობა კარგათ ვერ გაგმარგლე ნამშხალი. შდრ.:ნოლ. ახლად ამოყრილი ყლორტი, რტო. სვან.აშხალ, არშხალ -ტოტი, რტო.

**პარტყალი** - უთავბოლო ლაპარაკი. რამდენს პარტყალებს, გოგოს ამდენი პარტყალი ჰა გაგონილა. შდრ.ნოლ.: - აჭარულში ლაქლაქს, უთავბოლო ლაპარაკს და ასევე ბავშვის ტიკტიკს აღნიშნავს. პარტყალი დასტურდება გურულშიც.

**ფუთხო** - შდრ.:წვრილი გამონაყარი კანზე. საბას განმარტებით „ფუთხი ფინთი სიქაჩლეა“, სვანურში ფუთხი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება, საქონლის მჭლე ხორცისთვის

დამახასიათებელი ბუმტუკები, ქონში დაბუდებული მავნე უჯრედი. აჭარულ მეტყველებაში ფუთხო წვრილი გამონაყარია კანზე.

**ფუშკურა** - ფშნადი ყველი; წინწინ ახალციხიდან ფუშკურა ყველებ ვზიდევდით. შდრ. ნოდ.: ფშნადი ყველი. სვან. ფურშუკუ - თხელი ფაფა, ხეფუშკუინ - იფშენება.

**ხაშარი** - სარი: ცა უხაშროთ დააყენე. შდრ.ნოდ.: საინტერესოა სვანურისა და აჭარულის ხაშარის შედარებაც. სვანურში ხაშარი ყინულის დიდ ნამსხვრევს აღნიშნავს, ძველ ქართულში იგი აღნიშნავდა ხარაჩოს, აჭარულში კი აღნიშნავს სარს მხვიარა ფოთლებისთვის [ნოლაიდელი,2013:8].

საინტერესოა თავად სიტყვა **დანდალოს** ეტიმოლოგიაც. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით დანდალი არის: „ლაგამი თუ პირის მახე, კიბისა და ურმის სახიდარი“. შუქრი ნიჟარაძე კი განმარტავს: „ დანდალო (სოფელი ქვემო აჭარაში) ამ ტოპონიმში ფუძედ სავარაუდებელია დანდალი. ეს სიტყვა კი აჭულ ლექსიკაში აღარ გვხვდება“ [ნიჟარაძე,1971:55]. შევნიშნავთ, დანდალოს მეტყველებაში სიტყვა დანდალი ისევ გამოიყენება: მთელი დღე დანდალებს და ისევ ისეა ყველაფერი. საინტერესოდ მიგვაჩნია ხალხური ეტიმოლოგია დანდალოსი. ინფორმატორის, ფატყუმე სურგულაძის ცნობით: „დანდალოში მცოცავი მინებია, ამ პრობლემის გამო ბევრი გადაასახლეს, სოფელს დანდალოც ამიტომ დეერქვა“.

### **ზანური ელემენტები დანდალოს მეტყველებაში:**

დანდალოს ლექსიკაში შეიმჩნევა ზანური ელემენტებიც. როგორც შ.ნიჟარაძე აღნიშნავს:“ აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბტრატის კვალი. ეს ბუნებრივიცაა, გურულის მსგავსად, აჭარული შეჭრილია შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ზანთა უწყვეტი მოსახლეობა იყო“ [ნიჟარაძე, 1971:48]. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთ ზანიზმს დანდალოს მეტყველებაში:

**ბადიში** - შვილიშვილი: ბევრი ბადიში დავაგროვე. შდრ.ნიუ:შვილიშვილი.

**ბიგალი** - სამუშაო იარაღი. სამი, ოთხი ბიგლიდა ვერცეთს ვერ ვხედავ. შდრ.ნიუ.: ორ ან სამთითა თივის ასაღები ჯოხი.

**ბურღლა** - ფრინველის ბუმბული: ადრე ბურღლის ბალიშები იყო. შდრ.ნიუ.: ბუმბული

**გოროხი** - მიწის ბელტი: შარშან, ტრაქტორმა დიდვანი გოროხები დააყენა. შდრ.საბა:მიწა გასატყორცი.

**კალაში** - თბილი ქარი: წუხელ კალაში ქარი ქროდა. შდრ.ნიუ.: შემოდგომის თბილი, მშრალი ქარი.

**კეში** - მაგარი, მყარი: ძალიან კეში ტყავია და ფეხები მატკინა. შდრ.ნიუ.: მოუქნელი, მოუხეშავი.

**კუჩხე** - კუთხე: კერე-კუჩხეს ვპატრონობ. შდრ.ნიუ.: ეზო, კარმიდამო

**ოჭივარა** - შვიდი თვის ბალანა ოჭივარაშინა ფიფინებდეს. შდრ. ნიუ.: ჭოჭინა

**ჩორჩხი** - ცოცხის სახეობა: ჭალა ჩორჩხით გავწმინდე. შდრ.ნიუ.: მცენარის ტოტებისაგან შეკრული ცოცხი.

**უზაპუნებს** - მაგრად ურტყამს: წვიმა ზრუგში მიზაპუნებდა. შდრ.ნიუ.:მაგრად ცემს.

**ხეჭებო** - თხილის ან კვერცხის კანი: დანაყილი კვერცხის ხეჭებო წამალი ყოფილა. შდრ.ნიუ.:ნიგვზის, კვერცხის, თხილის მაგარი საფარი.

**ჯირეკი** - დაბალი, გადაჭრილი ხე: ჩავაგდებდით ერთ დიდ ჯირეკ. შდრ.ნიუ.: სქელი, ტანდაბალი.

დანდალოს ერთ სოფელში, მოსიაშვილებში, არის პატარა დასახლება **ჭყანიში**. ამ ტოპონიმის სახელიც ზანურიდან მომდინარეობს: „ზანური ელემენტები აჭარის ტოპონიმში საკმაოდ ხელშესახებადაა დაფენილი. ზანური წარმოშობის ტოპონიმთა ანალიზით დგინდება, რომ ზანური გეოგრაფიული სახელების ერთი ჯგუფი ზანური აფიქსებითაა ნაწარმოები..... იმ - **ჭყანიში**, ჩხუმი, კინკიში, კომპიში, ქვაბიში, ჯინიში“. [ნიუარაძე, 1972: 57].

## პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ სალექსიკონო მასალასთან

დანდალოს მეტყველებაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გვხვდება შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“.

**ანაგებად** - ანაგები-აგებულებას ნიშნავს, თუმცა დანდალოს მეტყველებაში სხვა გაგება აქვს, ნიშნავს - საერთოდ: **ანაგებად** არ დარდობს. შდრ.ვეფხ.: „ მაგაცა ქცევით ტურფიტა, **ანაგებითა** ნაგითა“. სტრ.935,3.

**გეყურება** - გესმის: ქვა **ეყურებოდეს** გუშინ ბალანა წეიქვა გზაზე. შდრ.:ვეფხ.“**ან იყურებდით** მსმენელნო, გესმენ ფიცხელი ომია“. სტრ.1411,4

**დაბურვა** - ჩაცმა, დახურვა: ჩაცმულ - **დაბურვილი** ყავს ბაღნები. შდრ. ვეფხ.: „რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე“. სტრ. 1659,2

**დრამი** - პანანა, ერთი ბენო: ერთი **დრამია** და რამდენს ბედავს. შდრ.: ვეფხ.“ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა **დრამასა**“. სტრ.544,3 [ფუტკარაძე, 2016:93]

**კაზმვა** - მომზადება: გემრიელი ფხალობიო **შეეკაზმე**. შდრ.: ვეფხ. „ **შეეკაზმა**, მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს“. სტრ. 73.1

**კაპანი** - კლდოვანი ადგილი, ხევხუვი: **კაპნი** ბოლოს დიგინახე, წელზე გერთყა ქამარი. შდრ. საბა: ქვა-ლოჯი, აბულაძე: ვინრო ადგილი ან გზა, ვეფხ. „ ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, **კაპანია**“. სტრ. 402,4 .

**მჭელი** - მუჭა თივა ან ჩალა: ცოტა **მჭელს** ვყრიდი და ისე ვკონავდი. შდრ.ვეფხ.:“ისვრიან და იზახიან, მხეცსა ჭრიან, ვითა **მჭელსა**“. სტრ 977,4

**ნობათი** - რიგი, ჯერი რეისი, თუმცა დანდალოს მეტყველებაში ამ სიტყვას სულ სხვა დატვირთვა აქვს. ნიშნავს სოფლის პროდუქტს ( რძე, ყველი, კარაქი და ა.შ): სოფლის **ნობათი** ჩამოგიტანე. შდრ.ვეფხ.: „დღისით და ღამით მოყმენი **ნობათსა** არ დასცდებიან“. სტრ.1300.3

**სოლე-** ჩუმად: **სოლე** და ერთი აჭარას მაყურებე. შდრ.: ვეფხ. „სულე რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“. სტრ.133,1

**ფრენა** - დახევა, დაქუცმაცება: აღრე ძაფი ჰა იყო, ურბას **ფრენდით** და ჰამილორს ისე ვაკრავდით. შდრ. ვეფხ.: აბჯარსა ფრენდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქათვისა“ სტრ.1416,2.

**წინწკალი** - ნაპერწკალი: **წინწკალს** აბედაით ვანთობდით. შდრ. ვეფხ.: „მისთა ნაკვესთა **წინწკალი** დამეცეს ხანგრძლად მწველია“ სტრ.339,4

**ხასი** - სუფთა, ნამდვილი: ჰადმე **ხასი** კვარი არი? შდრ.ვეფხ.:“ მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა **ხასისა**“. სტრ.20,1 [ფუტკარაძე, 2016:99,100].

### საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები

ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები მდიდარია ლექსიკური დიალექტიზმებით. ბუნებრივია დანდალოს მეტყველებაშიც გვხვდება **ლექსიკური დიალექტიზმები**. ჩვენ მიერ ჩანერილი ტექსტების საფუძველზე საილუსტრაციოდ წარმოვადგინთ ზოგიერთ ლექსიკურ დიალექტიზმებს:

**ახორთლალევა** - მოჩვენება: არ მინდა იმდუნისა არ მიმიღონ და ავხორთლალდე. შდრ.ნიჟ.: ხორთლალად ადგომა, მიცვალებულის ადგომა.

**ამძობებული** - ამყრალებული: წრეგანდვი ჩვენი ოხტური ამძობებულია. შდრ.ნიჟ.: ამშმორებული, ამყრალებული; ღლონტი: მაშმორებული, ამყრალებული (ზ.აჭ).

**ბაზი** - მწერი: გუშინ ბაზებმა დაკბინეს და სასტრაფო დაჭირდა კაცს. შდრ. ნიჟ.: შხამიანი დიდი მწერი.

**გამოსული** - გაზაფხულის დადგომა: გამოსულში სანამ თაფლი გამუა, ჩვენნა ვაჭამოთ საჭმელი. შდრ.ნიჟ.: გაზაფხულის დამდეგი, გაზაფხულის პირი.

**გორხოლო** - მაგარი, მკუხე: გორხოლო ყველი იყო, მარა ხანაპურში კაი იყო. შდრ.ნიჟ.: უმნიფარი, მკუხე ვაშლი, მსხალი და სხვა.

**დაგვაჯება** - მიბაძვა:ერთმანებს ეგვაჯებოდენ გენილები და აფერს არ აკეთებდენ.

შდრ.: ჩუბ.: „კეთილი შური, რათა არ უდარეს უქმნეს იქმნეს სხვათაგან“.

**დაძლეძვა** - იმ ცხელ ჭიპას დავძლიძავდი. შდრ.ნიჟ.: დაფლეთა, დაძიძგნა.

**ვაჟინჟილებდი** - ვაბრწყინვებდი: ვერ გუუძლო, რომ კისერში ვაჟინჟილებდი. შდრ.ნიჟ.: ნაპერწყლის ქნევა.

**ლეღეღინი** - არეულობა, გაქრა: ახლანდელ ქორწილებს რა უნდა, ადრე სახლ-კარი ლეღეღინი ხდებოდა. შდრ.ნიჟ.: გაქრა, გაქუსლა.

**მეგემ** - თურმე: მეგემ ამ კაცმა ცოტა შენუხდა. შდრ.ნიჟარაძე: თურმე, მგონია.

**მეიჭუჭკებოდენ** - მოგროვდებოდენ: მემრენ მეიჭუჭკებოდენ კაცები ერთ ოჯახში.

შდრ. მოგროვება, მოგროვილი.

**მოკურკუშვა** - ვურიოთნა, რომ არ მეიკურკუშოს. შდრ.ნიჟ.: ხვარში, ფელამუშში გაყოლილი საფანლის გუნდა.

**პრატი** - გოგო: ორმა პრატმა დაფაცურდენ. შდრ.ნიჟ.: ქალიშვილი, გოგო.

**სარძიე** - სამზარეულო: ახლა რომ კუხნაა იმას სარძიე ქვია. შდრ.ნიჟ. იაილის უკანა მხარეს გამოყოფილი სათავსო.

**ტაკოზი** - სახლის განივი კოჭები: ტაკოზზე ლურსმანინა მიაჭედო. შდრ.ნიჟ.: სახლის ნაწილი, განივი კოჭები, ომლითაც სახურავს ამაგრებენ.

**ტალიკი** - თეფში: დედამთილმა პირველადი ტალიკი გამატეხია. შდრ. ლლონტი: თეფში.

**ფუშრუკა** - მაგარი ყველი: ფუშრუკა ყველებ ვყიდულობდით. შდრ.ნიჟ.: მაგარი გამომშრალი ყველი.

**ყირავი** - ყინვა: ამელამ ყირავი იქნება. შდრ.ნიჟ.: ყინული, ჭირხლი, ლოლუები; ლლონტი: ცივი, ყინული, ლოლუები.

**წინწინ** - უწუნ, ადრე: წინწინ ზამთარში ღაზლი წინდებს ვიცვამდით. შდრ.ნიჟ.: უწინ.



**წონოლა** - მაღალი: წონოლა მთისთვის შუუფარებია თავი. შდრ.ნიჟ.: ჭარხლის ფოთლის შეჭამადი.

**ჭიპა** - ახლად ამოღებული ყველი: იმ ცხელ ჭიპას დავძლიძავდით. შდრ.ნიჟ.: მეტსახელია კაცისა.

### **უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები**

აჭარული დიალექტი ისტორიულად განიცდიდა უცხო ენათა გავლენას, რაც აისახა ლექსიკაზეც. გვხვდება თურქულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან შემოსული და დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები, აქა იქ შევხვდებით ბერძნულსა და იტალიურსაც, ეს მოვლენა ჩანს დანდალოს მეტყველებაშიც.

### **საკუთრივ თურქული ლექსიკური ერთეულები**

სამასწლოვანი ბატონობის შედეგად დანდალოს მეტყველებაში დამკვიდრდა **თურქული** ენიდან შემოსულ ლექსიკური ერთეულები:

**აბლა** - ბიცოლა: აბლამ უთხრა ემიას, ჰაიდე წევდეთ ნენიას შდრ.: ნიჟარაძე: ბიცოლა.

**ანაი** - დედა: ჩემ ანას ნენიკას ვუძახდით. შდრ.: ნიჟარაძე: დედა.

**არჩი** - მზარეული: მე ახალობაში არჩი ვიყავ. შდრ.: ნიჟარაძე: მზარეული

**ბასხუნი** - იტყვიან, როცა ბავშვი ფეხზე ვერ დგება: მეშინიოდა რამეიდან ბასხუნი არ დამჩენოდა. შდრ.: ნიჟ.: ჩხრეკა, ერთგვარი ავადმყოფობა ბავშვის.

**ბაქლავა** - კაკლიანი ან თხილიანი ნამცხვარი: ბაქლავას ასე ვაკეთებდით. შდრ.ნიჟ.: - კაკლიანი ნამცხვარი.

**ბაირამი** - მუსლიმანური დღესასწაული: ბაირამი დღეს ვაკეთებთ ჰალვას. შდრ.ნიჟ.: მუსლიმანური რელიგიური დღესასწაული.

**ბეთმეზი** - ხილის წვენისგან დამზადებული ტკბილი წვენი: ბეთმეზ ვადულებდით. შდრ.ნიჟ.: ხილის წვენისგან დამზადებული წვენი, ტათულივით ტკბილი.

**ბილევი** - სალესავი ქვა: ჯიბეში მაქ ბილევი, შენტვის ვინვი, ვილევი. შდრ.ნიჟ.:სალესავი ქვა.

**ბიში** - ლუმელზე გამომცხვარი გაბრტყელებული ცომი: დავჭრათ სობაზე გამომცხვარი ბიში.შდრ.ნიჟ.: ნამცხვარი, ღვეზელი, გამომცხვარი და გაპრტყელებული ცომის გუნდა.

**ბორევი** - კაკლიანი ნამცხვარი. შდრ.ნიჟ.: პურის თხელ ფენებში გახვეული შაქრიანი ნიგოზი; საბა - ფახლავა.

**ბურმა** - იგივე ბორევი: შდრ.ნიჟ.: ერთგვარი ნამცხვარი ფაჰლავასავით; ნოლაიდელი: სპირალისებურად დახვეული ნამცხვარი.

**ბორანი** - შეჭამადი: დღლიზებდა იალში კოვზს და გააკეთებდა ბორან. შდრ.ნიჟ.: ყველნარევი ერბო-კვერცხი.

**გენილი** - რძალი: იმფერი გენილი დავდექ ხეს და ქვას ვასკდებოდი. შდრ.ნიჟ.: - რძალი, პატარძალი.

**გერჩექ** - მართლა: გერჩექ ებბედი არ ყოფილან. შდრ.ნიჟ.: მართლა

**დელი** - გადარეული: გავდელდი, აზნიე დიდი სქელი წიგნი და თავში ვთხლიშე.

**დუნია** - ქვეყანა: ღმერთმა სასახელოდ გამცხოვრა ამ დუნიაზე.შდრ.ნიჟ.არაძე: ქვეყანა

**ეფეიჯა** - საკმაოდ: ეფეიჯა წვალეზა მაიც გამევიარეთ. შდრ.ნიჟ.: საკმაოდ, ბლომად.

**ეში** - ტოლი: ყველა ოჯახში ეში-ტოლი ბაღნები ვიყავით. შდრ.ნიჟ.: ტოლი, კბილა, ამხანაგი, მეგობარი.

**იალი** - კარაქი: ამეილებდა იალ და ააშიშინებდა; შდრ.ნიჟ.: ერბო, ცხიმი.

**იასლოლი** - მუსლიმანური მარხვის საუზმე: დილას კარქათ იასლოლს ვჭამთ.

შდრ.ნიჟ.არაძე - შუალამის პურისჭამა მარხვის დროს.

**იოხა** - ცომის გასაბრტყელებელი ჯოხი: ჩქარ-ჩქარა გამყავდა ცომი იუხაზე. შდრ.ნიჟ.: ცომის გასაბრტყელებელი გამოთლილი ჯოხი.

**მაზღალა** - ხვრელი: ერთი პანაი მაზღალა, ყოლინფერი შით შედის. შდრ.ნიჟ.: ჭუჭრუტანა, ხვრელი.

**მაშა** - ნაკვერჩხლის საჩიჩქნი ჯოხი: ჩააგდებდა კინას, რომელიც კინის მაშებით ეკავა. შდრ.ნიჟ.: ბოლოებ მოლუნული ორტოტა რკინის ჯოხი; საბა: ცეცქა.

**ოდა** - ოთახი: სარძიე იყო მთავარი ოდა. შდრ. ნიჟ.: ოთახი; საბა: „თურქთა ენაა, სენაკსა ქვიან“.

**ოფე** - პატარა ხელოვნური ორმო: ძველათ კარტოფილ ოფეებში ვგავდით. შდრ.ნიჟ.: კარტოფილის, კიტრის, ლობიოს და მისთ. ჩასათესად.

**სარმა** - იგივე ტოლმა: ახლა ამ საჭმელს ტოლმას უძახიან. შდრ.ნიჟ.: ბრინჯით ან სხვა სანელებლებით შეზავებული მხლის ან ვაზის ფოთლებში შეხვეული ხორცი.

**საჯი**- კეცზე დასახური თხელი ფირფიტა: საჯი ვერ მეიგონაო. შდრ.ნიჟ.: საჯიალი - რკინის სამფეხა.

**სობა** - ლუმელი: დავჭრათ სობაზე გამომცხვარი ბიში. შდრ.ნიჟ.: ლუმელი.

**ტაია** - დედის ძმა: ხისიმები ვართ, ჩემი ტაია იყო. შდრ.ნიჟ.: დედით ბიძა.

**უსტა** - ხელოსანი: მამაჩემი სულ სამი ხელობის უსტა იყო. შდრ.ნიჟ.: ოსტატი, ხელოსანი

**ქუმა** - ჩურჩხელა: თამაშობდენ ქათამზე, თაფლიან ქუმაზე. შდრ.ნიჟ.: ჩურჩხელა.

**ყათმირი** - კაკლის ან შაქრის გულიანი ნამცხვარი: ამას ყეთმირი ქვია მიერენაირათ და ბორეგსაც უძახიან. შდრ.ნიჟ.: ოთხკუთხა ფურცლოვანი ქადა.

**ყურშუმი** - თოფის ტყვია: ღმერთმა ყურშუმივით დაგამგვალა. შდრ.ნიჟ.: თოფის სასროლი ჭურვი, ტყვია.

**ყათი** - ფენა: ოთხი ყათი ფორკა მაცვია. შდრ. ნიჟარაძე: პირი, ყათი.

**ყურალი** - სიცხე: ყურალი იყო და წყალი არ იყო, რომ მოგვერწყა. შდრ.ნიჟ.: გვალვა.

**ყაიმალი** - სეფერატორში გამოხდილი რძე: გავადნობთ ყაიმალ, ჩავაყრით ჭადი ფქვილ. შდრ.ნიჟ.: რძის ნალები.

**ყოლხიზარი** - ხერხი: შიშას ყოლხიზართ ვხევედით. შდრ.ნიჟ: გაბმული მშვილდიანი ხერხი.

**ყოლსამა** - ცეკვის სახეობა: დედეს ნაცეკვი ყოლსამა მახსოვს. შდრ.ნიჟ.: (თურ+არაბ)

ცეკვა - განდაგანა

**ჩურუგა** - ივლისის თვე: ერთჯერ ბალანა დავბანე, კვირა დღე იყო ჩურუგასი. შდრ.ნიჟ.: ივლისის მეტსახელი.

**ჩადრი**: თავზე ჩადრი დამახურეს. შდრ.ნიჟ.: კარავი, ფარდული; საბა: კარავი, ჩადრი.

**ჩევრე** - ცხვირსახოცი: გუურეცხელი ჩევრე სახში არნა შეიტანო. შდრ.ნიჟ.: შემოქარგული ცხვირსახოცი, ქალის თავსაბურავი.

**ხეფენგი** - სახლის ერთ-ერთი ოთახის კარი, ზემოდან ქვემოთ ჩასასვლელი: ავალე ხეფენგი კარი და ბაყა-ბაყა წეველ კიბიებზე. შდრ.ნიჟ.: საცხოვრებელი სახლის ნაწილი, მეორე სართულიოდან პირველზე ან ბოსელში ჩასასვლელი.

### **თურქული ენიდან შემოსული არაბული ლექსიკური ერთეულები:**

**ადეთი** - წესი: ქორწილების დეინყო, მარა ერთი ადეთი ყოფილა. შდრ.ნიჟ.: ადათი, ჩვეულება

**აჯათ** - ნეტავ; აჯათ გავცვითონა თუ. შდრ.ნიჟ.: ნეტავ.

**აღდი** - ქორწინების მუსლიმანური ტრადიცია:თან მოლას აღდიც გავაჭრევიოთ. შდრ.ნიჟ.: საქორწინო პირობის დადება.

**ბერექეთი** - ხვაფი, ბარაქა: ახალ წელზე რამის წაღება არ შეიძლება, ბერექეთი აღარ იქნება სახშიო. შდრ.ნიჟ.: ბარაქა, დოვლათი, სიუხვე.

**ებბელი** - არასდროს: გერჩექ ებბელი არ ყოფილან. შდრ.ნიჟ.: მუდამ, ყოველთვის.

**ევლია** - ანგელოზი: ევლიებმა დაგლოცონ. შდრ.ნიჟ.: მუსლიმანური, დიდი ღვთისმოსავი.

**ვახტუნდა** - აღრე, უწინ: ახალციხიდან ვახტუნდა ფუშრუკა ყველებ ვყიდულობდით.

**ვახტი** - დრო: ვახტი, საათი არ ათავებულა. შდრ.ნიუ.: დრო, უამი.

**ვესიეთი** -ანდერძი: მე რომ ცოცხალი არ ვიყო, ვესიეთ გიტევ. შდრ.ნიუ.: ანდერძი.

**ზათინ** - ნამდვილად: ზათინ აღრე ქალები ატარებდნენ ჩერჩიფს. შდრ.ნიუ.: წარსული, უნინ, ისედაც, ნამდვილად.

**თესპა** - კრიალოსანი: ხელში მუდამ ქარვის თესპა ეკავა. შდრ.ნიუ.: კრიალოსანი.

**ინსანი** - ადამიანი; მთელი დღის ნამარხი წყალში ჩეგეყრება ინსანს. შდრ.ნიუ.: ადამიანი,კაცი.

**იფთარი** - მარხვის შემდგომი ვახშობა. შდრ.ნიუ.: ვაკეთებთ იფთარს, პირი გახსნიხან ვამბობთ სიტყვებს.

**მუბარეფი** - ღმერთი: მუბარეფმა ის ქვეყანა განატრა. შდრ.ნიუ.: დალოცვილი, კურთხეული.**რიზლი** - წილი; მაშინ ადგება დუნიაზე რიზლი. შდრ.ნიუ.: წილი, ულუფა, საზრდო.

**მელაიქი** - ანგელოზი: სად იმ ქრივის საყვარლობა და სად იმ მელაიქების ცოლობაო. შდრ. ნიუ.:ანგელოზი.

**რაჰათი** - მოსვენება: ზამთარი რაჰათია. შდრ.ნიუ. : მოსვენება, დასვენება, სიმშვიდე.

**სუფრა** - მაგიდა: ღარიბის სუფრაზე გაძეხო. შდრ.ნიუ.: დაბალი, მრგვალი მაგიდა.

**სამა** - ცეკვა: დედეს ნაცეკვი ყოლ სამა მახსოვს. შდრ.ნიუ.: ცეკვა.

**საბრი** - მოთმინება: ღმერთმა საბრი მიცეს მათ ოჯახებს. შდრ.ნიუ.: მოთმენა, გაძლება, ატანა.

**ყისმეთი** - ბედი, იღბალი: ვისი ყისმეთია ჩემი გოგო. შდრ.ნიუ.: ბედი, იღბალი.

**ყულე** - ციხე: ძველათ ყულეს უძახდენ. შდრ.ნიუ.: ციხე, კოშკი.

**ყათლანი** - გუდრონი: ღმერთმა იმ დუნის ყათლანში გადულოს. შდრ.ნიუ.:კუპრი, გუდრონი.

**ყანეთი** - უყანეთობამ ზღვა დააშრო. შდრ.ნიუ.: ფასი, ღირებუება, დაფასება.

**შერბეთი** - ტკბილი წყალი: შერბეთ ჩავასხამთ ერთჯერად პარკებში. შდრ.ნიუ.: ტკბილი სასმელი.

**ჰეცია** - ზღაპარი: ნულარ მიყვები ჰეციებს, შენი მოსატყვილებელი კბილი დიდი ხანია გამოვიცვალე. შდრ.ნიუ.: ზღაპარი.

### **თურქული ენიდან შემოსული სპარსული ლექსიკური ერთეულები**

**ახორი** - ბოსელი: პირველ სართულზე ახორი იყო, მიერეზე ჩვენ ვცხოვრობდით.

შდრ.ნიუ.: ბოსელი; საბა - ბაგას ქვიან.

**ბახჩა** - მიწის ნაკვეთი: მე და ანაი ვმუშაობდით ბაღში. შდრ.ნიუ.: სახლის ახლოს მდებარე მიწა.

**ერიშტა** - წვრილად დაჭრილი ბიში: წმინდათ დაჭრილ ბიშს შერბეთ მუასხამდით.

შდრ.ნიუ.: ნამცხვარი.

**ჰავანი** - თამბაქოს საჭრელი ხელსაწყო: ოღონდ ამას ჰავანზე არ ვჭრით.

შდრ.ნიუ.:თამბაქოს საჭელი ხელსაწყო, დანა-დაზგა.

**ქილარი** - დღე ქილარი გამუალაგე. შდრ.ნიუ.: კედელში დატანებული პატარა უკარო

თარო. **ჩერჩეფი** - პირბადე; გზაზე ჩერჩეფში გახვევლი ქალი მიდის. შდრ.ნიუ.: მუსლიმანი

ქალების წამოსასხამი, სახის დასათვარი ჩადრი, პირბადე.

**ლალი** - მუნჯი: ერთი ყრუ, ერთი ლალი. შდრ.ნიუ. მუნჯი.

**ჰამან** - მაშინვე: ჰამან ბიჭი რომ მყოლოდა დასაქორწილებელი, ერთ ვითხოვდი.

შდრ.ნიუ.: თითქმის, დაახლოებით.

**ჰამანქი** - თითქმის: იმის გემო ჰამანქი პირში მაქ. შდრ.ნიუ.: თითქმის, დაახლოებით.

### **იტალიური ლექსიკური ერთეული**

საანალიზო ტექსტში გამოვლინდა რამდენიმე სიტყვა, რომელიც **იტალიურია**:

**ისკელე** - ძველებური ხის გასახერხი მონყობილობა: ისკელედან უსტა გადმუარდა. შდრ.ნიჟ. სახელდახელოდ დადგმული დაზგა სამშენებლო ხე-ტყის სახერხი მონყობილობისთვის ან მშენებლობისას ზედ დასადგომად.

**ფიშტო** - თოფი: ბაბუს ერთი ფიშტოი ქონდა და იმით ქონდა დიდი გული. შდრ.ნიჟ.: დამბაჩა.

დაფიქსირდა ერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც **ფრანგულ-იტალიურია**.

**ურბა** - ტანსაცმელი: იმდენი ურუბა მაქ შიტანერკაში, აჯათ გავცვითონა თუ. შდრ. ნიჟ.: ტანსაცმელი.

### **ბერძნული ლექსიკური ერთეულები**

გამოვლინდა რამდენიმე **ბერძნული ლექსიკური ერთეულიც**:

**ბარუთი** - თოფის წამალი: თოფს ვამზადებ, შაშვებზენა ვინადირო, მარა ბარუთი არ მაქ. შდრ.ნიჟ.: თოფის წამალი, დენთი.

**ვარიოზი** - დიდი ურო. ვარიოზი დაარტყი, ვარიოზი! შდრ.ნიჟ.: დიდი რკინის ურო.

**კორიზა** - მწერის სახეობა: მახსოვს ჩემ ბალნობას ხის კედელზე კორიზაები ლოლავდენ. შდრ.ნიჟ.: ბალლინჯო.

**კორკოტი** - ხორბლის შეჭამადი: შდრ.ნიჟარაძე; დაროშვილი ხორბლის შეჭამადი; საბა: დანაყილი ხვარბალი.

**ლოდოსი** - თბილი ამინდი. დღეს დალოდოსა ცოტა, გამოდარების პირი უჩანს. შდრ.ნიჟ.: თბილი, მოღრუბლული, დახურული ამინდი, რომელიც აჩქარებს თოვლის დნობა.

**სინორი** - თხლად დაჭრილი მაგარი ცომი. შდრ.ნიჟ.: თხლად დაჭრილი პურის ცომი.

### **ხატოვანი სიტყვა-თქმები დანდალოს მეტყველებაში**

ხატოვანი სიტყვა-თქმები გადმოგვცემენ გარკვეულ მოკვეთილ აზრს და ალევგორიული თუ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ. მათ ხშირად იყენებენ მწერლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხატოვანი სიტყვა-თქმები თართო ადგილს იჭერს ყოველდღიურ მეტყველებაშიც. იგი ჩანს საქართველოს ყველა დიალექტში და მათ შორის აჭარულშიც. ბუნებრივია, ხშირად გამოიყენება დანდალოს მეტყველებაშიც. ხატოვანი სიტყვა-თქმების საშუალებით უკეთესად გადმოიცემა სათქმელი.

დანდალოს მეტყველებაში გამოვლინდა რამდენიმე საინტერესო **ხატოვანი სიტყვა-თქმა**:

**თვალეხი დაგრჩებოდა** - მოგეწონებოდა: თურმე აგერ ეს ბიჭი იმფერი ლამაზი ყოფილა, **თვალეხი დაგრჩებოდა**.

**ჩავხტი ჭკვაში** - მივხვდი: მერეღამერე ჩავხტი ჭკვაში.

**ხეს და ქვას ვასკდებოდი** - შემძლე, მოხერხებული: იმფერი რძალი დავდექ, ხეს და ქვას ვასკდებოდი.

**სული გევტაით** - ძლივს გადავრჩით: რაცხაფერ სული გევტაით.

**დანა ყირყიტონში** - დაკვლა: ამანაც თუ არ უშველა დანა ყირყიტონში.

**ღაზლა კისერში** - დაკვლა: თუ კიდევ უხტის ძროხა, მაშინ ღაზლა კისერში.

**ამაღებია ხელი** - უინტერესო, ზერელე: სულ დიმიღუპა ოჯახი, **ამაღებია ხელია**.

**მტერ თვალეხი დალეოდეს** - მომკვდარიყოს: სახლი ხვავით დავსილიყოს, **მტერ თვალეხი დალეოდეს**.

**გული გედემელია** - დიდხანს ლოდინი: გოვ ამდენი მოლოდინით, **გული გედემელია**.

**მოჭარ საქმეს თავი** - საქმის გადანყვეტა: ყველაი იმას ებნევიდა, **მოჭარ საქმეს თავი**.

**კისრით ვარ დაკიდებული** - გაუსაძლისი მდგომარეობა, მოუცლელი: ი რა მბავია გო, **საქმი მგონე კისრით ვარ დაკიდებული**.

**კუდი ღილიას გზა ბარაქას** - თუ არ მოწონან, **კუდი ღილიას, გზა ბარაქას**.

**ჭკუას თვალი არ ეცემაო** - ტყვილაი ხომ არ ამბობენ **ჭკუას თვალი არ ეცემაო**.



**ჩამოვა ვირიდან** - სიჯიუტის დაძლევა: ბახალომ როის ჩამუა ვირიდან.

**ომრი დეიტირა** - დიდხანს იტირა: დარჩენილიყო, მარა ომრი დეიტირა.

**ჩალით დახურვა** - არათფერი იმალება, იფარება: აქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული.

**ბაირამი აქვთ** - გახარებული არიან: მოსათიბ ჭალაში შუუშვი ძროხები და ბაირამი აქვან.

**ბალზეა და ტყემალს ჭამს** - ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა: ხალხი რა დღეშია და ის ბალზეა და ტყემალს ჭამს, ხებერი არ აქ.

**გეიხედავ ფეხითითებში** - გარდაიცვლები: ინვალფე ორი დღის სიცოცხლესი და ერთი ნახავ რომ გეიხედავ ფეხითითებში.

**დღე მინაში არ წაგყვება** - უდროოდ არ მოკვდება: ის სამი თვის ბალანა ხის ტოტზე ჩამოკიდებულიყო და გადარჩა, დღე მინაში არ წაგყვებაო.

**მუხლებში წყალი ჩიმიდგა** - გადავიღალე: გუშინ ტირილში ვეხმარე, ჭამა ქონდენ და მუხლებში წყალი ჩიმიდგა.

**ხელს არ მეიჭამს** - არ შერცხვება, უპატივცემულო არავის გაუშვებს: აჭარელი ქალი, ვინ გინდა ოჯახში მუუვდეს, რაცხას დადგამს, ხელს არასდროს არ მეიჭამს.

**აკვანი ხომ არ მირწია** - შრომა არ დამიხარჯავს: მაგის აკვანი ხომ არ გირწია, რათ უნდა გადაყოლა.

**ენის წვერზე მიდგას** - დავინწყება: ენის წვერზე მიდგას და ვერ ვიგონებ.

**ჭადის სახელი დამავინწყდა** - ვერ ვიხსენებ: კაცს ჭადის სახელი დააინწყდებო, მე მჭირს.

**სიკვდილი თვალით დევნახე** - დიდ განსაცდელში, გაჭირვებაში ყოფნა: მანდარინაი ვჭამე და მევენამლე, სიკვდილი თვალით დევნახე.

**თვალი ჭამს** - მოწონება: არ მშია, მარა იმფერი ლამაზია, რომ თვალი ჭამს, რათერ გინდა არ გასინჯო.

**ტილის ფეხზე დასმა** - გაამპარტავნება, გადიდგულება: ტილს ფეხზე დეისვამ და თავზე ავაო, მაგაზეა ნათქვამი.

**თვალი დავადგი** - მომენონა: იმ დიდ მამალს თვალი დავადგი.

**მოტეხეთ ეშმაკს ფეხი** - მოხერხება: ერთი მესტუმრეთ, რა იქნა, მოტეხეთ ეშმაკს ფეხი.

**ჯეშტი აქ გამოკრული** - ძალიან ცხელს ჭამს, სვამს: ისე ჩქარა დალია კოფე, გეგონება, ჯეშტი აქ გამოკრული.

**კბილების დაკრიჭვა** - მოთმენა: პანახან დაკრიჭოთ კბილები ამ პანა სახში.

**იახა დამარეკია** - წარმოდგენის შეცვლა: იახა დამარეკია, სირცხვილის რამე არ აქ.

**ნიკორის დაღება** - სახელის გატება, შერცხვენა: კაცმა ნიკორი არნა დეილო.

**მიხვეული ავადმყოფი** - იტყვიან ძალიან მძიმე ავადმყოფზე: ამასწინ რო ეველ, მიხვეული ინვა.

**წელში გამტება** - გამანადგურა, განმაცვიტრა: მაგ კაცმა წელში გამტება.

**ორი პარასკევი მაქ დარჩენილი** - სიკვდილი მოახლოებულია: ისეც ორი პარასკევი მაქ დარჩენილი.

**პირზე ფეხის დაღება** - შერცხვენა: ბაბას პირზე ფეხს ხომ არ დავადგამ.

**პირი ხისკენ (ქვისკენ) მიქნია** - მოსაბოლიშებელი გამოთქმა, როცა ვინმეს ცუდი რამ უნდა აუწყონ: პირი ხისკენ მიქნია, თქვენ ჯვარი გწერიათ და თვალების ანთება მაქ.

**სული კბილით მიკავია** - ძალიან მიჭირს: წაი, მომშორდი და ისეც სული კბილით მიკავია.

**უტკივარი თავის ატკივება** - ძალით გასაჭირში ჩავარდნა: მეტი საქმე არ მაქ ახლა კიდევ უტკივარი თავი ევტკინო.

**თავი მოსათხანად არ მცალია** - დრო არ მაქვს: იმდენი საქმე მაქ, თავი მოსათხანათ არ მცალია

**ფუტი ამდის თავში** - გაბრაზება, მოუცლელიობა: იმდენი საქმე მაქ თავი მოსათხანათ არ მცალია, ფუტი ამდის თავში.

**ქვა წამლათ აქციეს** - ყველა ღონე იხმარა, ყველა საშუალებას მიმართავს. ხუთი წელია შვილი არ ყავან, ქვა წამლათ აქციეს.

**ყვბას თვალი არ უჩანს** - უბედურება შეიძლება უცებ მოხდეს: ერთი წელია გედეიყვაი ბაღნები გზაზე, ყვბას თვალი არ უჩანს.

**გარედან ხორუმი ადვილია** - იმდენი საქმე აქ ამ ფუტკრების მოვლას, გარედან ხორუმი ადვილია.

**მოშპი-გავარდი** - მოხერხებული: ადრე მოშპი-გავარდი ქალი იყო.

**ჭიტი არ უქნიან გარში** - არ გამოუხედავთ გარეთ: რომ შეძრენ სახში, ჭიტი არ უქნიან გარში.

**თვალეებზე ნისლი აქ გადაკრული** - ვერ ხედავს: ვეფერს ვერ ხედავს, თვალეებზე ნისლი აქ გადაკრული.

**ენას კბილი დააჭირე** - გაჩუმდი: ჯობია ენას კბილი დავაჭირო.

**ჩიგივარდა კოვზი ნაცარში** - გაუმართლებლობა: რაო, ჩიგივარდა კოვზი ნაცარში? არ დარჩა შენებური?

**პირიდან თათული გადმოდის** - ტკბილად მოსაუბრეა: ქალს პირიდან თათული გადმოდის.

**გულზე ცეცხლი მაქ შენთილი** - ვნერვიულობ: რაის ჭამა მინდა ახლა მე, გულზე ცეცხლი მაქ შენთილი.

**ჯიბებში ხელების ჩანცობა** - უსაქმურობა: ჯიბებში ხელების ჩანცობით რამე არ გამუა.

**მინა გამხეთქოდა** - განადგურება: ნეტაი მინა გამხეთქოდა და შით ჩავეტანე თან.

**სისხლი უღუღო** - მოძრავი, ენერგიულები: ბალნები არიან, ახლა მაგათ სისხლი უღუღო.

**ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო** - ინსანს შეხედავ, მაშინათველათი მიხტები ვინათ. ნათქვამია, ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო.

**ერთი ხელი მისკენ აქ** - ეხმარება: ძალიან გაჭირვებულზე მუყცია გოგო და ახლა ერთი ხელი მისკენ აქ.

**კბილებს ხელისგულზე დიგინცობ** - მუქარა: მაგ კბილებს ხელისგულზე დიგინცობ.

**ჯაზი ფეხს მიეიტებს** - არეულობა, უსუფთაობა: პოლი მობესე, თვარა ჯაზი ფეხს მიეიტებს.

**ცხვირი გააშვირა** - ეწყინა: ცხვირი გააშვირა და ორი წელია აღარ უვლია ჩემთან.

**შუბლი გახსნილი გაქ** - მხიარული, დადებითი განწყობა: რა იბრეთი ხარ გენილო, გწყენს, არ გწყენს შუბლი გახსნილი გაქ.

**ჭაჭანება არ იყო ვინმესი** - არ ჩანდნენ: ჩეიე-ამეიეს ვუყურებდი იმათ სახს, მარა რათ გინდა, ჭაჭანება არ იყო ვინმესი.

**გულზე არ მეხატება** - არ მომწონს: დიდად გულზე არ მეხატება, მარა რამეს ვერ ვეტყვი.

**ენის წაგრძელება** - შეპასუხება: ნახავს მერე რაფერ უნდა ენის წაგრძელება.

**პირიდან ლუკმას გამეცლება** - ეტყვიან ადამიანს, რომელიც ძალიან უყვართ: ბებო თქვენთვის პირიდან ლუკმას გამეცლება.

**სული არ შემეებრალება** - ეტყვიან ადამიანს, რომელიც ძალიან უყვართ და შეუძლიათ ყველაფერი გაიღონ მისთვის: თქვენთვის სული არ შემეებრალება.

**საჭმელი პირში ვინმემ არ ჩიმიღვა** - თვითონ უნდა გაანძრიო ხელი: მე თუ არ გავანძრიე ხელ-ფეხი, საჭმელი პირში ვინმემ არ ჩიმიღვა.

**ხელი წაყვება** - ახორიდან დეკნაი არ გეიყიდება, ხელი წაყვებაო.

**უჟმური არ აყვეს** - ეშმაკი არ ჩაუსახლდეს: უორმოცო ბაღვთან ცეცხლზე მუუვლეელი არ შევლიან, უჟმური არ აყვესო.

**აგიყვავდა ხელები** - დალოცვის ფორმა: იარეშმა იგიყვავა მაი ხელები.

ამრიგად, დანდალოს მეტყველებამ საინტერესო სურათი გვიჩვენა ლექსიკის კუთხითაც. გამოვლინდა არქაული ფორმები: **აბანო** (დასაბანელი ოთახი), **აპოხტი** (ხმელი ხორცი), **ასტამი** (ცომის მოსაფხეკი), **გარგანი** (ჭოხი), **დრამი** (პანანა), **ქერეჭი** (პურის ან მჭადის მაგარი კანი), **ღაღადი** (ხმის ყოფა, ყვირილი), და სხვა. აქაურთა მეტყველებაში ისმის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა შესწავლა დაგვეხმარება ფუძენის კუთვნილი არქეტიპის აღდგენაში: **ახუპვა** (ხელში აყვანა), **გვარდა** (ოვალური ხის ჭურჭელი), **მატყლი** (ცხვრის ბენვი), **ნამშხალი** (ახლად ამოყრილი ყლორტი), **ფუთხო** (წვრილი გამონაყარი კანზე), **ხაშარი** (სარი) და სხვა.

ჩანს ზანურის სუბტრატის კვალიც: **ბადიში** (შვილიშვილი), **ოჭივარა** (ჭოჭინა), **კალაში** (თბილი ქარი), **კუჩხე** (კუთხე), **ხეჭებო** (თხილის ან კვერცხის კანი) და სხვა.

დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული არქაული ფორმები იმავე მნიშვნელობით: **დრამი** (ნამცეცა), **წინწკალი** (ნაპერწკალი), **დაბურვა** (დახურვა), **ფრენა** (დაქუცმაცება), **ხასი** (სუფთა) და სხვა.

არის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ აჭარული დიალექტის კუთვნილებათ: **ბაღვი, ვაჟინჟილილებდი, გადაკაფვა, მონიკვა, მეიჭუჭკებოდენ, წონოლა, მოკურკუშვა, პრატი, ლელეფინი** და სხვა.

ხშირია უცხო ენიდან დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულების გამოყენების შემთხვევებიც.

**თურქიზმები:** აბლა, ანა, გენილი, ბორანი, იალი და სხვა.

**სპარსიზმები:** ახორი, ბახჩა, ერიშტა, ჰავანი, ზოვლი.....

**არაბიზმები:** ბერეჟეთი, ხებერი, აჯაფ, ალდი, ჰალვა, ევლია, ყულე და სხვა.

დასტურდება იტალიური ლექსიკური ერთეულებიც: ფიშტო, ისკელე ფრანგილ-იტალიური ურბა, ასევე, მეტყველებაში ხშირად ისმის **ბერძნულიდან** შემოსული სიტყვებიც: კორკოტი, სინორი, ბარუთი, ვარიოზი, კორიზა, ლოდოსი.

დანდალოს მეტყველებაში არაერთი საინტერესო საინტერესო **სიტყვა-თქმა** ისმის: **გული გედემელია, ბალზეა და ტყემას ჭამს, კუდი ღილიას გზა ბარაქას, ფუტი ამდის თავში, წელში გამტეხა, მოტეხეთ ეშმაკს ფეხი, ჯაზი ფეხს მეიტეხს, ცხვირი გააშვირა** და სხვა.

## დასკვნები

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დანდალოს მეტყველებაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო არაერთი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურება. მოგვაჩნია, რომ დანდალოს მეტყველება საინტერესო ლინგვისტურ სურათს წარმოგვიდგენს.

დანდალოს მეტყველებას სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი ახასიათებს, კერძოდ:

დამახასიათებელია ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია: **წუკერავენ** (წაუკერავენ), **უუცდებოდა** (აუცდებოდა), **დეუნყო** (დაუნყო) და სხვა.

გვხვდება ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებიც: **გედეიხარხარა** (გადაიხარხარა), **გეიხაროს** (გაიხაროს), **დეინინკლა** (დაინინკლა) და სხვა.

დანდალოს მეტყველებისთვის (და, საერთოდ, ზემო აჭარულისთვის) დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია. I და II ობიექტური პირის ნიშნები **მ, გ, გვ** ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისთვის. მათი მომდევნო ი იმსგავსებს ზემოხსენებულ ა, ე პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას: **იმხვიეს, გიმხტა, გიმცივდეს, ღიმირჩა, ჩიმიყვანეს** და ა.შ.

დასტურდება დისიმილირებული ფორმები: **მიედვა** (მოედვა), **ღიერქვა** (ღაერქვა), **გიეთხვება** (გაერთხვება)...

დანდალოს მეტყველებისთვის უცხო არ არის ბგერის დაკარგვის შემთხვევები. ძირითადად იკარგება **რ** ბგერა როგორც სიტყვის თავში, ისე ფუძეში: **კინა** (რკინა), **ძე** (რძე), **ქენა** (რქენა), **ძალი** (რძალი), **ქა** (რქა), **აათერს** (არათერს), **ვგავლით** (ვრგავლით), **წამობზანდი** (წამობრძანდი), **გააგძელა** (გააგრძელა), **მკთალი** (მკრთალი), **ვზდილით** (ვზრდილით) და სხვა.

ხშირად იკარგება **მ** ბგერაც: **ფარველობსო** (მფარველობსო), **თლათ** (მთლად), **შიერი** (მშიერი), **კლავები** (მკლავები), **წვანილს** (მწვანილს), **თიდან** (მთიდან), **ძივებიო** (მძივებიო), **შენიერო** (მშენიერო) და სხვა.

გვაქვს **ვ** თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც: **სიკდილს** (სიკვდილს), **გამაგზანა** (გამაგზანა), **შეცლის** (შეცვლის), **ზეით** (ზევით), **მოსლამდენ** (მოსვლამდენ), **ვკტებოლით** (ვკვდებოლით), **გადასლები** (გადასვლები) და სხვა.

იკარგება **ლ** ბგერა **სახლ** ფორმაში: **სახში** (სახლში).

სპეციფიკურია ი თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ მისი (ი-ს) დაკარგვის შემთხვევები პირველი პირის ფორმებთან: **ჩამევეტაი, ღევენახე, ჩევდინე, მეყყაი, ჩამევერეკე, გევექე, გევეტაით** და სხვ. ი იკარგება აგრეთვე **ვიდ** ფუძიან ზმნებში: **შამოვდა, გევედა, წევედა, ევლოლით, მოვდა** და ა.შ.

დანდალოს მეტყველებას ახასიათებს **ს** ბგერის დაკარგვის შემთხვევები. კერძოდ, პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილ სახელს მოკვეცილი აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი: მოვთუშავთ **ხახვ** (ხახვს), **ღმერთ** (ღმერთს) გუდუურჩენია, **ბუკეტებ** (ბუკეტებს) აკეთებენ, **კანათ** (კანათს) თესევენ, აწობდა **ჰურ** (ჰურს) და სხვა.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს** თანხმოვანიც იკარგება: **თივი** (ს) ზვინი, **ვერცხლი** (ს) წყალი, **ხეფენგი** (ს) კარი, **წიფლი** (ს) ქერეჭი და სხვა.

გვხვდება **ჰ** ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც: **ქვია** (ჰქვია), **ყავს** (ჰყავს), **კითხა** (ჰკითხა), **ყოლია** (ჰყოლია), **ქონდა** (ჰქონდა), **მიქროდენ** (მიჰქროდენ) და სხვა.

სისტემური ხასიათი აქვს **ნ** ბგერის კარგვას **მანც** ფორმაში: ხიდზე **მაიც** (მანც) დეიჭირეს; ქალი **მაიც** (მანც) შეითანია და სხვა.

ბგერის დაკარგვის საპირისპიროდ გვხვდება ბგერის **განვითარების** შემთხვევებიც. ჩნდება **მ** ბგერა: **მემრე** (მერე), **უმფროსი** (უფროსი), **გამცხოვრა** (გაცხოვრა), **უმფო** (უფო) და სხვა.

ჩნდება ვ თანხმოვანიც: **მაშინ** (მაშინ), **გაგათრინვა** (გაგათრინა), **თოკვით** (თოკით), **მოშუშვებამდე** (მოშუშვებამდე) და სხვა.

სპორადულად არის **ბ - ს** გაჩენის შემთხვევებიც: **გამბრავლდა** (გამრავლდა).

გვხვდება **ნ** ბგერის გაჩენის შემთხვევებიც: **მემრენ** (მემრე), **პოლინციაში** (პოლიციაში), **ქსონავც** (ქსონავც), **ისვენ** (ისევ), **კიდვენ** (კიდევ), **მეყიდნა** (მეყიდა) და სხვა.

ასევე, გვხვდება **მეტათეზისისა** (**ბანალი** (ბალანი), **ზრუგი** (ზურგი), **ჭროფლაი** (ჭორფლა), **ზღრუბლზე** (ზღურბლზე), **ზრუგში** (ზურგში)) და **სუბსტიტუციის** (**მარსკლავები** (ვარსკლავები), **მაყაყი** (ბაყაყი), **უკმინა** (უკბინა), **ფხარი** (მხარი), **კობზს** (კოვზს)) შემთხვევები.

ხშირია სრულხმოვნობის მაგალითებიც: **კიბილი** (კბილი), **თიბილი** (თბილი), **ტკიბილი** (ტკბილი), **კილდე** (კლდე), **ფილაფი** (ფლაფი) და სხვა.

დასტურდება **აფრიკატიზაციის** (**ჯანგი** (ჟანგი), **ჯარონაზე** (ჟარონაზე), **დავპაიყოთ** (დავპატიყოთ), **დავჭვიროთოთ** (დავტვიროთოთ)), **დეზაფრიკატიზაციის** (**დუუჟდომელი**

(დეუქლომელი), **დამაჟღერებელი** (დამაჯღერებელი), **ასტავლა** (ასწავლა), **მუესტარ** (მუესწარ), **დეესტრები** (დეესწრები)) და **გემინაციის** (ცხრამმეტი, ცამმეტი)) შემთხვევები.

დანდალოს მეტყველება საინტერესო მორფოლოგიური თავისებურებებითაც ხასიათდება: სახელობით ბრუნვაში ხმოვანთუძიანი სახელები დაირთავენ ი ბრუნვის ნიშანს: **ჰანაი, ბაბაი, ტყვილაი, ფარდუკაი, კვირიკობაი, ნენეი, ხოზიკაი, დეკნაი, ჭინკაი** და სხვა.

ხშირად იკარგება მიცემითი ბრუნვის ს ნიშანი: **კარტოფილ** (ს) ვგავდით, **იალ** (ს) დანვაუდა, ჩაანობდა **ჰურ** (ს), ამოვთხრიდით **ორმოეფ** (ს) სხვა.

იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს-ც: **ხეფენგი** (ს) კარი, **წიფლი** (ს) შიშა, **თიფი** (ს) ზვინი, **ვერცხლი** (ს) წყალი, **ყანი** (ს) პირაი და სხვა.

კუმშვადი სახელების ნაცვლად უკუმშველი სახელებია წარმოდგენილი: **ცხვარის, კაკალის, კლარისგან, ქესტენები, ქმარის,აკვანები**.

მოქმედებით ბრუნვაში ხმოვანთუძიანი სახელები -თი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად -ით ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი: **ფაკლაით, ყაზმაით** და სხვა.

მოქმედებით ბრუნვაში -ად/დ ბრუნვის ნიშანი ყრუვდება და ისმის -ათ/თ: **მინდვრათ, წითლათ, სანადიროთ, პირველათ, საძებნელათ, წამლათ** და სხვა.

-იან სუფიქსიანი სახელები ვითარებით ბრუნვაში -ად ბრუნვის ნიშნის ნაცვლად ა-ს წარმოგვიდგენენ: **ვედრიანა, ნაჭრებიანა...**

დანდალოს მეტყველებაში შეიმჩნევა ბრუნვის ფორმათა მონაცვლეობის შემთხვევებიც. კერძოდ, **მოქმედებითი** ბრუნვის ნაცვლად გვხვდება **სახელობითი** ბრუნვის ფორმა: ბაღნის **მოსაკლელაი**, სასიძის **მაგიერაი**, **პირველაი** კარტოფილ ვგავდით, **წესიერაი** დამაჟღერებელი და სხვა.

იშვიათად გვხვდება მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ფორმა: **ყანი პირაი**.

სპორადულად შეიმჩნევა ემფატიკური ხმოვნის გამოყენების შემთხვევები: **ადვილასა, შინავრისა, გარეველისა, სამსა დილასა, ცერისა, თითისა** და სხვა.



ებ-იან მრავლობითში ე-ზე გათავებული სახელები ნაცვლად ორი ე-სი დისიმილირებული იე ფორმითაა წარმოდგენილი: **სიციხეები, საქმეები, ოფიებში, ხიები, დღიები და სხვა.** ანალოგიურად გვხვდება ა-ზე გათავებული სახელების მრავლობით რიცხვიც: **გზიები, მთიები, მუხიები, რქიები, კაკიები და სხვა.**

ზედსართვაი სახელი რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ ავლენს. მერეს ნაცვლად გვხვდება **მემრე/მემრენ** ფომები, **ასეთი/ისეთის** ნაცვლად დასტურდება **ამფერი/იმფერი, უფროს** ნაცვლად გამოიყენება **უმფო, იმფო.**

თავისებურებებს შევხვდებით ნაცვალსახელებში. კერძოდ, **ეს, ის** ნაცვალსახელები ე,ი ფორმით გვხვდება: **ე (ს) თავანი, ე (ს) ინსანი, ი (ს) გოგო, ი (ს) სანყალი, ე (ს) ზაფხულია და სხვა.**

**ამას, ამის,** მაგის ნაცვალსახელის ნაცვლად გვხვდება **ამა, იმა, მაი** ფორმები. **იმა (ს)** უნდა, **მაი (ს)** ხობვები, **ამი (ს)** თავი, **იმა (ს)** ვჭამდით, **იმა (ს)** მუაბამდი და სხვა.

**სად, საიდან** კითხვითი ნაცვალსახელის ნაცვლად დასტურდება **ჰა, ჰად, ჰაიდან;** **ჰა** იყო, **ჰად** მიდის, **ჰაიდან** გამოხტა, **ჰა** გაგონილა, **ჰაიდან** გამოდის და სხვა.

რაც შეეხება ზმნასთან დაკავშირებული თავისებურებებს: სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის - **ნენ** დაბოლოების ნაცვლად გვხვდება -**ენ** დაბოლოება: **მუუვდენ, მიმეიპანტენ, უძახდენ, შაჭმევდენ, მუუახლოვდენ, ჩუუვარდენ, შემეიპარენ** და სხვა.

სუბიექტურ მესამე პირში -**თ** მრავლობითი რიცხვის მონაცვლეა -**ნ** დაბოლოება: **ყავდენ, დუუნყევლიან, წუყვანიან, დუუდგმიან, გამუყურიან** და სხვა.

წყვეტილის მწკრივში ე მწკრივის ნიშანი გართულებულია: **მეყყვანევი, წეკკითხევი, დავწერევი, შევწირევი.**

თემის ნიშანიც ავლენს თავისებურებებს. -**ავ** თემისნიშნის ნაცვლად გვხვდება -**ევ** ფორმა: **ვზიდევდი, ხედევდი, დამარილევდა, დახურევდა, ნახევდა** და სხვა.

იშვიათად გვხვდება -**ებ** თემის ნიშანს ენაცვლება -**ევ** ფორმა: **ვკიდევდით, ჩავკიდევდით.**

ზოგიერთ ზმნაში ობიექტური მესამე პირის პრეფიქსები არაა წარმოდგენილი: ყავს, ქონდა, გავს, მოპარა.....

ზმნისწინიან ფორმათა გამოყენებისას თვალში საცემია ის, რომ შე, შემო ზმნისწინს ხმოვნითი ნაწილი ენაცვლება: შა, შამო გვხვდება: შააჭმევდე, შაადარა, შაალამაზა, შაასრულა, შაფანვა, შამოვდა, შამოვარდა, შამომისტრა და სხვა.

საინტერესო თავისებურებებს გვიჩვენებს ზმნიზედაც დანდალოს მეტყველებაში. გვხვდება შემდეგი ფორმები: ხანჯელ, ამწინაებზე, წინწინდულა, ამწახანებაი, თანისთან და ა.შ

გვხვდება სახელთა უთანდებულო ფორმები, რომლებიც ადგილის ზმნიზედის ნაცვლად გამოიყენება: ბათუმ, ცინარეთ და სხვა.

სისტემურად გვხვდება აგზე, იგზე, აქში, იქში ფორმები აქ, იქ ფორმათა ნაცვლად.

მრავალფეროვანია თანდებულთან დაკავშირებული თავისებურებებიც: -თვის თანდებულის ნაცვლად გამოიყენება -თვინ: სახურავისთვინ; ყავრებისთვინ, ვისთვინ, სულისთვინ, ცულისთვინ, გაკეთებისთვინ, შენთვინ და სხვა.

-ვით თანდებული -ვინ ფორმით გვხვდება: მაკრატელივინ; დედასავინ; ზოფასავინ; ვაშლივინ; ზღვასავინ და სხვა.

-მდე თანდებულის მონაცვლეა -მდინ: თვლამდინ, მოსლამდინ, ზამთრამდინ და სხვა.

კავშირები რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენს. მაგრამ, რომ კავშირთა ნაცვლად გვხვდება მარა, რომე. თორემ კავშირის ნაცვლად თვარა დასტურდება.

უნდა ნაწილაკი სახელთან ან ზმნასთან შეზრდილია გამარტივებული სახით: ვურიოთნა, მოვზილოთნა, ჩვენნა, წვენშინა, ჩამეეტანანა, შუულოცონა.

თურმე ნაწილაკს მონაცვლედ გვხვდება მეგემ, ხოლო ლამის, თითქმის ნაწილაკის ნაცვლად - ლარმის, კილარმის.

დასტურდება ორმაგი უარყოფის ფორმებიც: **აფერი არ ეშველება, ალააფერი არ მოდის, არც კინის შეტანა არ შეიძლება.**

რაც შეეხება დანდალოს მეტყველებაში თავჩენილ სინტაქსურ თავისებურებებს. აქაურთა მეტყველებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა პრეპოზიციულია.

**დიდი კაკალი, უშველებელი კაკალი, დიდი ტანები, ნახევარ ბულულს, ეში-ტოლი ბაღნები, ხარისხიან ძეს, შინავრი მაზები, შუუკაზმელი ცხენები, შავი ელელეცი, დიდი ყულე.**

სალიტერატურო ენაში, სადაც მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მასთან დაკავშირებული საზღვრული და ზმნა მხოლოდით რიცხვში უნდა იდგეს, მაგრამ დანდალოს მეტყველებაში ზოგჯერ ეს წესი ირღვევა და გვაქვს საზღვრული მრავლობით რიცხვში: **ორი გოგონები (ორი გოგო), ექვსი დედმამიშვილები (ექვსი დედმამიშვილი) სამი დები (სამი და), სამი ქალბატონები (სამი ქალბატონი).**

განსხვავებით სალიტერატურო ენისგან, აქაურთა მეტყველებაში, მსაზღვრელად წარმოდგენილ კრებით სახელთან საზღვრული მხოლოდითის ნაცვლად მრავლობითში დგას: **ერთი დღე ბევრი ბაღნები (ბევრი ბაღანა) ვიყავით; ბევრი ხალხი თავმოკვეთილები (თავმოკვეთილი) გუდუყურიან; ბევრი სამუშაოებია (სამუშაოა) ჩასატარებელი;**

გვხვდება შემთხვევები, როცა გარდაუვალ ზმნასთან II სერიის ფორმებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას.

**ამ (ეს კაცი) კაცმა შენუხდა, ადგა ქალმა (ადგა ქალი), მივდა პოლინჩიაში, ყემზემ ფაშამ (ყემზემ ფაშა) გამოვდა, ერთმა კაცმა (ერთი კაცი) დეიბადა, ზარმა დეირეკა (ზარი დაირეკა), თოვლმა ჩამოვდა (თოვლი ჩამოვდა), ნურმა ჩამუევდა (ნური ჩამუევდა).**

სალიტერატურო ენის მიხედვით მსაზღვრელად წარმოდგენილი I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში უნდა დაირთავდეს მიცემითი ბრუნვის ს ნიშანს, მაგრამ თითქმის სრული შეთანხმება დარღვეულია: **ჩემ ანას, ჩემ ბაღანას, ჩემ ამხანაგს, ჩემ გულს და სხვა.**

კუთვნილებით ნაცვალსახელს, როცა დაერთვის თანდებული, მაშინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი კუთვნილებით ნაცვასახელს არ სჭირდება, მაგრამ ადგილი აქვს აღრევას. ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი: ჩემს გამო, ჩემს შემდეგ, ჩემს შესახებ და ა.შ

დანდალოს მეტყველებამ საინტერესო სურათი გვიჩვენა ლექსიკის კუთხით. გამოვლინდა არქაული ფორმები: აბანო, აპოხტი, ასტამი, გარგანი, დრამი, ქერეჭი, ღალადი და სხვა. აქაურთა მეტყველებაში ისმის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა შესწავლა დაგვეხმარება ფუძენის კუთვნილი არქეტიპის აღდგენაში: ახუპვა - ხელში აყვანა: ეიხუპებდა ბალანას და სოფელ-სოფელ დადიოდა. შდრ.ნოლ.: ხელში აყვანა, დანაოჭება. სვან. თავს უყრის, ანაოჭებს.

**ნამშხალი** - ახლად ამოყრილი ყლორტი: ეტყობა კარგათ ვერ გავმარგლე ნამშხალი. შდრ.:ნოლ. ახლად ამოყრილი ყლორტი, რტო. სვან.აშხალ, არშხალ -ტოტი, რტო. ამავე რიგისაა ლექსიკური ერთეულები: გვარდა, მატყლი, ფუთხო ხაშარი და სხვა.

ჩანს ზანურის სუბტრატის კვალიც: ხეჭებო, ოჭივარა, კალაში, კუჩხე, და სხვა.

პარალელების გავლება შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ სალექსიკონო მასალასთან: დრამი (ნამცეცი), წინწკალი (ნაპერწკალი), დაბურვა (დახურვა), ფრენა (დახევა, დანაწევრება), ხასი (სუფთა) და სხვა. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ერთნაირი მნიშვნელობით გვხვდება ზემოაჭარულსა და ვეფხისტყაოსანში.

ბუნებრივია, რომ მეტყველებაში გვხვდება ლექსიკური დიალექტიზმები: ახორთლალება, ამძოხებული, გამოსული, მიეჭუჭკებოდენ, მეგემ, ტალიკი, ყირავი და სხვა.

ისტორიულად უცხო ენებთან კავშირმა თავისი დალი დაასვა აქაურთა მეტყველებას, ამიტომაც რომ ხშირად ისმის უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები.

თურქიზმები: აბლა, ანა, გენილი, ბორანი,იალი და სხვა.

სპარსიზმები: ახორი, ბახჩა, ერიშტა, ჰავანი, ზოფლი.....

არაბიზმები: ბერექეთი, ხებერი, აჯაფ, აღდი, ჰალვა, ევლია, ყულე და სხვა.

დასტურდება რამდენიმე იტალიური (ისკელე, ფიშტო), ბერძნული (ბარუთი, ვარიოზი, კორიზა, კორკოტი, სინორი, ლოდოსი), და იტალიურ-ფრანგულმა (ერუბა) ლექსიკური ერთეულები.

დანდალოს მეტყველება განსაკუთრებით მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმების გამოყენების შემთხვევებითაც: გული გედემელია, ბალზეა და ტყემას ჭამს, კუდი ღილიას გზა ბარაქას, ფუტი ამდის თავში, წელში გამტეხა, მოტეხეთ ეშმაკს ფეხი, ჭაზი ფეხს მეიტეხს. ცხვირი გააშვირა და სხვა.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩანერილმა ტექსტებმა გამოავლინა არაერთი ენობრივი თავისებურება. წარმოჩნდა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური კუთხით საინტერესო ლინგვისტური სურათი.

ვფიქრობთ, ზემო აჭარის სოფლების ლოკალური, ხეობათა თუ სოფლების მიხედვით შეწავლა სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის აჭარული დიალექტის შესახებ. აჭარული დიალექტის სრულყოფილ შესწავლას. აჭარული დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა კი დაგვეხმარება სამხრულ-დასავლური დიალექტური პროფილის განსაზღვრაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.,1973;
2. ახვლედიანი.გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949;
3. გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984;
4. თოფურია ვ., რედუქციისთვის ქართულ ენაში, იკე I, თბილისი, 1976.
5. იმნაიშვილი გრ., ქართველური დიალექტი, I ტ.1974;
6. მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.
7. მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956;
8. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტი, ბათუმი 1961.
9. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი 1971.
10. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი 2013.
11. ორბელიანი ს., სიტყვის კონა, თბილისი 1949
12. ულენტი ს.,გურული კილო, თბ., 1936;
13. რუსთაველი შ.,“ვეფხისტყაოსანი“. თბ.,ტ.II 1998.
14. ფალავა მ., ცინარიძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში დ., გელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარაოძე დ., კლარჯეთი, ბათუმი, 2016;
15. ფუტკარაძე ე., ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“, კრებ. რუსთაველი და „ოქროს ხანა“, საქართველო, ბათუმი 2016, B.90-001
16. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, II, ბათუმი, 2011.
17. ქავთარაძე ივ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვის (XII-XVIII სს), I, თბ., 1969;
18. ლლონტი ალ. ქართულ კილო-კავთა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

19. ჩიქობავა არ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1952.
20. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი 1961.
21. ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძვ.ქართულში, თბ., 1960;
22. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

## დანართი

მთქმელი: ტარიელ მანველიძე,  
ჯალაბაშვილების მკვიდრი,  
67 წლის, განათლება-აგრონომი

### ამბები საკუთარი ცხოვრებიდან

ჩემ ანას ნენიკას ვუძახდით, ნენიკას ერთი დღე სტუმრები მუუვდენ მისი კუთხიდან, მან, ცინარეთი რომაა შვახევში, სოფელი, იქიდან იყო, მაშინ ჰა იყო ცალ-ცალკე საინები, ერთ დიდ საინზე, ჯამაზე, გააკეთებდა ბორან და ყველაი შით აწობდა პურ ან ჭად, აწევდა კობზს, დღლიზებდა დერგში, ამეილებდა იალ, შედგამდა ბუხარში და ააშიშხინებდა, ახლაც პირში მაქ ი გემო, ახლა ჰად აქ იმთერი გემო და სუნი იალს.

პანაი ხის სახლი გვექონდა, ორსაათულიანი, პირველი საათული ახორი იყო. მიერეზე ჩვენ ვცხოვრობდით, ერთი დღე ანამ ძროხა რომ მოწველა, დიმიძახა, ვედრაი ეიტაიო და ძე ჩანურეო. ავალე ხეფენგი კარი, ჩავადგი ერთი ფეხი და ბაცა-ბაცა წეველ კიბიებზე, ანამაც ვერ მუასტრო იქით გასლა და ჩემიან ვედრიანა დევეცი, ერთი ვედრაი ძე გადავასხი.

ძველათ კარტოფილ ოფიებში ვგავდით, თოხით ერთ ოფეს ამოვთხრიდით, შით კარტოფილ ჩავადებდით და წავატარებდით მიწას. ახლა გაადვილდა ცხოვრობა, შამოვდა ეს პანაი ტრაქტორები, გაარუნიებენ ზოლს, ჩაანყობენ კარტოფილ და თოხით წაყრიან, ახლანდელეები კილო იმას იტყვიან, რომ მევლალეთო. ადრე დიდ ორმოფე ვთხრიდით და შით თეელ კარტოფილ ჩავყრიდით ზამთრისთვინ, რომ კვირტები არ



ამოსულიყო და ზამთრამდინ გვეყოფნოდა. ახლა რა ვარც კი მიწიდან ამოთხრიან, მაშინათველადი მეშოკებში ჩაყრიან, წუეკერავენ და კუთხეში მიღვამენ.

ბაბუ ვიქნებოდი ასე მეექვსე კლაში, მაშინ ცხვრებიც გვყავდა, ძროხებიც, თხაც, დაჟე ცხენიც. ბაბაი ჭამა-სმის კაცი იყო. დილას რომ წევდოდა, სალამოს მოვდოდა ნაქეითარი და მე და ანაი ვმუშაობდით ყანა-ბაღში, რვა ძმა კი ვიყავით, მარა მე ყველაზე პანაი ძმა ვიყავ და ისინი მიმივიპანტენ. ზოგი ჯარში წევდა, ზოგი სასტავლში, ზოგმა ქალი მიეყვანა და დეიპანტენ. მე დავჩი სახში. ათი წლიდან ჭვირთს ვზიდევდი, ანაი მომიკოჭებდა თივას თოკვით, კილამის ნახევარ ბულულს, მომიკიდავდა და ვზიდავდი ყანის ბოლოდან თივას. ერთი დღეა და ცხვარმა თავი გაყო ერთ სეტკა ლობეში, დეიწყო ხჩობა, მე მუესტარ, მარა თავი ვერ გამოვადრობიე ლობიდან, ნენიკამ მიეიტანა ნაჯახი და თავი წააგდებია, მე ტირილი დევწყე, რატომ მოკალ - მეთქი, მითხრა ეს მაიც მოკლებოდა და სიკდილს ჯობდა დეგვეკლა, მერე გავატყავეთ. მომიკიდა ნენემ ზრუგში და გამაგზანა საპჯოში. იქ სასადილო იყო და ჩააბარეო, ექვსი კილომეტრი თუხით ზრუგში მოკიდული ცხვარით ვიარე და ძვილაი ჩამევტაი საპჯოში. მიხარიოდა, რომ ამ ცხვარის თარით თუხზე ჩექმანა მეყიდა, სასადილოსთან რომ მიველ, გარეთ ბაბას ხარხარის ხმა მომესმა, როხროხი იცოდა სიცილის დროს. მეგემ აქ ქეითობდა, მე რომ ცხვარი შევტაი, ნოქარმა ბაბას უთხრა: შენი ბაღანაა მოსული, ცხვარის ხორცი მიეიტანა გასაყიდათო, გამოვდა ბაბამ გარეთ, კიდევ ერთი გედეიხარხარა და შეიტანა ი ცხვარი სასადილოში, დუუძახა პოვარს შიგვიწვითო, მე გარეთ ვიდექ და ვუცდიდი თარას როის მომცემდა. ათი წუთის მერე გამოვდა და მითხრა ამის თარით რანა გეყიდაო, ვუთხარ ჩექმები - მეთქი. ნაი ბაბი ახლა სახში და სალამოს ჩექმებს მე ამოგიტანო. დაღამება მეჩქარებოდა, კარქათ დეიგვიანა იმ დღე ბაბამ. ამოვდა რაფერც იქნა და თხარზე გადაკიდებული ტყავის ჩექმები ამომიტანა, ისე მიხარიოდა ის ჩექმები, რომ იმ ღამე ლოგინში ჩევწყე და ისე დევძინე.

ბაღნობის ხებრებიდან კილო რა გამახსენდა იცი, ჩემ ბაღნობას თლათ ყველა ოჯახში ემიტოლი ბაღნები ვიყავით, ოჯახი არ იყო რომ ბაღნები არ ყოლოდენ, საძმერხლია რომაა, იქ იყო ბაღახ-ბულახი, ლეშხი და რა არ იყო, საქონელი იმთვერი ძლებოდენ,

იმფერ ხარისხიან ძეს ინველებოდენ, ჩვენ სკოლიდან მოსლამდენ იქ გადენიდენ და ჩვენ რომ სახში მოვდოდით, მაშინ გაგვაგზანიდენ, სანამ ძროხები ევლიან ოღრიალამდეო, მანამდე უუსტარიტო და საქონელი უკან მუაბრუნეთო. ჩვენ იქ რომ ევდოდით, ტრიალ მინდორში იდგა დიდი კაკალი, უშველებელი კაკალი იყო. იმ კაკალ ხან ერთი ჩამორეკავდა, ხან მიერე, ხანაც ბაღნები. ამ კაკალ ქონდა დიდი ტანები გამვებული, მარა იმი სიმალღეზე, რომ ინსანი უუცდებოდა. ამ ტან ჩამოვწვედით ბაღნები, დევეკორწიალებოდით, ევტანდით მალლა და გუუკორწიალდებოდით, ხან აღმა და ხან თავდაღმა ვკორწიალობდით, ერთი დღე ბევრი ბაღნები ვიყავით, თითოს როისნა მოგვესირევებია გაკორწიალება და ყველამ ერთად დევეკიდეთ ამ კაკალი ტანს, გაკორწიალდით და ყველაი ჩავცვივდით ღარდა-ღურდაში, დაბეგვილები ჩეველთ სახში. ანამ მკითხა: ვინ ქცემაო? მეც სიმართლე არ ვუთხარ. მუატყვილე, რომ ოღრიალში ყარავლი იყო და იმან გვცემაო.

შიშას ზათრისთვინ კი ვამზადებდით, მარა ხანდესან გვაკლდებოდა. ბაბას ტყეში ქონდა გაყვანილი ცხენი გზა, იმა მუაბამდით მარხილ, ევტანდით, დიდი წიფლი ხე დგას ერთი და ჩემი ძმა ხასიაი ერთ ზამთარ ერთ ტანს მოხევედა, მეორე ზამთარ მეორეს, თან მაშინ ღრუება არ იყო და ყოლხიზარით ვხევედით. ის წიფელა კიდევაა ახლა, გაშავებული, ხავსი მიედვა, მარა კიდვენ დგას და ერთ ზამთარ ეყოფა კაც იმხელაა.

საძმერხლიაი იმიტომ დეერქვა, რომ იქ ბევრი ძმერხლი იცის. ძმერხლი მარადმწვანე ყვავილოვანი მცენარეა, ფოთლეფში ქვეშედან აქ პანაი წითელი ძივები, ყველა ფოთოლ ქვეშ არის ეს მძივები. იმით ბუკეტებ აკეთებენ, ბაბას ერთი ნიჩაბი ქონდა, გძელი ტარით და ბოლოში მაკრატელივინ პირი ქონდა, ჯერ თოვლ გამონიჩბევედა, მერე მაკრატლიან პირ შეყოფდა და მოჭრილს გამუაძრობდა ბუჩქებიდან.

ნაკანათარიც გვაქ სოფელში, იქ კანათ თესევედენ, მემრე თოკებ გრიხავდენ, კანათი წამლათაც გამეიყენებოდა. ადამიან რომ მუცელი ატკივდებოდა, შააჭმევდენ და მუურჩებოდა. ფელოებიც არი ნაჯარების ახლოს, მარა რატომ ქვია ვერ გეტყვი ბაბავ.

ნაჭვარი არი კიდე სოფელში, იქ ჭვავი ითვისებოდა უნინ. ნაჯარებიც არის ტყეში ერთი ადგილი, თურქების შემოსლი დროს ერთი ნაწილი ჯარისა იქ გაჩერებულა და ამიტომ ნაჯარები დეერქვა იმ ადგილ. ჯვარიგზაცაა ჩემ სახლმდე, ჩემკენ მომავალი გზა შუა ნაწილია, რომელსაც იქეთ - აქეთ კიდე აქ გზები და ჯვარის ფორმა აქ. ამიტომ დეერქვა ჯვარიგზა.

მოდულები ქვია ჩემ ადგილ, იმ ადგილას ტყე იყო, გამუყყენებელი იყო მიწა სახნავათ, მერე ხალხმა გაჩეხა და ხვანა-თესვა დეინყეს, მოდული მგონი გამუყყენებელ ადგლს ქვია.

მავერ გორგივში არის კიდე ნაომარი, ადგილ ქვია, იქ თურქები დროს დიდი ომი გუუმართია იქ მცხოვრებლებს და ამიტომ დეერქვა ნაომარი. ნაომარის ცოტა ქვეით კიდევ არი ნამანევი.

მე ერთი ლექსი ვიცი გუთანზე, ყველთვინ ანაი მათქმევიებდა ყანი მოხნა რომ დეინყებოდა:

### სიმღერა გუთანზე

შენი ჭირიმე გუთანო,  
რკინაო სახნისისაო,  
შენ ჩემი დედეს ნაქონო,  
და დიდი ნენეს ხნისა,  
ერთგულათ მოვხნათ, მოვთესოთ  
ამ ჩვენ ნაფუზრის ხნულები,  
მოსავალმა ინყოს ღალანი,  
რომ გეიხაროს გულები.  
სიმინდი თველზე მივილოთ  
ყველაზე უკეთესები.  
მინდვრათ გაშლილი გუთნები  
მოაჯლაჯუნებს ბარეფსა,  
ზამთრისგან დასუსტებულებს

ოფლი ჩამოდიან ხარეფსა.  
შენ დაილოცე გუთანო,  
კურთხეულ იყოს სახელი,  
ჭირიმე შენი კლავების,  
საშრომლად მომზადებულსა.  
ჭირიმე, შენი ჭირიმე,  
ნაკურთხო ღმერთის ხელითა,  
არ მიღალატო, თორემა,  
კაცი მოვკდები დერდითა.

**მთქმელი: დავით ბერიძე, 76 წლის,  
მოსიაშვილების მკვიდრი, განთლება საშუალო  
ისტორიები საკუთარი ცხოვრებიდან**

მე რა მასხოვს ბაბუ იცი, მაშინ ზეით ვცხოვრობდით, მოსიაშვილებში, ერთი პანაი ფიცრული გვედგა. ნენეი კაციც იყო და ქალიც. მას ხენიფეი ერქვა, მარა ჩვენ კუტუბოვს ვუძახდით ჭიქის თვალი მგონე. სულ ყველაფერს მან აკეთებდა, სანამ წვიტები ვიყავით მარტო მან მუშაობდა, ბაბაი ომში იყო. ძროხა, ქათამი, ყანა, ბახჩა, შიშა, კვარი ყველაფერი მის კისერზე იყო. ექვსი დედმამიშვილები ვიყავით, ჩვენ ერთმანებს ვზდიდით, ჩვენი უმფოსი დები დედობას გვინევდენ, რამდენჯერ შიერი დავწოლილვართ, მუცელი ტკივილი დეგვენწყობოდა. ანაი გვეტყოდა, რომ ჩანექით ლოგინში, წამეიხურეთ საბნები და კაი რაცხაებზე იფიქრეთო. ბევჯერ თვალებიდან ცრემლებიც გადმომიყრია, ისე მშიოდა. ერთი ღამე გემევღვიძე ხმაურზე, ანაი თვალებზე ცრემლები ინმენდდა და თან ამბობდა: ღმერთო, რა დიგიშავე, რომ ამ დღეში ვარ, ახლა კი დავანვინე ბაღნები მშიერი, მარა ხვალ რა ვქნაო, ადგა ფაკლათ, აძრა სახლი წინ და ხიებს ტყავების აძრობა დუუნყო, ნაჯახით ჩამონაფოტა, მე ნაჯახის ფართხუნის ხმა მესმოდა, ავდექე, კუტი ლამბაი ანთული იყო, ცოტა წამუწნიე, რომ უმფო გვენათებია. ზამთარი იყო, ციოდა, გარეთ მაგრათ

უფრუტუნებდა, მე ბუხარი გავანთე, მაშინ ერთი შიშის არ გვიჭირდა, ბუხარში ჩავყრიდით ჯირეკებ და ღიდ კვარ ჩავაგდებდით. წუუკიდებდებდით ცეცხლ. ვიფიქრე ანაი შეცივებული ჩამუა სახში და გათბება - მეთქი, ვიჯექ ჩემებურა და ვუცდიდი ანას როის ჩამოვლოდა, უცბათ წამოყვირების ხმა გევგონე, პანა ხნის მერე ნენეი შემოვდა მეშოკ მოკიდელი, პირზე დასისხლიანებული შამუარდა სახში. მე მეგონა რაცხა ნადირმა უკმინა ტყეში. მივდა წყლით პირი მიებანა, თვალზე დიდი თეთრი მარლა დეილო, მე შიშისგან ავბლავდი, ანაი მეხვეწებოდა, გაჩერდი, ბალნები არ გიმიღვიძო და არ გიმიბეჩოო, მერე მომიყვა, რომ ხეებს კანს აძრობდა, თაჩუნის ხმა მემესმაო და შემეშინდაო, ნადირი მეგონაო, გამევექცე, ფეხი დიმიცდა, დავგორდი და ეკალა თელს დევეცი თავით და თელი შემესო თვალშიო. ი ღამე ისე გათენდა. ჩამოტანილი ხეზე დამძრალი ტყავი ბუხართან წვიტათ დატება და გუუფინა. გამათფთხილა ბალნებმა ეს არ გადაყარონ, ან არ დანვან, რომ ჭადინა გამუაცხოო. მიერე ღღეს ანაი ადგა და დაყვა ქვეითკენ, მისი თვალისთვინ რომ მიეხედა. ექიმბაშმა რაცხა შინავრი მაზები დაადვა თვალზე, ზოგიც სახში გამუატანა და ისე მიეჩინა, მარა იმ თვალიდან ველარ ხედავდა. დრო რომ გევდა, იმ თვალში ჭიქის თვალი კაკალი ჩეისვა და ისე იყო თელი ცხოვრება, მის მერე კუტუზოვს უძახდა ყველაი, მემრე ის ხის ქერქები ღელი წისკვილზე დააფქვია და ბაისახან იმით ვქენით იდარე, იმფერი გემრიელი იყო ის ხის ჭადი, რომ ი გემო ახლაც პირში მაქ, ჰელბეთ ძალიან ქვშიოდა და მაგიტომ.

იმფერი ზამთარიც ყოფილა, რომ ჭადი ქვექონია, მარა ყველი აღარ იყო და გვეხ ჭად ჩავანობდით წათხში და იმას ვლუკმავდით. ბაისანი წვალეება გვაქ გამოვლილი, ეს მახსოვს ყველაზე კარქათ, მერე ომი რომ დამთავდა, ბაბაი დაბრუნდა კაი ხნის მერე და ცოტა შუუმსუბუქდა საქმე ანას, მარა მიჩვევლი კიდევ კაცის საქმეაც აკეთებდა და ქალისაც, ღმერთმა აცხონოს მისი სული, რომ დაღამდებოდა და შიმშილი რომ არ გაგვხსენებოდა, ანაი ბაისან ამბავს გვიყვებოდა, მოყოლოლი აქ გვანცას მთის ამბავი

### **გვანცას მთა**

ავერ ბალაძიებში მაღალი მთა რომაა, აღრე მას წონოლა მთას უძახდენ, ახლა კი გვანცა-ლელას მთას უძახიან. ვახტუნდა, თურქების შემოსეფების დროს, მეგემ ყველაი,

გუუმუსლიმანებიან, ვინცხაი არ გამუსლიმანდებოდა, იმა შავი დღე დაადგებოდა, თამარ მეფის ხიდზე, ცენტრში, კავიანის ხიდი რომაა, იქ დუედვიან თავსაკვეთები და დუუნყიან ხატები, ფაშას უბანებია: ვინც ამხატებს გადათელავს და გამუსლიმანდება გადარჩება და ვინც ვარს იტყვის, თავები მუაჭარით და წყალში გადაყარეთო, ბევრი ხალხი თავმოკვეთილები გუედუყურიან აჭარი წყალში. ერთი პერიოდი იმდენი თავი ჩუყურიან, რომ აჭარი წყალი წითლათ შეღებილა თლათ. ამფერი თქმულებაც არი, ვითომ ამ დროს მთელ აჭარაში ეს ამბავი ტრიალებდა და ვითომ ამ სისხლიღვრის გამოა, რომ წითლად დეინინწკლა მდინარეში კალმახიო, იმ დროს ყოფილან ორი დები, გვანცა და ლელა, ერთი მღვდელიც ყოფილა, ვინმე მამა სერაფიმე, რომელიც დანდალოს ეკლესიაში იყო, იმან გააპარა და იმ წონოლა მთისთვინ შუეფარებიან თავი, მათ არ მუელიან მუსლიმანობა, როიცხა ხალხში გამოვდოდენ, ან დანდალოში ეკლესიაში შევდოდენ, ჯარისკაცის ტანსაცმელს იცვამდენ, იქ მთის ძირში გამოქვაბულიც ყოფილა და იმ გამოქვაბულში ქრისტიანული ხატები და ჯვრები ქონდენ და იქ ლოცვილობდენ. ერთი ქრივი ქალი ყოფილა, მეგემ თურქი ფაშას საყვარელი ყოფილა, მისულა და იმ ფაშასთან უთქმია, რომ ის კაცები კი არა, გოგვები ყოფილან და ისიც უთქმია, რომ მათ მამა სერაფიმე ფარველობსო. ფაშას ეჭვი გაჩენია და ამფერი ბძანება გუეცია, ვინც დიმიტკიცებს, რომ ისინი მართლა ქალები არიან, ერთ ქისა ოქროს ვაჩუქეფო. ერთ დღეს მამა სერაფიმეს სახლს კვამლი ადინდა, მას სახლი ჯანიუში ქონდა, ჭყანიშიდანაც ჩანდა და ყველაგნიდან, რომ სახლი ინვოდა, მამაოს ფანჩატურიც ქონდა და ის გუდუერჩა დანვას. მეორე დღეს მთელი დანდალოს ხალხი მოგროვდა და დეეხმარა მამაოს სახლის აშენებაში, ზოგი ხეს ჭრიდა. ზოგი ყავარს აძრობდა, ზოგიც მორებს ათრევდა და ერთ ღამეში სახლი დაანუნვეს, ფაშა თვითონ წევდა იმ მთი ძირში გოგვების სანახავათ, თან ერთი ასკერიც წეიყვანა. რომ მუუახლოვდენ გამოქვაბულს, შენიშნეს პანაი მკთალი სინათლე. მიხდენ, რომ შით მართლა გამოქვაბული იყო და სანთელი ენთო, შევდენ შით და რას ხედავენ, ორი ღამაში გოგონები ხატების წინ იდგენ და ლოცვილობდენ, გვანცამ რომ დეინახა ისინი, წამეიკივლა, მათმა სილაამაზემ ფაშა და ასკერი დააბზავა, ჯერ პირში ენა ჩუევარდენ,

მერე ბურანიდან გვანცას ხმამ გამეიყვანა, ვინ ხართ და რა გინდებიანო. მაშინ ფაშა გონზე მოვდა და გვანცას და ლელას ხელ - ფეხი შუუკრეს და პირიც უუკრეს. მერე გვანცაი აზმუკუნდა, მიხდენ, რომ რაცხაის თქმას ითხოვდა, პირზე მოხსნეს სახვევი და გვანცამ დეიწყო: ჩვენ ნუ დაგვხოცავთ, ჩვენ თქვენი ცოლები გავხდებითო. ეს წინადადება მაცდუნებელი აღმოჩდა თურქებისთვის. ფაშამ იმ წუთში შაადარა მისი ქრივი საყვარელი, რომელიც ასაკიანი იყო და გვანცას და ლელას მომხიბლავი სილამაზე. თქვა გულში: სად იმ ქრივის საყვარლობა და სად ამ მელაიქების ცოლობაო, ფაშამ კითხა, რომ მერე რა იქნებაო. ლელამ გააგძელა, რომ ჩვენ ჩვედეთ ცხმორისში მოლასთან, მივიღებთ მუსულმანობას, თან მოლას აღდიც გავაჭრევით და თქვენი ნამდვილი ცოლები ვიქნებითო. აცდუნეს თურქები, ისე რაფერც ადამმი აცდუნა ევამ. დათანხმდენ თურქები, მაშინ გვანცამ და ლელამ გამეიყვანეს შუუკაზმელი ცხენები, შეჯდენ ზეიდან და თურქებს უთხრეს: თქვენი ცხენებიდან ჩამოით და ჩვენ შამოგვიჯეფითო, ამან უფრო გაახარეს თურქები, რომ უფრო ახლოს ვიქნებით ამ ანგელოზებთანო, შემეისვეს ცხენზე და გააჭენეს ცხენები გოგვებმა, ერთმანეს გადაულაპარიკეს, ხრამმა შთანთქას ჩვენი სიცოცხლეო და გაჭენებული გედევმვენ ხრამში, მეგემ გამოლმიდან სოფელი დანდალოდან დუუნახიან ორი ცხენი, რომელიც დიდი სისტრაფით მიქროდენ და გედეიჩეხენ ხრამში, ოთხი ადამიანის და ორი ცხენის სიცოცხლე შთანთქა ხრამმა, ჰო, მართლა ის დამავიწყდა, რომ იმ გვანცას ყავდა შეყვარებული, რომელსაც გოდერძი ერქვა, გამოქვაბულში დუუტია წერილი მეგემ და ყველამფერი შით დუუნერია, რომ გამუსლიმანებას სიკდილი არჩიეს. ამ დღი მემრე იმ მთას გედევრქვა და დევრქვა გვანცა-ლელას მთა. ამ დროებში მთელ დანდალოში 13 კომლი დარჩენილა. მე ამფერი ლექსი მაქ ნასწავლი:

### **დანდალოში**

დანდალოში ასკერები შემეიპარენ ღარდა-ღარდა,  
ყველას ცეცხლი წიგვიკიდეს, ვინც დანებდა, იმათ გარდა,  
გიდაგვიწვეს კერე-კუჩხე, დიგვინგრიეს ტანტრაბა და,  
მერე მამა და ძმა მოკლეს, ნენეი წყალში გადავარდა,

იმის სიკვდილსაც მომასწრეს, ამდუნიაზე ვინც მიყვარდა,  
მემრენ პირი იმიხვიეს, დიმიხვიეს კაბი კალთა,  
მიმიყვანეს უჩრუმ ტყეში, გზაზე ყიამეთმა მწვართა,  
ჩემი შავი ნაწნავები, ქარმა აქეთ-იქით თანტა.  
ჩიმიყვანეს ისტამბულში, გულში ცეცხლი ჩიმიღვარდა,  
თავზე ჩადრი დამახურეს, გავხდი ქალი ბეგის გვართა,  
ყველაფერი მომიტანეს, ყველაფერი ჩიმიმწარდა,  
სულ მითხოვდა ჩემი კუთხის სახლი-კარი, მიწა, ღარდა.

### სიმღერა - გენილო

გენილო, გენილო, აბძანდი გელინო,  
ნელა-ნელა წამობძანდი, გელინო,  
კარი თავი მაღალაია გელინო,  
დედამთილი დედასავინ გელინო,  
მამათილი მამასავინ გელინო,  
მაზლი არი ძმასავინო გელინო,  
მული არი დასავინო გელინო.

ტოპონიმები ცოტა არის, მაგალითად, საქონდრია. იქ ბევრი ქონდარი იყო და დევრქვა, ზეით მოსიაშვილებში არი კალოსაბძელაი. ადრე იქ პურ ლენავდენ, კალოობა იყო და საბძელში ინახავდენ, იმის ქვეიდან სასათუღაოსთან ახლოს არის ნასახლევი, სადაც სახლები იყო და დეინგრა. ჭყანისში არის ნათეიტკრევი, ბუჩქივით მცენარეა ფიტარი თუ რაცხა ასე ქვია და ამიტომ დევრქვა ნათეიტკრევი. დანდალო იმიტომ დევრქვა, რომ დანდალი ქვია ლაგამსო, აქ რომ ხიდი აშენდა კავიანის, თამარიმ, რომ ააშენა თქვეს, რომ აჭარინწყალ ლაგამი ამოვდევითო და ამიტომ დევრქვა დანდალო. ჭანივრი რომ ვთქვი წაღან, ის ყურძნის ჯიშის სახელსნა უკავშირდებოდეს, საბელაგებიცაა აქ გაღმაში, ძალიან ბელაღი ადგილი ყოფილა, მეგემ იქ მამა სერაფიმეს ქონია სახლი და თურქებ გუდუუნვია,



აღბათ, ასე ამიტომ დიერქვა. მოსიაშვილებში ზეით არის კიდევნა ნასელვები, ბაბუ. იქ სელი ითესებოდა. კალვებია კიდევ, მე ესენი ვიცი.

მთქმელი: ფატყუმე სურგულაძე, 82 წლის,  
სოფ. დანდალო, გამოთხოვილი სოფ. ოტოლაძეებიდან,  
განათლება-საშუალო

„ყისმეთი“

მეგემ ერთად ცხოვრობდენ მეფე და რალიბი კაცი, ღარიბს ყავდა 12 შვილი, მეფეს კი მარტო ერთი გოგო. ეს თურმის მეფემ თქვა, რომე ერთი ჩემი გოგოს ყისმეთს ვარჩევებ ვისმეს და გევგებ, ვისი ყისმეთია ჩემი გოგო. მარჩიელთან მივდა და იმან უთხრა, რომ გვერდზე რომე რალიბი მეზობელი გყავს იმის ბიჭი წეიყვანს შენ გოგოსო. შენი გოგო მისი ყისმეთია და იმითომო. ამ ღროს ისინი აკვნის ბალნები არიან. მეფე შეწუხდა, რომე მაგას მე გოგოს არ მიცემო. რა ქნას ახლა ამ მეფემ, რაით დააშოროს ბალვები ერთმანებს. ახლა მას მუუნდა, რომე რაცხათვერ მოსპოს ეს ბიჭი. ბოლოხან მივდა ამ ღარიბ მეზობელთან და უთხრა რომე შენ ამდენი შვილები გყავს, შენი ერთი ბიჭიშვილი მე მომყიდლო. მეგემ ამ კაცმა ცოტა შეწუხდა და ცოლმა უთხრა: მართლა მაიც ბევრი შვილები გეყავს და მიყვიდოთო. კარგათ გაზღისო მეფეო. ქმარმაც დიეთანხმა ცოლს, აგერ ამ მეფემ მეგემ ამ ბალნის წონა ოქრო მიცა ღარიბ ოჯალს. ეიდა ახლა რომე უკვე ბალანა აართვა, ბალნის მოკლა ჩეიფიქრა. მეფე წეიყვანს ბალანას მოსაკლელაი, პანა იაშიკს დაატყედებს, რომე ეს ბალანა ზღვაშინა გეიქნიოს. ეიდა აგერ ამ იაშიკში რაცხაებს ჩუუგებს, შით ჩადებს ბალანას. წეილებს და ზღვაში გეიქნევს. იგერიმ ზღვაში თურმის მეთევზე თევზაობს. ამ მეთევზეს მოყვება იაშიკი, ნახავს, რომ შით ცოცხალი ბალანა, წეიყვანს სახში და გააზღვევებს მის ცოლს. ეს ბიჭი გეიზღება კაი ახალგაზდა, თურმის ამ ღროს ერთი ქვეყნის მეფემ დაპატიჟა ასეთი ახალგაზდა ბიჭები, რომე სანადიროთ გამომდგარიყვენ. აგერ ეს მეფე შეიტყოტს, რომე ამ მეთევზეს ყოლია კაი ვაჟკაცი, მეფე აართვამს აგერამ ბიჭს და მასთან წეიყვანს თურმე. მეფე რომ იყო, ერთი გოგო რომ ყავდა, იგერ იმ მეფესაც შუეგროვებია ამფერი

კაი ვაჟკაცები და შვეჯობით ერთმანებსო და ვინცხაი გეიმარჯვებს ამ ორი მხარის ვაჟკაცებში იმას მივათხვებ ჩემ გოგოსო. ხალხი შეიკრიბვიან, მეიჭუჭკებიან და ერთმანებს შეებრძოლებიან. ისინი ჭიდაობენ ერთმანეთში. ამ დროს იმ ბიჭმა არ იცოდა, რომ ის მეთევზე მისი მამა არ იყო. ასე გავა ათი-თუთხმეტი დღე და ყველ დღე ეს ბიჭი უგებს ყველას. ბოლოს გადანყვიტა აგერ იმ გოგოს მამამ, რომ ჩემ გოგოს ამას მივათხვებო, თუ ბოლოს ის დარჩება გამარჯვებულიო. თურმე აგერ ეს ბიჭი იმფერი ლამაზი, ყოფილა თვალეხი დაგჩებოდა. მალე მეფემ ქორწილიც დანიშნა. ქალაქიდან მეგემ ხალხი ყავდა დაპაიჭებული უთვალავი, აგერ ე ბიჭი მეფემ მის ოჯახზე მიიყვანა, ჩეისიძია, ერთი დღე ეს ბიჭი ოდიდან გამოდის, მხარზე აქ გადაკიდებული პირსახოცი, ამ ბიჭს თურმის მარცხენა ფხარზე ქონდა ელელეცი. ეს მეფე უყურებდა და გაახსენდა, რომე მან რომ ზღვაში ბალანა გადაავლო, იმ ბალვსაც ქონდა ამფერი. იფიქრა, ნეტაი, მე რომ გადავავლე ი ბალანა ჰომ არ არიო, რა ქნას, დანამდვილებით რით შეიტყოს და მივა ახლა ამ ღარიბ მეზობელთან და კითხავს: მე რომ შენ ბალანა აგართვი, იმა ნიშანი ქონდა თუ არაო? დედამისმა უთხრა, რომ კიო . მარცხენა ფხარზე შავი ელელეცი აქო. მეფემ მიხდა, რომე მე რომ ზღვაში ბალანა გევექნიე, მაიც ჩემი გოგოს ყისმეთი გახტაო. ის ყოფილა ჩემი გოგოს ყისმეთი. ყისმეთიც ესაა, გოგო და ბიჭი თუ ერთი ყისმეთისაა, ისინი მაიც ერთმანების იქმებიანო. ასეა შვილო, წერას აფერი არ ეშველეება, ღმერთი რაცხას დიგინერს, იმას ვერვინ გეექცევა და ვერინ შეცლის. ყისმეთი ეს არის იგივე იყბალი, ბედი, ძველი კაცის ნათქვამია: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი, ამფრათ დეემართა იმ ღარიბ ბიჭსაც.

### **„ჩერჩეფი“ (ჩადრი)**

ზათინ აღრე ქალები ატარებდენ ჩერჩეფს, გზაში ჩერჩეფში შესვევლი ქალი მიდის, ჩერჩეფი თხელი ნაჭერი იყო, იმფერი რომე შიანედან გზას ხედევდი. გარედან კი სახეს ვერ დეინახევდი. არც ხელინა გამოჩენოდენ, არც სახენა დეენახა ვისმეს. მაშინ ქალი იყო ნამეჰრამი. ძველი კაცის ნათქვამია, ინსანი რომ გამიშვლდება, მაშინ აღგება დუნიაზე

რიზლი, ამიტომ, რომ ახლა აღაფერხი არ მოდის. არც მოსავალი. ყველაფერზე იმოქმედა ინსნის შეცვლამ.

### იუზუგი

ძველათ ხალხი თამაშობდა კაკლის ხეჭებოით, კაკალს გატეხავდენ, ვიდა, მემრენ მეიჭუჭკებოდენ კაცები ერთ ოჯახში. დაანყობდენ ამ კაკლის ხეჭებოს, ჩააბრუნებდენ, ერთში ჩადებდენ სიმინდ, ან პურის კაკალ და ვინც რომე ერთი ნახვით ნახევდა, ის მეიგებდა. ვინცხაი, რომე ორ-სამ ხეჭებოს აშუაბრუნებდა და ვერ ნახევდა, ის წაგებული იყო. თამაშობდენ ქათამზე, თაფლიან ქუმაზე (ჩურჩხელაზე). ეს იყო ძველი ხალხის თამაში.

### სამჭედლო

მამაჩემს ქონდა სამჭედლო, ჩვენ მაშინ ღუქანს ვუძახდით. იგერ იმ ღუქანში გაკეთებული თოფი, რომელიც ბაბუს გუუკეთებია, დღესაც ქონიან შენახული. მამაჩემი წაბლს მოჭრიდა, დაანთობდა კოცონს, დეინაკვერჩხლებდა და ნახშირათ ამეილებდა. ღუქანში კერია იყო, ახლა რომე ბუხარ ვუძახით. იმაში ჩაყრიდა ნახშირ, წინწკალ მუუკიდებდა, წინწკალს აბედაით აჩენდა, აბედა სოკოა, ეს აბედა მემრენ გაღვივდებოდა, მემრენ შით ჩააგდებდა კინას, რომელიც კინის მაშებით ეკავა, კინა რომ განითდებოდა, გამეილებდა და დაადებდა ორსზე, ღუქანში ჯირეკზე დასობილი ქონდა დიდი ყურებიანი კინა და იმ მაშებით ეკავა, მეორე კაცი ურტყამდა ჩაქუჩს, ღუქანში აკეთებდენ თოხებს, კინა რომ გაცივდებოდა ისევ აცხელებდენ და ასე გზელდებოდა. მამაჩემი წისქვილის ქვებსაც აკეთებდა. მისი ტრადიცია გააგძელეს ბიძაშვილებმა. მამაჩემი სულ სამი ხელობის უსტა იყო, კინის, ხის და ქვის. ამიტომ ჩვენ ფული გვქონდა და ომიანობი დროს ჩვენ წიფლი ქერეჭის ჭამა არ მოგვწევია. მარა ეფეიჯა წვალეზა მაიც გამევიარეთ. მასხოვს დედაჩემი შავ ხაპს ამოჭრიდა, წვანილს დანაყევდა, შით ჩატენიდა, მარილში დამარილევდა და დაახურევდა ისევ ამონაჭარ ხაპის კანს. მერე იმას რომე გახსნიდა, ისვენ ახალივით იყო. ჩვენ გვქონდა ჯამური, პურის კაკლის სანაყავი ჭურჭელი, ქვა იყო ამოჭრილი, შით ჩაყრიდი პურიკაკალს და ამონაყევდი, მერე იმ ამონაყილი პურიკაკლით ვაკეთებდით ჰერისას.

ჰერისა კეთდებოდა ხახვით, კარაქით და დანაყილ პურიკაკლით. მოხარშულ პურიკაკალ ჩაყვრილით დამწვარ იალში, რომელშიც ხახვი იყო, მემრენ ვინცხას ხახვიანი უნდოდა ისე ჭამდა, ვინცხას არა, ისე ჭამდა. ამას ჩვენ იმფო ახალ წელზე ვჭამდით. იმფერი გემრიელი იყო, რომ იმის გემო ჰამანქი პირში მაქ.

### შაირი

გოგოვ, გოგოვ, შავთვალავ,

ბიჭმა შემოგიოთვალა,

ან მომე ჩემი ფარა,

ან გამომყევი ჩქარა.

ბაბუმ გვასტავლა, როიცხა რომე ძროხები გყავდა თაზე საძვარზე და დანისლევდა ამფერი ლექსინა გვეოქვა:

ნისლო, ნისლო, აიყარე, ცხრა მთას იქით გადიყარე

შენ ქალს ბაღანა ყოლიოა, ერთი ყრუ, ერთი ლალი

ადრე მიხვალ, მოგირჩება, გვიან მიხვალ მოგიკტება.

ძველი კაცის ნათქვამი რჩევები ვიცე ბები:

### ანღაზები

ქალის მორიდება ქალაქის ფასიაო და კაცის მორიდება ქალაბნის ფასიაო.

ბევრი ვოიში ხარ უკულმა დააბრუნებსო.

ნაჩუქარ ცხენ კბილებ არ გუუსინჯავენო.

იყბლიან კაც ქალი მუუკდებაო, უიყბლო კაც კი ცხენიო.

წისქვილმა ფქვას, თვარა ერახუნოს და იყოსო.

მდიდრის ლოგინში დანექ და ღარიბის სუფრაზე გაძეხო.

გელი რომ დაბერდება, ცხვარი ქენას დუუნყებსო.

ახლობელი კოჭმომწვარი, შორებელი თლათ დამწვარი (გოგოს გათხვებაზე იტყვიან

რომე, ახლოს გათხვება იმფო კაია, ვიდრე შორებელზე მიცემაო, რომე, ახლობლისა

ყველაფერი იცი და შორებელისა არაფელი არ იცი).

ძველი ხარის ქა ხნავსო.

თითით მეზოლოლს ვინმე არ მოგიტხრისო.

დანდალოზეც გეტყვი ბებო. დანდალოში მცოცავი მიწებია. ამ პრობლემის გამო ბევრი გადაასახლეს, სოფელს დანდალოც ამიტომ დეერქვა, დანდალებს, ანუ მოძრაობს. აქედან დაარქვეს დანდალოვო.

**მთქმელი: ნუგზარ ჯორთმენაძე, 57 წლის,**

**სოფ. ოტოლაძეები, განათლება -საშუალო**

### **ნაყულევი**

სოფელ ოტოლაძეებში არის ადგილი, რომელსაც ქვია ნაყულევი, ძველათ ყულლეს უძახდენ დიდ სახლს, სოფელში რომ ხალხი განწყვეტილა გამუგზავნიან დიდი გვარის კაცი, ამ ადგილას რომ ხალხი დეესახლებია და სოფელი გეცოცხლებია. ამ სოფელში აშენებული იყო დიდი ყულე, ხალხი წამუყვანია და ამ სოფელში დუესახლებია, სოფელი მალე გამბრავლდა. ქორწილებიც დეინყო, მარა ერთი ადეთი ყოფილა, სოფელში კაცი რომ ცოლს მეიყვანდა, პირველათ იმ დიდი გვარის კაცთანა გეგზავნა და მერე იქნებოდა ამ კაცის ცოლი. ერთ ახალგაზდა ბიჭს დუუნუნებია ეს წესი და უთქმია: მე ცოცხალი თავით ჩემ ცოლს იმ კაცთან არ გავგზავნიო. შუუკრეთია ახალგაზდები და ის სასახლე, ყულლე გუდუუნვია, ის დიდი გვარის კაცი გაქცევლა, მარა დეენიენ და მოკლეს. იმ დიდ კაცს დარჩენია ფეხმძიმე ქალი, მარა ის შებრალეზიან და აღარ მუუკლიან. ამ ამბის მემრე ამ ადგილს ქვია ნაყულევი. დღეს რომ ბალაძეები, კეკელიძეები, თლათ იმ კაცის ჩამოსახლებული გვარების შთამომავლები არიან. მერე ამ გვარების მიხედვინ გაჩდა სოფლები: ბალაძეები, გეგელიძეები. ეს ამბავი, რომ გერჩექი ამბავი იყო, დავამტკიცე იმით, რომ მე აქ გამომანაწილა ბაბამ, ბაბაი იტყოდა, რომ აქ რომ გათხარეს თლათ ქვევრები და ძვლები ამოჩიჩდაოდაო. იმ დრიონდელი იყო ჰელბეთო.

**მთქმელი: ნოდარ ბალაძე, 75 წლის,**

**სოფ. ბალაძეები, განათლება საშუალო**

**ღამურა**

ამ ქვეყანაზე წყალი რომ არ ყოფილა, ჩიტების გროვა წასულა საძებნელათ, ჰოდა უნახიან ერთ ადგილას წყალი. ჩიტებს დაპატიჯებული ყავდენ ყველა ჯულის ჩიტი, მარა ნახეს, რომ არ წაყოლია ღამურა, დუუნყევლიან ჩიტებს, რომ შენ ღმერთმა დღეით არ გაგათრინვა და წყალი სულ გენატრებოდესო. ამიტომ მარტო ღამით დათრინავს, მისი ყვირილი თუ დუუკვირდებით, მწყურიას გავს, ის წყალსაც ვერ სვამს და სულ წყურია წყალი. წყალს რომ დეინახავს, სისხლათ აჩვენდება, ტყვილაი კი არ უთქმია ძველ კაცს, ვინცხაი ბევრი ხალხი რაცხას ამბობს იმისკენნა წეინიო და ბევრს ერთმა არნა გამეერჩიო.

### ნოეს კილობანი

ქვეყანა იქცევა თურმე და უსტიები გაქანებული დიდ გემს აკეთებენ, რომ წყალი რომ წამუა მუასტრანნა, რომ მთავარმა ხალხმანა შით შევდენ და დაჟდონნა. წყალი წავა აღმა, აღმა რომ დუნია თლათ მეიცვასნა და როიცხა გაშრება, მერენა გამოვდენ, ყველაი ცხოველი ამ გემში მუუთავსებიან. ერთი დედაბერია, რომელიც ამ უსტიებს საჭმელს უკეთებს და თან ეხვეწება, რომ არ დამტიოთო, რომ წახვალთ მეც წიმიყვაითო, დეიქვა სოინი ეს ქვეყანაც, თურმე ამ გემში გველიც ყავან და ბოლოხან თლათ წყალი რომ ეივსო, სურიელი აღარაა ამ ქვეყანაზე თურმე. გემი თურმე ერთ ადგილას გამოხრეტილი ყოფილა. ხალხი რომ იყო შით, მეგემ ჩივიან, ახლა რა ვქნათ რომ გამოხრეტილი დაგვჩაო. გველმა მივდა და უთხრა: ნუ გეშინიან, ყველაზე გემიელი ხორცი რაც არი, ის მაჭამეთო და ამ ჭუჭრუტანაში მე გამევედგმებიო. ამ გველმა დიეხვია და შეძრა იმ ჭიჭინაში და წყალი ველარ შევდა გემში. რამდენიმე ხნის მერე წყალმა თურმე დეინყო შრობა, შრა, შრა და სოინი დაშრა. ის დედაბერი უსტიებს რომ საჭმელს უკეთებდა, ის ხომ არ წუყვანიან, შენ მაიც დედაბერი ხარ და ტყვილაი ალაგინა დეიკავოო. ღმერთს შებრალებია, დუუძინებია თურმე ის, რომ კეთილ საქმეს აკეთებდა და რომ უსტიებს აჭმევდა ღმერთ გუდუურჩენია. წყალი მუუვლია, ქვეყანა დაქცეველა, ამას ძინავს თურმე. ამ უსტიებმა, ამ გემით თურმე მუაწინ დედაბერთან, გადმოვდენ ძირში რომ დედაბერი ცოცხალია. დედაბერს გუუკვირდა თურმე და უთქმია: ნენევ, ე რა ამბავია, რამდენი მიძინია. დეინყეს თურმე ცხოვრება იმ ხალხებმა, ვინც გემზე ყავდენ, გუუშვეს ცხოველებიც

თურმე, ამ დროს მოვდა თურმე ი გველი და უთხრა: არ წავალ, სანამ ხორც არ მომცემთო. მერცხალს ესმის თურმე ეს და გაფრინდა და ადამიანს დააჯდა და ბილი ხორცი მოწიკვა, მუუტანა და მიცა გველს თურმე და ისიც წევდა, იმა შემრე მეგემ იმიტომ კბენს ინსანს, გემო გაღებული.

**მოქმელი: ჯანსუღ ჩხუბაძე, 57 წლის,  
ჯალაბაშვილების მკვიდრი, საშუალო განათლება  
ფუტკრის მოვლა**

ფუტკარ დიდი ხანია ვუვლი, ჯერ კიდევ ბალანა ვიყავ ბაბაი რომ ამ საქმეს ემსახურებოდა, წინწინ ამფერი სკები არ იყო, ჯარები გვქონდა, ხის მორს ეიღებდენ, შიან გულ ამოჭრიდენ, ამოაღმავებდენ და თითო ფუტკრის ოჯახს ყრიდენ, მაშინ არც იამკები იყო, იმ ჯარების გადატანა ერთი ადგილიდან მიერებე ძნელი იყო, ფუტკარი ხშირათ გვევსობოდა, ახლა ყველაფერი გაადვილდა და ფუტკარის მოვლაც გაადვილებულია. ახლა გამეიგომეს სკები ფუტკრის ოჯახისთვის, მოჭედავენ ოთკუთხედს ისე, რომ შიან რამკები ჩეენყოს, ძირში აქ პანაი ჭუჭრუტანაი, ჰაიდანაც გამოდის ფუტკარი გარეთ. თავიდან რომ ფუტკრის ოჯახს ჩავყრიოთ სკაში, ღამეში საფრენი ფორტოჩკანა დუუკეტოთ, რომ ახალ ჩაყრილი ოჯახი არ გეიქცეს. ფუტკრის მუშაობისთვის საჭიროა საფუტარაი, აუცილებლათნა დუუფუტოთ, რომ ფუტკრები წეითიშონ და არ გიკბინონ, ბევრი სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ თაფლი მივილოთ, გამოსულში სანამ ყვაფილი გამუა, ჩვენნა ვაჭამოთ შერბეთი, შიგნით უნდა ჩუურიოთ ვიტამინები, რომ ფუტკარი მოძლიერდეს და მერე ბევრი თაფლი მუაგროვოს. შერბეთ ჩავასხამთ ერთჯერად პარკებში და თითო სკას შით თავსახურავის ქვეშ დუუდებთ. ფუტკრები იმას თლათ შეჭამენ. მერე ცოტა რომ დათბება და ყვაფილიც გამუა, აღარ უნდა შერბეთს მიცემა, რომ თაფლი ნატურალური არ გამუა. ერთ სართულზე სკაში თორმეტი რამკა ეტევა, ეს თორმეტი რამკა ერთპირაი არ ჩეინყობა. რამდენიმე დღეში ერთხელ უნდა ჩამატება, თუ ჩავხედავთ და ფუტკარის მუშაობა ძალიან კარგია და რამკაშიც თაფლი არის, მაშინ უნდა დუუმატოთ რამკები. კინალამ დამაფინყდა მეთქვა საფუტარაში რომ ცეცხლი ბევრხან იყოს საჭიროა, რომ შით

ჩავყაროთ დაკეპილი, წვიტათ დაკეპილი კვარი და სიმინდის ხურგალი. დროდადრო დედოებიცნა მოვძებნოთ, თუ ერთი კია, არა, ორი დედოა და თუ არ გვინდა, რომ სკა გავამრავლოთ და მარტო თათლზე ვამუშავოთ, ერთი დედონა მოვკლათ და თუ გვინდა, რომ სკები გავამრავლოთ, მაშინ ერთი დედონა გედევყვანოთ მეორე სკაში და ფუტკრების ნაწილიც გადავაცოლოთ. ასევე ხშირათ ვნახოთნა მამალი ფუტკრებიც, თუ სკას ახლავს მაშინნა დავხოცოთ ყველაი, რომ ისინი არ მუშაობენ, მარტო თათლ ჭამენ. ხილვის დრო სხვადასხვაა, მაღალმთიან სოფლებში უფრო გვიან ხილულობენ, ჩვენთან კი, რავარც კი ჩურუგაი გამუა, მერე უკვე შეილება ხილვა. სკიდან ამუაწყობთ რამკებს, რამკები დაპლომბილია, ამ დაპლომბილ რამკას დანანა მუუსვათ და თხლათნა ავაძროთ, მერე ჩავდებთ სეფერატორში, შით სულ ოთხი რამკა ეტევა, დავატრიალებთ და თათლიც გამეიხდება. ასე ნაუცფათევად ეს გამახსენდა. ფუტკრის ნაკბენი წამალია. მე ხელზე პერჩატკები არასდროს არ გიმიკეთებია, ყველთვინ ვაკბენიებ ხელებზე.

**მთქმელი: ლეილა ბერიძე, ხარაულის მკვიდრი,**

**58 წლის, განათლება - საშუალო**

### **ეპიზოდები საკუთარი ცხოვრებიდან**

მთელი ცხოვრება ყანა-ბახჩაში გავატარე. ბევრი წასულ-მოსული მყავდა, ბევრ თუთუნსაც ვგავდი, ჩემი კაცი წევლოდა დილიდან სამუშაოზე და ყველაფერს მე ვაკეთებდი, თივი ზვინი რომაა, იმასაც მე ვდგამდი, ჩალასაც მე ვჭრიდი და ვკონავდი, ძნელი იყო მოკონვა, ძალა უნდოდა, მარა ცოტა მჭელს დავყრიდი, მერე თელით მოკოჭვა მიადვილდებოდა. ხარებსაც მე ვუძღვებოდი, დადგებოდა დიდვანი გოროხები, დევკავებდი ყაზმას და იმ გოროხებს ვგოხავდი, მერე თოხით ოფიებს ვაკეთებდი, შით სიმინდს ან ლობიას ჩავყრიდი და ისე ვგავდი მთლიან ბაღჩას.

ჩემ ბაღნობას ის მახსოვს, რომ ანას წინდა არ ქონდა რომ ჩეეცვა და ტუფლი, ბევჯერ ფეხშიშველადი გასულა ყანაში და უთოხნია, ის ჩემი თვალეებიდან არ გამომდის, ერთი ჩითის კაბა ქონდა და ერთიც შეფონის. ჩითის კაბას სახში იცვამდა, შეფონის კაბას



სტუმრათ რომ წევდოდა, სოინი ჩითის კაბა დეფერინა და ის დაბნედილი ნაჭერიც არ გადაავლო, ფარდუკაი შეიკერა, სკოლიდან რომ მოვლოდით, საჭმელათ მანონი დაგვხტებოდა ხის ჯამებში, შით ჭადს ჩათუმჩხევდა და გიგვიჰაზირებდა. ჩემი ანაი მუსლიმანი ქალი იყო, არცერთ ზამანს არ გამოტევდა, ყველთვინ ლოცვილობდა, ხელში მუდან ქარვის თესპა ეკავა და თლიდა. მაშინ მე ბალანა ვიყავ, მეგონა ხელიდან იმ თესპას იმიტომ არ დებს, რომ ეშინია ეს ღილი არ მეეპარეს.

სიყვარულით გათხვება იყო მაშინაც. მეც ვუნდოდი ერთ ბიჭს მეზობელი სოფლიდან, მე ძალიან კაპასი გოგო ვიყავ და რამეს ვერ მიბედავდა. ჩემი ამხანაგები მაშაყირებდენ და გავდელდი, ავნიე დიდი სქელი წიგნი და თავში იმხელა ვთხლიშე, რომ ტვინის შერყევა მივალბეიე კინალამ. მერე გარიგებით გევეთხვე. მაშინ ჩემ კაცს ვერც ვიცნობდი. ვილისით მიმიყვანეს სახში. ქორწილი მათ სახში ქონდენ, თან წვიმა იყო, თეთრი კაბა ტალახ-ბათახი გიმიხტა. თავს აღმა არ ვწევდი, დედაბრები თვალეებში მიციციენებდენ, რათვერი გენილი მეიყვანა მერიემამო, მეც სილორით თავი არ იმიწვეია ზეზე. დედამთილმა სახში რომ შიმიყვანა, ჯერ საინი გამატეხია, მერე ბუხრითავზე პურის ცომი მიმატყეპებია, მეიტანა ბრინჯი და ის გამარჩევია, მერე ანია შაქარი და შამაჭამა. ამფერი წესი იყო მაშინ. მე რომ გევეთხვე, ჩვიდმეტი წლის ვიყავ, ათი კლასი დავამთავრე და თან გამათხვეს. კიდევ ბალნის ჭკვა მქონდა, ჩემი მაზლიშვილები ბევრი იყვენ, იმათი შვილები და მე ეშითოლები ვიყავით. მეც მათი ერთაი ვთამაშობდი. მე რა გენილობანა მექნა, ძალიან აშული გოგო ვიყავ, გძელი ნანწავებიც მქონდა, ჩემი მაზლიშვილები მანვალეებდენ, მომდებდენ ნანწავებზე ხელს და ხან კარაოტის ფეხზე მაბამდენ და ხან ჰაცხა სარზე. ვიცინილით და ვიყავით, რამდენჯერ კენჭობილაი მითამაშია ბალნების ერთაი, მაშინ სახლები მუუნყობელი იყო, მე რომ მომიყვანეს პოლი მიწისა იყო, ერთი დღე ამ პოლზე დავხატეთ კლასი და ვითამაშეთ მაზლიშვილების ერთაი. მოვდა დედამთილი ყანიდან ნამუშევარი თუთუნიანი შავი ხელებით, გაალო კარი და ხტომაში დიმიწახა გენილი. დააშპა სკამს და დაქხოცავთ ყველასო. მერე და მერე ჩავხტი ჭკვაში და იმფერი ძალი დავდექე ხეს და ქვას ვასკდებოდი, საქმე არ გიღიმირჩებოდა გასაკეთებელი.

მე იმფერი გენილი ვიყავ, რომ ჩემნაირი გენილი რომ მყავდეს, მონასულ გზას ვაჩვენებ. მე რომ გენილი მევეყვაი, ორმოცი დღე მის სამშობლოში არ გიმიგზანია, არ შეიძლებოდა, მეშინიოდა რამეიდან ბასხუნი არ დამჩენოდა, რომ ემედენ ბასხუნი დარჩეს, მაშინ ბალანა ან სულ არ გუუჩდება ,ან გუუჩინდება, მარა ძალიან გვიან. არც ჰადმე ტირილში გიმიგზანია ორმოცის გასლამდე, რომ კდრიდან არ დიმიბასხუნდეს მეთქი, ყველაზე ძნელი კდარისგან დაბასხუნებაა, ბალანა სულ არ გუუჩდება, ქორწილის დღეს რომ მეორე დედოფალი შეხტეს, დაბასხუნდება და სანამ პერანგში არ ამუუძრება იმ დედოფალს, ბალანა არ გუუჩდება, ან ორივემ ერთმანები საცრებიანა ეიფარონ და ისე დეინახონ, რომ არცეთი დედოფალი არ დაბასხუნდეს. მე ბევრ რამეებს ვაქცევ ყურადღებას, ახალ წელზე სხვადასხვა კაკიებს და ტკიბილ კამპეტებს ვკიდავდი ნაძვიხებზე. ჩემი ნენედან და დედამთილიდან ვიცი, რომ შაქარი და ბრინჯინა უურიოთ ერთმანებში და კერე-კუჩხები მუაზნიოთ. სამი დღე არ შეიძლება წისქვილის დატრიალება, რომ დერდი დატრიალდება ოჯახშიო, ყველა ახალ წელს ახალ ცოცხს ვდებთ, ძველი ცოცხი არ შეიძლება რომ გამევეყნოთ. ჰაცხა სტუმრათ რომ წეხვალ, ახალ წელზე რამის წაღება არ შეიძლება, ბერეექეთი აღარ იქნება სახშიო, მარტო ერთ ჭაჭვ კამპეტს შევეყრიოთ და ყველა ოჯახში, სადაც მივალთ მივიტანთ სიტკბოს. ხაჰსაც ვჭრით, ზოგი ხეთქავს, მარა მე გახეთქვა არ მიყვარს, რომ დაფუნჩხვა კაი არ იქნება - მეთქი.

ქაშაყობის დროს ყანაში არ ვმუშაობთ, არც კინის შეტანა არ შეიძლება შით, რომ მიწა ამ დღეს ისვებებს და თუ თოხს დაარტყამ, მიწას ტკივაო და ამიტომ ისიც შენზე ჭავრს იყრის და მოსავალი არ მუაო, კვირიკობაი არის ჩურუგაის პირველი კვირა, ყველაზე ძლიერი ქაშაყობა, ახალ კვირიკობასაც ვაქცევ ყურადღებას და ძველებურათ კვირიკობასაც.

მე მუსლიმანი ქალი ვარ, ვმარხულობ და ვლოცვილობ, არ მინდა რომ იმდუნის არ მიმიღონ და ავხორთლალდე.

ჩვენ, მუსლიმანებს დიდი დღესასწაული გვაქ: ბაირამი და ყურბან ბაირამი. ბაირამი დღეს ვაკეთებთ ჰალვას, ნამცხვარს და მიგვაქ ჩვენი კდრების მეზოლოლებზე. მე რომ

სამშობლოში ავალ, ჯერ ანა-ბაბას მეზოლოლებს ვნახავ, იქ იასინს ჩეკვითხავ მათი სულისტვინ, მერე ჩამევიარ ყველა მეზოლოლს მევიარ, თითო ჰალვას იმათაც დუეწყობ, დოსტების მეზოლოლებიც ახლოსაა, მეზობლებისაც და ვინმეს მუეველეს არ დავტევ. ყურბან ბაირამზე ვკლავთ შესანიშნავს. ერთ საკლავს რამდენიმე ოჯალი ვკლავთ, კენტი რაოდენობის ოჯახი უნდა იყოს ერთ საკლავზე. მერე გევანაწილებთ ყველაი თანაბრათ. მიეტანთ ოჯახი, იქაც გავანაწილებთ ჩვენ წილ ხორცს და დუურიგებთ იმფერ ოჯახებს, ვინც საკლავს არ კლავს. აქაც კენტი ოჯალინა ავარჩიოთ. წესია ამფერი, ამ წესში ჰილეს შეტანა არ იქს.

მარხვითაც ვმარხულობ, მარხვა ერთთვიანია, თელი დღე პირში რამეს ვერ წეიკარებ, დილას კარგათ იასლოლს ვჭამთ, ასე გამთენიას სამ საათზე და პირს ვიხსნით საღამოს ცხრა საათზე. ვაკეთებთ იფთარს, პირი გახსნიხან ვიტყვით სიტყვებს, ღმერთო ჩემი ნამარხი ყაბული გიმიხადეო და ვსვამთ წყალს. პირველაი რომ წყალი არ დალიო თელი დღის ნამარხი წყალში ჩეგეყრება ინსანს.

ზამთარი წინწინ დიდი იცოდა. თოვლი სახლეფ ფარავდა. ჩვენ წინასწარ ვემზადებოდით ზამთრისთვის. მეგმარაგებდით შიშას, კვარს, თივას, ჩალას, პროდუქტს და მომზადებული ვხტებოდით. ხანდებან ადრეც იცოდა მოთოვება, შიშის მოტანას და გახმობას ვერ ვასტრობდით, ნედლ შიშას მევტანდით და ვწვალობდით მერე თელი ზამთარი. ზომპორო შიშით განვალეებული ვიყავით. ერთი კუტი ლამბაი გვქონდა, ხანდებან ნავთიც არ იყო, რომ ლამბაში ჩეგვესხა, ბუხარში დიდ ჯირეკს ჩავაგდებდით და იმის სინათლეზე ვკითხულობდით და ისე ვსტავლობდით. თვალეხი გამოჭიტალული გვქონდა, ღამე გარეთ რომ გავდიოდით დიდ ფაკლას ავანთობდით.

ფათრობის არ მჯერავს ბებო, იტყვიან ფათერმა ვინცხას ყისმეთი დუეკოჭაო, მარა მე დიდათ არ მჯერავს, ღმერთი ხომ არაა, რომ ბედი დუეკოჭოს.

გამოსული რომ მოვდოდა ამ წვიტ ბაღნებ აკავნში ჩავაკრავდით, მაშინ ხარატულის აკვანები იყო და დავტევდით ღმერთის იმედზე. ჩვენ წევდოდით ყანაში. ყანას მოხნამდე დაკალიბება უნდოდა, ვფოცხავდით, ვჩორჩხავდით. ჭყანიში პირველაი

კარტოფილ ვგავდით. დარგვი დროს თვარეს ვუყურებდით, ჰიმკენ იყო, აღმა თუ თავდაღმა. კარტოფილის დარგვიხან თვარე თავდაღმანა ყოფილიყო რომ ბლომათ მიესხა, თუ ლობიას და სიმინდ ვგავდით, მაშინ აღმანა ყოფილოფო თვარე. თუ არ გვეცალა და თვარის გამოცლას ბევრი დრო არ ეკლო, მაშინ კანუხს ვიღებდით. კანუხი რაა და მაგალითად, მე ვგავ კარტოფილ, თვარის აღმა წასლას ერთი დღე უკლია, მე დრო არ მაქ, რომ დღეს დავგო, ამიტომ ავწვევდი სამ-ოთხ კარტოფილ და იმ თავდაღმა თვარეში ჩავავდებდი, მერე გინდა ერთი კვირა გასულიყო, ი კანული რომ გაღებულია, როიოცხა გინდა, მაშინ დათესავ. საჭმელები აბა არ ვიცი, მარა ძველებური საჭმელები სხვანაირი იყო, ახლა ათასხანში ერთხელ თუ გავაკეთებთ, ისიც ბებიები. მე ახალობაში არჩი ვიყავ, ტირილებში და ქორწილებში ვაკეთებდი საჭმელს. ახლებურ საჭმელებს გენილი აკეთებს, მე არ ვიცი. ჩემ დროს ესენი კეთდებოდა:

### **ძველებური კერძები**

ბაქლაგას ასე ვაკეთებდით: ორ ცალ კვერცხს წყალში გავრეკვევდით, მერე ფქვლის ჩავაყრიდით და მოვზელდით, გავყოფდით, მერე გავბიშვებდით იოხე ჯოხით, მუაყრიდით დაჭილ ნიგოზ, მუასხამდით გამდნარ კარაქს, ყველა ფენას რომ დავამთავრებთ მერე დავჭრიდით და გამუაცხოვდით.

აჩმა ხაჭაპური ახლაც იციან ახალმა ქალებმა, მოვხარშევდით ცომს, გამუხდელ ყველს მუაყრიდით, ასევე ვიმეორებდით ფენა-ფენა და ვაცხოვდით, კარაქის მოსხმაც უნდა ზეიდან.

საცივი არის ახალი წლის აუცილებელი საჭმელი, ახლაც აკეთებს ყველაი, გატარებული ნიგოზი და ძალიან ცოტა ფაფანა უურიოთ, მერე მოხარშული შინავრი დედლის წვენშინა გავხსნათ, შევასურნელოთ და მოხარშული ქათმი ხორცინა ჩავყაროთ.

ტექსი - ეს ნამცხვარი ზოვლი უყვარან ბაღნებს, მაწონში, პური სოდაში, შაქარში მოვგილოთნა, ცომი უნდა იყოს თხელი, იმფერინა იყოს, რომ ჯარონაზე დავასხათ.

ჰალვა - მოვხალავთ ჭადის ფევილს დამწვარ იალში, მერე ჩავაყრით შაქარს, შევზილავთ, მერე ჩავაგდებთ კარაქს, რომ ფევილი შეიკრას, მერე სუფრის კოვზით მივცემთ ფორმას, ამ ჰალვას ვზიდავთ მეზოლოლებზე ბაირამი დღეს.

ჰასუთა - ჰალვასავით მოვხალავთ, მერე ჩავაყრით შაქარს და დავასხამთ ადუღებულ წყალს, ოღონდ ვურიოთნა, რომ არ მიეკურკუბოს, მერე დავწვავთ შაქარს და შუურევთ ფერის მისაცემათ.

ხავინი - გავადნობთ ყაიმაღს, ჩავაყრით ჭადი ფევილ. კარგათ მოვხალავთ ამასაც, დავასხამთ წყალს, მერე მარილ ვუზამთ გემოვნებით, ცოტას ვადუღებთ, რომ ფევილი მოშუშდეს, თან ის ყაიმაღი ზეიდან წეხეთქავს ცხიმს.

დოხავინა კეტდება ხავინისავენ, ოღონდ ყაიმაღის მაგივრათ უნდა დო, დანარჩენი ჩვეულებრივათ კეთდება, რაფერც ხავინაი.

ხაპიშორვაი - ამის გაკეთებისთვის შავი ხაპი გვჭირდება. მოვხარშავთ, გამოვგულავთ, მერე ამ მოხარშულ ხაპ ვავსნით ძეში, თხელი წვენიან იყოს, ჩავაყრით გემოვნებით შაქარ და მარილ, ჭამის დროს გინდა პურ ჩათუნჩხავ, გინდა ჭად.

ფხალობიაი - ეს საჭმელი დღესაც ყველას უყვარს. ცალკენა მოვხარშოთ ფხალი, ცალკე ლობიაი, მერე გუდუურევთ ერთმანებში. დავნაყავთ ნიგოზ, ნიორ, ქინძ, პირპილას და შუურევთ ფხალში და ლობიაში. მარილ გემოვნებით დავაყრით და მოვგვრით გემოს.

ერიშტა - დავჭრათ სობაზე გამომცხვარი ბიში წვრილათ ჰავანზე, მერე დავასხათ ცივი ზურბიეთი, ძალიან გემრიელია მანონთან ერთაი.

სინორაი - ეს საჭმელიც გამომცხვარი ბიშით კეთდება, ოღონდ ამას ჰავანზე არ ვჭრით, ეს დავჭრათნა დიდებათ დანით, მუადუღებთ დონწყალს, დავასხამთ ბიშზე, მერე მუასხამთ დამწვარ იალს.

სარმა - ახლა ამ საჭმელს ტოლმას უძახიან. მოვხარშოთნა შავი ფხალი, გავაცვივოთ, მერე ზეთში მოვთუშოთნა ხახვი, წვანილი, სურნელი, ნიორი, მარილი, პირპილაი და რაც მთავარია ბრინჯი. ყველამფერი ავრიოთ ერთმანებში, მერე ეს მასა ფხალშინა შავახვიოთ.

სუთლი - მოხარშოთნა ბრინჯი ცოტა წყალში, ნახევრად მოხარშულ ბრინჯს დავასხათნა ძე, ვადულოთნა და მერე პანაი მარილი და შაქარინა დავაყაროთ.

ბორეგი - ამას ყეთმირიც ქვია მიერენაირათ და ბურმასაც უძახიან, ნენეი გაბიშავდა თხლათ ბაქლავის ცომს და მერე გატარებულ კაკალ და საქარ მუაყრიდა, მერე დაახვევდა და ისე გამუაცხობდა, რომ გამოცხვებოდა, მერე მუასხამდა შერბეთს, გემოსთვინ და სიტკბოსთვინ.

ძიფიანი - ამ საჭმელით ბალნებს ვზიდით, ძეში გავხსნით პური ფქვილ, დავაყრიდით ცოტა მარილ და ვაჭმევდით. ამით არიან დაზდილები ჩვენი ბალნები. ახლა რაცხა ხიმირ საჭმელებს აძლევენ და ვითომ კაია.

კორკოტი ახლაც ძვირფასი საჭმელია, ჩვენთან ამას მევლუდზე აუცილებლათ ვაკეთებთ, ახალ წელსაც კაია მისი ვაკეთება, ბარაქიანი საჭმელია და ვითომ კაიაო. ჯერ გაარჩევენ პური კაკალ, მერე დანაავენ თუჯაში, დაადგამენ და წყალში ხარშავენ, ნახევრად მოხარშულ დაასხმენ ძეს და ისე ხარშავენ, მერე რომ მეიხარშება, დანვავენ კარაქ, მოთუშავენ ხახვ და მუასხამენ მოხარშულ პური კაკალ.

ბორანი ჩვენთან სხვანაირათ კეთდება და ხულოსკენ სხვანაირათ. ჩვენთან ცხელ წყალში დავალბობთ ჩლეჩილა ყველს და მერე მუასხამთ დამწვარ იალს, ხულოში კი ყველს ხარშვენ და იმა ასხმენ დამწვარ კარაქ, არის კატოფილი ბორანიც, ყველში ურევენ მოხარშულ კარტოფილ და მუასხამენ .

პური ფაფა - ამ საჭმელს აკეთებენ ვისაც ბალანა ეყოლება, გააკეთებენ და მეზობლებს და ახლო ნათესავებ აჭმევენ. ადულებულ წყალშინა ჩავყაროთ პური ფქვილი და თანნა ვურიოთ, რომ არ მეიკურკუშოს. კაი სისქეს რომ დეიჭერს, მერე მოშუშვებამდე ვადულოთნა, რომ მოშუშდება დავასხამთ საინებზე. მერე შუაში ამოვჭრით თითო კოვზ ფაფას და მის ადგილას ჩავასხამთ დამწვარ იალს.

ყაისაფა, ლეჩერი, ბეთმეზი ესენიც ზოვლი საჭმელები იყო, თუ ვინმე იმფერი სტუმარი მოვლოდა, იმათ ვუდგამდით.

მთქმელი: დურსუნ გოგიაშვილი, გოგიაშვილების მკვიდრი,  
განათლება - საშუალო, 78 წლის

შაირები:

მალლა სერზე გედევხედე ,  
გადავდენე ხარები,  
აბლა ხანუმ ციცაი მომე ,  
შვიდ დღე მოგეხმარები .

ერთი ტაფა ხავინი,  
ჰიმკენ გევქცე არ ვიცი,  
ბაბაი არ მაქორწილებს,  
სახლი დავწვა არ ვიცი.

ღელე-ღელე ჩევიარე ,  
ემეკიდა ხოზიკაი,  
მე იმფერი ბიჭი მინდა,  
ხელში ქონდეს მოზიკაი.

დედამთილო იო,  
რას მიჯავდებიო,  
შენი შვილი თავქაჩალაი,  
მე სხვას წავყებიო.

ღელე-ღელეს ეხეთქება ,  
კილდე-კილდეს ეწყვეტება,  
ათი შეყვარებული მყავს,  
მეთერთმეტე მეხვეწება.

ნისქვილ ფქვილი დუუყარე,  
სარეკელაი ქოქდებოდა,  
ერთი ფაციაი შიმყვარდა,  
არ მეკოცნა მოკტებოდა.

შემესია ხოზიკაი,  
ემიავ დუუკარ მოზიკაი,  
წყალში მუა თეტრი ბატი ,  
წევყვანონა შენი პრატი.

ტყეში ხარები გავდენე,  
რქიებ გამოგრეხილი,  
შენი თავი ვის რათ უნდა,  
ჭლიკებ გამოგრეხილი.

გალმა გორას გედევხედე,  
ალუბალი ყვაოდა,  
გოგო ბიჭსა ეხვეოდა,

აბლამ უთხრა ემიას,  
ჰაიდე წევცეთ ნენიას,  
ერთი კვირა ჩემთან დანექ,

მამამისი ბლაოდა.

გამოგიწერ პრემიას.

დედამთილი ოდაში,  
აღარ არი მოდაში,  
გავაცვიე მიტკალში,  
ზაპ და მივეც მიწაში.

შაირები ბევრი ვიცი,  
ბევრიც მომიგონია,  
შენი აყლაყუდაი თავი,  
დიდი რამე გგონია.

მაღლა სერზე წამომდგარა  
თვაუუუუნა თეთრი ქალი,  
ხელსაც მიქნევს,აქ ამოდი,  
არ მინდოდა გონჯი ქმარი.

დავჯექ და ლექსი დაუნერე,  
ჩიტ გავატანე ხებრათა  
აგი წუელე, სიდედრ მიე,  
ველარ ვესტუმრე ჩქარათა.

ახორი კარი გავაღე,  
შიგ დავთესე ხობიკაი ,  
ჩემო ძიავ მე მოვალ,  
მომავებე მუზიკაი.

ღელე-ღელე ჩევიარე,  
ვერ ავამსე გუგუმი,  
დედამთილი ავად არი,  
არ მაჭამა ვახშამი.

ბახჩაში მაქ ლობიაი  
იმა უნდა ხაშარი  
დედამთილი გიმბლემბდა  
არ მაჭამა ვახშამი

იქეთ გეიხედე გვერდია  
აქეთ გეიხედე - თავდაღმართი  
ეზოს კაცი მუუხტება  
სახს მუუხტება ქალიო

ჯამეს უკან მინარეო  
ფაციაი ვნახე მძინარეო,  
ერთი ვუკბინე, ერთი ვაკოცე,  
შინ გავაგზაი ტირალეო.



ქედის უკან გედევიარე,  
გატეხილი ცულითვინ,  
ფაციავე ერთი ჩემეხვიე,  
მამაშენი სულითვინ.

ხეზე გეველ, ბიაზ,ე  
ჩემეხვიე ყიაზე,  
ჯიბეში მაქ საათი,  
შენთან მქონდა რაათი.

ჯიბეში მაქ ხასი კვარი,  
ახლა გაუხტი გასათხვარი,  
ჯიბეში მაქ ბილევი,  
შენთვინ ვინვი ვილევი.

იგერ გაღმა თეთრი ქვა,  
ჩამოველ აქ, ჩამომყვა,  
შენმა სევდამ, სიყვარულმა,  
სადაც წვევლ იქ წამყვა.  
მე აქავრი არ გეგონოთ,  
გაღმავლი ვარ, ცინცაძე,  
გოგოს ისე ვაკოცებ,  
ფეხს არ დავდგამ მინაზე.

თითი მტკივა, შიმისვიეთ,

ვერ ვიქნები უთითოთ,  
ჩემი ბიჭი მეზნევა,  
ვერ წიგიყვან უმზითვოდ.

სტუმარი მოსლას რომ მიხტება ნეტაი წასლასაც მიხტებოდესო

### **ჯენნეთის საჭმელი**

ერთ კაც მეგემ სტუმარი მუუვდა, მაინძელმა ხაპიშორვაი მუუტანა და აჭამა, სტუმარს ძალიან შიოდა და თქვა: ხაპიშორვაი ჯენნეთის საჭმელიაო. მასპინძელმა ყველა მოსლაზე ამ სტუმარს ხაპიშორვაი დუუდგა, თუ ჯენნეთის საჭმელია, ჭამოსო. სტუმარს მოწყინდა ყველთვინ ხაპიშორვაი და მასპინძელს უთხრა: მე უბრალო კაცი ვარ და ჩემთვინ ხაპიშორვაი ბრაღიაო, მე ერთი სკინტლიანი ქათამიც მეყოფაო.

### **სიძე და სიმამრი**

სიძეი მისულა სიმამთან. ვახშამი რომ დუუდგმიან, შორვა ძალვან ცხელი ყოფილა, ჯერ სიმამმა ამეილო, პირი მეინვა, მარა არ შეიმჩნია. სიძემაც მეინვა პირი, სიმამს რომ არ შეემჩნია, თავანში შუუხედნია, რას უყურეთ?-კითხა სიმამმა, სიძემ უპასუხა ე თავანი რამდენათ გააკეტებო, რამდენათ და სამ შებერვაიო, უთხრა სიმამმა და თან შორვაი გააცია.

### **ნადირობა**

ორი არხატაში წევდენ სანადოროთ. ერთი გამოქვაბულში შეძრა, მეორე გარეთ დეიმალა. მერე გელმა დეინახა და თქვა: ლეკვები არ დიმიხოცონო და წევდა გამოქვაბულისკენ, გარეთ რომე არხატაში იყო, იმან კუდზე დეენიკა, გელი მაიც ბულნის მიწას და წინ მიიწევს, დადგა ბული, შიან ვინც იყო, თქვა, ე რა ბული დგასო, გარედან არხატაშმა დუუძახა, ერთი კუდი ხელში არ მეკავოს და ბული მერე ნახეო.

## ღმერთი მოატყვილა

ერთი კაცი მეგემ ევდა ხეზე და ველარ ჩამოვდა. ღმერთ შეეხვეწა ჩამომიყვამ და ყურბანს დიგიკლავო, რომ რაცხათვერ ჩამოსულა, ღმერთისთვინ უთქმია, ხომ მოგატყვილეო.

## კაცი და შეითანი

ერთი კაცი და ერთი შეითანი არხატაშები გახდენ. ერთი ზიარეთი ყანა ქონდენ და პურიკაკალი დათესეს. კაცმა კითხა, შენ ყანის ზედაი გინდა თუ ქვედაიო? ქვედაიო - უთხრა შეითანმა. მოსავალი რომ ეიღეს, შეითანს მარტო თესვები შერჩა. მიერე წელს კიდევ დათესეს მარა ახლა ყართოფაი. ახლა შეითანმა ზედაი ეირჩია და მოსავალი ისევ კაც დარჩა. შეითანმა თქვა: ე ინსანი თუ გაჩენილი გყავდა, მე რალას მაჩენდიო.

## ქარმა გაამულაუნა

ერთ ბიჭს მეგემ გოგო შუყყარდა. ი გოგო მემრენ სხვას მიათხვა მამამისმა. გადელდა ის ბიჭი და იმ გოგოს ქმარის მოკლა დააპირა. გეყყანა ტყეში. გოგოს ქმარმა უთხრა, არ მომკლა თვარა ქარი გაგყიდისო. ქარმა რაფერნა გამყიდოსო და გოგოს ქმარი მაიც მოკლა. მერე მივდა და ი გოგო მან წეყყანა ცოლათ. გევდა დრო. მეგემ ე ცოლ-ქმარი ყანას თხეკენ. მოსვენება მუუნდა კაცს. მივდა და ერთი ხის ძირში წამუეგორდა. იმთერი გემრიელი ქარი მეიქროლა, რომე გააგრილა ღუნია. მერე კაც გეეცინა. ქალმა ჩააცივდა, რატომ იყინიო. ქალი მაიც შეითანია და ბოლოს ათქმევი. შენი პირველი ქმარი მე მოვკალ, სიკდილიხან მითხრა, რომე არ მომკლა, თვარა ქარი გაგყიდისო. ქარმა რაფერნა გამყიდოს, მაგაზე გემეცინა. ადგა ქალმა, მივდა პოლინციაში და უჩივლა მის მიერე კაცს. დააპატიმრეს მისი მიერე კაცი. ასეა ბაბუ, რაც არ უნდა ცუდი საქმე გააკეთო, და რაც არ უნდა მალო, ი ჰაცხაიდან მაიც გამულაუნდება.

მთქმელი: აიშე ბერიძე, 82 წლის, სოფ. გოგიაშვილები,

განათლება საბაზო

## სიზმრების ახსნა

- თუ სიზმარში ნახე აბანო და შით შეი, მაშინ ღარდი და უბედურება მოხტება;
- თუ სიზმარში აღმა წახვალ კაის ნიშანია, კაზიონის სახში დანინავდები.
- თუ ავათ შენ იქნები, მაშინ კაია და თუ შენი ახლობელი იქნება ავათ, მაშინ ცუდია.
- ბაყაყის მოკლა ცუდი ავიდრის ნიშანია.
- თუ გველი ნახო ცუდია, ავი სული ბევრი გყავს, თუ ამ გველებ კლავ სიზმარში, მაშინ კარგია. ავისულებ ამარცხებ.
- გველმა თუ გიკბინა, მაშინ მტერი მალე მოგერევა.
- გამხმარი ხე რომ ნახო, დიდი ავადყოფობის და სიკდილის ნიშანია.
- აღელვებული ზღვა რომ ნახო, შენს აღელდები და აშფოთდები რაცხაზე.
- თევზის ნახვა ცუდი ენაა.
- თუ კბილი მოქშა ახლობელი მოგიკტება.
- თუ ვინმე მოხუც ნახავ კტარს, მაშინ შენ დიდხან იცოცხლებ.
- თუ ეზოში ბევ საქონელ ნახავ, უცხო სტუმრები გესტუმრებიან.
- ვინმემ რომ ეზო დიგიგავოს, სიხარულის ნიშანია.
- თუ სახლი იწვის, ან დამწვარი ვინცხაი ნახო, ოჯახის უმფოსი მოკდება.
- თუ ჰაცხან მიხვალ და გზიდან მობრუნდები, დიდ ხიფათს გადარჩები.
- თუ ჩიტის ბუდე ნახო, გამბრავლების ნიშანია, ბალვი გაჩდება სახში.
- თუ თოფის ხმას გეიგონება, ახალ ამბავს გეიგებ.
- თუ ხე წვიქცევა, ესეიგი ოჯახის უფროსი მოკდება.
- ხეს თუ ფოთოლი ცვივა სიზმარში, ესეიგი ჩხუბის ნიშანია, ვინცხას წეჩხუბები.

მთქმელი: ქაზიმ ბერიძე, მოსიაშვილების მკვიდრი,

86 წლის, განათლება - საშუალო

ეპიზოდები საკუთარი ცხოვრებიდან

ოთარაი და ფელულაი ძმები იყვენ, ფელულას ბადიში რაინდის ქირვია, ომარაი. ყველაი ბათუმ ცხოვრობენ, სახლი დეენვენ და მერე წეიბარგენ. შენი მამამთილი ჰა მუშაობს ფაციავ. შენი მამათილი რვა ძმა იყვენ, და არ ყავდენ. სატყეოში რომ მუშაობდა ის გამოაკლდენ, მაი მევლუდ ემიი და გულიზა ბიბი კვიდრი ბიბიშვილ-ტაიაშვილები იყვენ, ჩვენ გვენეთესავებიან, მარტო შენი მამათილი კი არა, მამაშენიც. აქიფა ტაიაი და ბაბაჩემი ბიბიშვილები არიან. მაგინი ცხმორისიდა არიან ამოსული, შენ დიდ დედესაც ვიცნობდი, ისმალილა დედეს. კილამ ოთხმოცდაათი წელი მუუკაკუნე. მახსოვს დღევანდულა, ყემზემ ფაშამ გამოვდა და თქვა აქიფას ბიჭი ეყოლაო და თოფანაი დაარქვა. მაშენ ორმოცდაორი წლები იყო. გაგანია ომი დრო. მშიერი ვკტებოდით. ჭადი ჰად იყო, ჰა ნახევდი, ნაღვარევიდან ყართუფას ზიდევდა ბაბაი ზრუგით და იმა ვჭამდით. სოფელში წყალი არ იყო და რამე რომ მოსავალი მეგვეყვანა, რაცხათერ სული გვეტაით. ფხალს რომ გააკეთებდა ნენეი, მარაგი ფქვილი არ იყო, რომ ამეეკრა. თანდათან შამოვდა აზოტი, წყალიც მევეყვანევით და მოიდა სიმინდი, ექესი დედმამიშვილი ვიყაით, ოთხი და და ორი ძმა.

აქედან ბალაძიებში ფეხშიშველაი დავდიოდით, ბაბამ ქალამანი შიმიკერა, მერე გაცდა და ჰაბრიშკების კამერები ამომიკრა, შოფერი იოსკაი იარებოდა მაშინ ჩემ ბახჩი ბოლოს და იმა ვართმევდით. ეი კიდი ჰაი, შვილო. ახლა ფუფუნებაში ხართ. ახლა რა გინდებიან, ექესი ბალვი ყავდა ანას. იმა ჭამა უნდა, სმა უნდა ბაბაი გასული მუშაობდა უსტათ და იმით ვჭამდით. კარტოფილ ნაღვარევიდან ზიდევდა. ნაღვარევიდან ზრუგით ყართუფაი ჩამეიტანება, ტეხნიკა არ იყო. ვისაც ცხენი ყავდა კაი იყო, მარა ვისაც არა, ზრუგი იყო ტეხნიკა. სკოლა საშვალლო დავამთავრე. თუთუნზე ჭვანაში აღიოდენ, მარა იჭირავდენ. არ გამოგატანდენ. მახსოვს ბაბას ერთი ჰალტო ქონდა. გამოხსნიდა სარჩულ, შით თუთუნ ჩაანყობდა, მერე მოკერევედა და ისი ჩამოქონდა. ერთი ქობულეთელიც ამოდოდდა. ის გააჩერეს და დეეჭირესნა. ამეილო ლივერი და მილიციებს უთხრა: რა ვქნა სახში თორმეტი სული ვართ, რაით გავაძლო ქულფეთიო და მეგემ გუუშვიან ი კაცი. წვალობით გაზდილები ვართ, სარეცხი მანქანა ის იყო ჰაცხა წყალი გვენახა, დაბლა ღელეში ჰანაი წყარო

მოწინაველებდა, ჯარა ქვეყონდა დადგმული და სასმელაი იმა ვიყენებდით. სარეცხისთვინ ღელეს ვხმარობდით.

ბაბუ ახალი სახლი დიგინციან ხეირი უღულორსუნ.

ამ სოფელ გორგივლი ქვია, რუსების დროს ერთ რუს აქავრი ციცაი შეყვარებია. ჩვენებს და რუსებ შორის ჩხუბი მომხტარა. ამ ჩხუბში გოგო მიეკლა. იმ გოგოს გიული ერქვა. სოფლითავს მაშინ უთქმია, ამ გორას გიულის გორა უნდა დეერქვასო, გორა გიულისო და დეერქვა გორგიული.

ნაომარიც გვაქ, იმ ადგილებში ერთი ნადში ვეხმარებოდი და გათხრიხან ამოჩიდა ჭურები, ხალხის ძვლები. ჰელბეთ იქ იყვენ ხალხი და ომში განყდენ. დანდალო ხიდზე ჭიჭიკოს ყანაშიც გავთხარეთ და იქაც ამჩოჩდა ძვლები, ამისისხო ძველი იყო, ეტყობოდენ რომ ჯამთელი ხალხი იყვენ. დიდვანი ყბები, ჩასიმსული კბილები. მოსიაშვილები იმიტომ ქვია, რომ ერთი მოსეი ცხოვრობდა, იმის შთამომავლებს მოსეს შვილებს უძახდენ და დეერქვა მოსიაშვილები. აქ ზეით ვანია სერიც გვაქ. იქ მეგემ ერთი რუსი კაცი ცხოვრობდა. ვანიაი ერქვა, ძალიან კაი კაცი ყოფილა, სოფლელებს ეხმარებოდა და იმ სერ ახლა ვანია სერი ქვია. დაბლა ტრასი ზეით ნამანევიც ქვია ადგილს, მარა რატომ ვერ გეტყვი ბაბუ. ჭყანიში რატომ ქვია არ ვიცი. რაცხა უთქმიან ჭანები იყვენ ერთ დროსო, ეს სახელი რაცხა ჭანურია. ბატოყანაც არის, ბატონ ყმობის დროინდელი სახელია ბაბუ. მალლა ტყისკენ დედაბრინასაცავი ქვია ადგილს. შემოსევები რომ იყო, ქალებს იქ მალავდენ და დეერქვა დედაბრინასაცავი. სავარდიაც გვაქ. ერთი დიდი ქვაა, იქ ერთი ძირი ვარდი ხარობდა, ვინმეს არ დუურგვია, მისით ამოსულა და ზამთარ - ზაფხულ არ მოკტებოდა, ყველთვინ ყვაოდა. დაარქვეს სავარდიაი. მოსიძნიები ტაკიძიებიდან არიან ჩამოსულები. ერთმა პარტიამ დარჩა ტაკიძიებში და ერთმა აქ ჩამოვდენ, აქ რომელცხაი ჩამოვდენ იაოლლები დეერქვენ. ია დაგვტევენ იქ და ია არაო და ამიტომ.

ნასელვარიც არი, სელს თესევდენ და დეერქვა ნასელვარი. აქ სამი გვარის ბერიძნიები ვართ, აბდულოლლები, ასლანიშვილები და არიფალიშვილები. ეს სხვადასხვა გვარები რომ არიან, ადგილობრივები არიან. ჩხუბაძნიები რომ არიან ჯალაბაშვილებში, ისინი

ჩვენი ბიძაშვილები არიან. მეგემ აქ უჩხუბიან და იქ გასულან, ამიტომ დევრქვენ ჩხუბოლლები, ჩხუბაძნიები. ბაისამი რაცხა გადამხტა, მარა არ მახსოვს.

თურქეთშიც იყო გადასლები. გაჭირვება იყო და თურქეთში ვიპარებოდით. იქედან ჩამოქონდენ ტანსაცმელი, დიგინახავდენ დიგიჭირავდენ. ბაბამ კასტუმი მინდაო და ჩევდა ჩამეეტანანა, ჩამეიტანა და ცხმორისი ხიდზე მაიც დეიჭირეს. ციხე ქუთაისში მეიხადა. რამდენი მწვალობა აქ ბაბას გადატანილი. აქედანაც მიქონდენ თურქეთში თუთუნი და რაცხა. ბაბამ გაღმეიპარა მერისიდან, მაშინ დიდი თოვლი იყო. დაყვინტული იყო ქვეყანა. თხილამურები და წინდები გეიძრო და ფეხით ჩამოვდა აქ. იმფერი მწვალობა იყო, ახლა დაუდებიან მაშინებში და ზრიპ იქით და ზრიპ აქეთ. ახლა რიგში დგომაც ეზარებიან ტამოუნაიაზე. ბაბამ მისი ქალის ბოხჩა-ნიშანი იქიდან ჩამეიტანა.

უნინ თხვება-გათხვება დანახვით არ იყო. მაგალითად, მერაბას ყავს კაი გოგო. მოვლოდენ დეინიშნავდენ მშობლები და მერე მუყყვანდენ დუუნახველი. ხულუს ემიაი იყო ერთი, ყავდა სამი გოგო. ერთი იყო მეხფულა ბიბი. ერთი ხოჯიოლლი იყო და იმას მიენონა მისი ბიჭისთვინ მეხფულა ბიბი, მერე ბაბამ უთხრაოლ აით ერთი დლე და მიმეიარეთ. შაამონმეთ ოჯახიც და სასიძოც. ევდა ხულუს ემიაი და სახლი-კარი მიენონა, მერე სიძეც დამანახვეთო და მეგემ არ შუეცვალეს? აწიეს და მეზობლი ბიჭი დაანახვეს სიძის მეგიერაი, ჩამოვდა ხულუს ემიაი და თქვა, რომ კაი სახლი-კარი, კაი ბიჭი, იმისთანა ბიჭია, რომ ამფერი სიძე არ იქნება ყურწოლლებშიო და ამაზე კაი ყისმეთ ვერ ვუნახავთ მეხფულასო. ეიყვანეს მეხფულეი და სხვა ბიჭს გაატანეს. შუეხედავი, ინვალიდიც იყო, სამი ბიჭი გუეჩინა იმ ინვალიდს. რალა ექნა, ოჯახს ხომ ვერ დაანგრევდა და კი დარჩა იმ ინვალიდს. ახლა ზოვლია. დეინახავ, მეგენონება წაყვები, არ მეგენონებალ გზას უკან უჩვენებ. მე დანახილი მყავდა ჩემი ქალი, მარა ყისმეთი ბოლომდე არ დიმიჩა, სახლის მონყობიხან მეხმარებოდა, მარენდიებდა, მარტო ვერ გავრენდავდი, მარტო ვერ გავხერხავდი და ყოლფერში მეხმარებოდა. ჰამან დავადექით ცხოვრების გზას და მან ჭვარტლა და გემექცა, ის ღუნია ამჯობინა. არ მიკადრა, წევდა, იქ სახლინა დამახვედროს ჰალიბელი, მე რომ ჩავალ მონყობილინა დამახვედროს.

გვანცა ლელას ამბავი მე არ ვიცი, ერთი ნათქვამი მახსოვს მარტო, ვითამ გვანცაზე არის ჩამოკიდებული ჯაჭვი, საფეხურებიანი, იმ ჯაჭვზე ვინცხაი ევლოდა, მეორე კუთხეზე გედევლოდა. იქ ხინოს მთა იყო და იქ გადადიოდნო, მე სხავ ათფერი არ ვიცი.

## ჭინკები

ჭინკებზე მაქ გადახტენილი. ჩვენ სახლ ზეიდან მუხიები იყო ღიდვანი, ევლოდით იქ, კორდი იყო. ვთამაშობდით, ვხედავდი ხიდან ქვები მეცემოდა, ერთჯელ, ორჯელ, სამჯელ, თურმის ჭინკაი მესროდა. ერთიც ბაბაი სახლს აკეთებდა. იქიდან წყვილი კარები დააბა, მუანვედა ახმანამაზი, დაგვეტევდით კარებ, ნახავდი კლატ, გეიხსნებოდა, ტაკი, ტაკი სხლში შამოვლოდა, თოვლი იყო და იპერტყავდა ჰელბეთ, ჩემი მამიდას მამათილი დარჩა ჩვენთან, ამელამნა დავცავო. მუანია ის დრო და კიდვენ გელო კარი, გამიევიდა ბიბის მამათილი, გევდა გარეთ და ძალლის კვალეზივინ, ოლონდ შამობრუნებული კვალეზი ქონდა. ვერ დეიკავეს მაიკ. მერე ბაბამ მუაჟდა ცხენს, ევდა ხულოში, ერთი დიდი ხოჯა იყო, აქიფა ხოჯა და იმას მუეყვა ეს ამბავი, მან უთხრა შენთან ჭინკებს დუუბუდებიანო, მაგათ მე მუაშორებ მაქავრობასო, ბაბამ უთხრა: შენი მოყვანილი ხომ არ არიან, რათერნა მუაშორო, დუუნერა ლოცვები, ასტავლა ჩაკითხვა, გუუკეთა ნუსხები, ეს ნუსხები იქ ჩაყარე, აქ ჩაყარე, ასეც მეიქცენ და მართლა მეიშორეს.

ადრე სახურავისთვინ ყავარს აძრობდენ ტყეში, ევდენ ბაბაი და მამუდა ემიაი და მოჭრეს დიდი ხე ყავრებისთვინ. სადილი მემრე მამუდ ემიამ ცხელაო და ცოტას წუძინებო, დარჩენილა მარტვაი ბაბაი, უყურებს შკერებიდან ერთი ტიტველი ქალი გამოვდა, მოვდა ბაბასთან, მეიყვანა ბალანა და ბაბას წინ დუუდვა ბოლკოზე, ეს ბალანა გიდმიჭარო, ბალანა რათერ დეიჭრებო, უთხრა ბაბამ. ქალი გეიქცა და შევარდა ისვენ შკერებში. მერე კიდევ გამოძრა ის ქალი, ახლა დიდი ბოლკო მუუტანა, დუუდვა ბოლკოზე და უთხრა ახლა ეს გიდმიჭარო. ბაბამ დაარტყა ცული, ბოლკოს გაჭრა და ბალნის კივილი ერთი იყო, მეგემ ბოლკოთ მუაჩვენა ბალანა, მერე დეინყო იმ ქალმა ყვირილი, ბალანა



მომიკლავ, მამუდ ემიას რომ გველვიდა ვეხვენე აღარ დეიძინო - მეთქი. ამფერი ხეებერია მეთი მუყყვა, მარა მაიც დეიძინა. ერთიც გახედა ბაბამ, რომ მამუდ ემიადი ძილში რაცხას იძახის, რომ გვილვიდა, ჭო მეც ჭინკაი დემესიზმრაო, შენ მართალი ყოფილხარ, შენთან ჭინკაი მართლა მოსულაო. ერთი წველა თმა ქონდა მამუდ ემიას და შიშზე ყალყბე დუუდგა.

**მთქმელი: ნათელა არძენაძე, არძენაშვილების მკვიდრი,  
გამოთხოვილი სოფ. ღორჯუმიდან, 48 წლის**

როიცხა რომ იმდუნისა წავალთ მაშინ მელაიქები შეგეკითხებიან, რომელია შენი ღმერთი, მუსლიმანების ღმერთი ალახია, მუსლიმანები ეტყვიან ალახიო და ქრისტიანები ეტყვიან უფალიო. ადამიანი, რომ მოკდება მემრე მაზე უნდა ვიზრუნოთ, კდარის სულს რა უთქმა იცი? თქვენ რომ სობიძირში უდახართ ჩვენ მაშინ მინაზე ვწევართ და ქვცვივა, თვენ რომ ნარნაირ საჭმელებ ჭამთ, ჩვენ მაშინ შიმშილიოსაგან მუცელი გვემხლევა, საჭმელ რომ შეჭამთ და სუფრაზე თუნჩხი დაგჩებიან, ის მოხვეტეთ და გადაყარეთ, რომ ჭუჭულებმა ჭამონ, ჩვენ მაშინ ვძლებით.

შუქური არ ეითავება ღმერთზე, ყველ წუთში შუქური ღმერთს, რომ სტორ გზაზე გვაყენებს. მაღლობელი ვარ იარეპო შენიო, ასენა თქვა. ღმერთსნა ვეხვენოთ, ყოველგვარი მაცდურისაგან, შეითნისაგან შორ მამყოფეო, შეითანი მაშინ გეხარებს როიცხა ჩვენ ჰარამ საქმეს გავაკეთებთ, ეშმაკი იმაზე ზრუნავს, რომ ბოროტი საქმიები გააკეთებოს ადამიანს, რომ ადამიანი ჯენნეთში არ მოხტეს. ყველწუთში ღმერთსნა ვეხვენოთ, ყოველგვარი გასაჭირისგან შიგვიბრალე გამჩენელო, დახმარება მოგვეცი იარეპი, ბისმილით რომ ადგება კაცი და საქმესაც ბისმილით დეინყებს, მაშინ გიგიმართლებს ინსანს. ღმერთი, რომ ნესიხების საქმიებზე ყვება მასნა მუუსმინოთ, ლოცვიხან რომ ადამიანი ცრემლებ გადმოკარკლავს ეს ცრემლინა იყოს გულიანი. ყველა ადამიანი არის გუუმაძღარი, ხარბი, რაც უფრო მეტი ქონდეს, უფრო ბევრი უნდა. ხალავ ჩვენ ღმერთისგან რჩევა-დარიგება გვჭირდება, ჰოდა გეტყვით ლექსად რჩევა-დარიგებას,

შეიყვარე ეს ქვეყანა,  
გვაზიწყდება საიქიო,  
ყველაფერი აქ დარჩება,  
მუდმივია საიქიო.

ღმერთო იარეპი ეს ნაკითხი მევლუდი ყაბული გიგვიხადე, მთვარის ყულმეთის მადლმა, ეს მუბარეეცი თვარეა და ღმერთმა მრავალ ამფერ თვარეს დაგასტრან, იქაც რომ მივალთ, ღმერთის სასამართლოზე, ღმერთმა ყურბანის მადლით, ჯერნეთი მოგვაგებოს.

მთქმელი: ნათელა ბერიძე, სოფ მოსიაშვილებილ,  
გამოთხოვილი სოფ ტაკიძეებიდანლ,  
განათლება საშუალო, 78 წლის  
ლოცვები

### **მატავრო**

მატავრო, მატავრო, შენ პილწო ქარო, რა მოსინავ გველივითა, რა მოხრინავ ხარივითა, სისხლის სასმელად, ხორცის საჭმელად, ქერვანის საკრეთად, რა არის მისი წამალი, ცხვრის დუმა, ღორის ქონი, ქათმის ქონი, ძენანის ჩხირი, კვერცხის ცილა, რა არის იმისი თავის ჭირი, ვურ-ჰაურ გაუშვი.

### **თვალის ლოცვა**

შიგილოცავ ავი თვალისა, ავი ყბისა, შინავრისა, გარეელისა, ტანმაღალისა, ტანდაბალისა, თვალშავისა, თვალთეთრისა, თვალჭრელისა, თვალსა ნაცარი, გულსა ლახვარი, წამოვწიე წარე ბალი, გადმოცვივდეს ორი თვალი.

### **თიის ლოცვა**

თიავ სულო, თიავ გულო, თიავ მარწყვის კაკალო, რას ელაგ ცასავით, რას ღელავ ზღვასავინ, ეიარე, ჩეიარე, გული დაღე ქვასავინ.

### **დამტკეცილის ლოცვა**

ჰილა ჰილასა, სამსა დილასა, ჩეველ ბახჩაში, ჩავჯარ კანაფი, ოთხი ცერისა, ხუთი თითისა, ჰაუ, ჰაუ გუუში, ერთმა კაცმა დეიბადა, სამჯერ დეიყვირა, სამი წყარო წყალი ერთათ შეყარა, სისხლმა სისხლ მუედგა, ხორცმა ხორც მუედგა, ერთმა გარეღმა ძაღლმა გაგლიჯა.

### **სირსვილის ლოცვა**

სირსვილი ხნავს ყანასაო, ალავერდოღლი ჭალასაო, გული ხარათ შეება, გველი აპოვრად მიება, გასკდა გული, განყდა გველი, სირსვილს ამუუარდა ძირი.

### **დაჩხვერილის ლოცვა**

პირველი ვარ დედისა, წამალი ვარ ჩხვერისა. ამას რომ იტყვი. თანნა, უზნის ჯოხი ურტყა, უზნა რაცხა ცენარეა.

ძროხის კუდი და კვარი უნდა დუუხლოლო, მუცელზე ცივი წყალინა არტყა, მაილი ჩააყარო პირში, შერბეთინა ჩაასხა პირში, ყველაზე დიდი წამალია გუგუმინა გააცხელო და მუცელზე მიადგა, ამანაც თუ არ უშველა, დანა ყირყიტონში, ამდენი ამბავის მერე თუ კიდე უხტის ძროხა მაშინ ღაზლა კისერში.

### **შაკიკის ლოცვა**

შაკიკი შამეიპარა სათირისა ბოლოსა, ასე ჭამდა კინასა, ნუ გვიხრავ თივასა, შაკიკი ამტკივდა მზე ამოსვლისა დილასაო, ცხვარი არ ჭამს კინასაო, არც მის ნაწილაკებსაო, ისე ისევ დაბრუნდი, გეიპარე დილასაო.

### **ეშმაკის ლოცვა**

ეშმაკი, მტრები, ჭვალი დავდე ჭვალდუზაზე, ელასაი, მელასაი, მელას ხატი შველებია, შენი ჯაჭვი მახეთ ხმალი, ეშმაკი მღევარი.

### **თვალის ლოცვა**

აღისა, მალისა შიგილოცავ თვალისა, შვიდასი ფერი კაცისა, შვიდასი ფერი ქალისა, შვიდასი ფერი გოგო-ბიჭისა, შვიდასი ფერი ქრივი კაცისა, გარეველისა, შინავრისა, რაც ინსანმა შენ შექხედა, ავი სულისა, ავი გულისა, დარდალობით თუა, მისი თვალევი ჩაუყარე აღის ქოთანში, ავადუღე და ვაქათუქათე, მივეცი ასვალთის მინასა, აღმა ქარსა, დაღმა წყალსა, ღმერთო გააქრე, გაანიავე.

### **თვალწელის ლოცვა**

ჩეიფიქრონა ერთი ქრივი კაცი და შვიდი ქრივი ქალი, მერენა თქვა, ალექსაურს ყანა იყო, ყანას უკან ლოდი იყო, ლოდის ქვეშ ცეცხლი იყო, ერთსა ქონდა წყლისა თვალი, მეორესა - ცეცხლის თვალი, ჰაი, ჰუი ავი სულის, ავი გულისა შეხედოს, შაალამაზოს შვიდი კონა ქაცვი, ეკალი, ბარდი, ნარაი, ჯინჯარი, თვალში ნაცარი, თვალეებში ჩემი ძროხების ქეიფი საათი, ღმერთო გადმუაყრევიე თვალეები.

რომ ილოცავ, უნდა თქვა, იარეპი, გამჩენელო, გთხოვ, გეხვეწები, ჩემი ნალოცი ყაბული გომიხადე და რათერც უკეთესია მუხამედ ფეილამბერსა და ისლამს მოასარგებლე, მე მიჩუქნია და მეც ისე მომასარგებლე, რათერც უკეთესია, ნუ შამარცხვენ,

ღერესთმეიდანზე, რასაც გავაკეთებ, ვილოცავ თუ ვიმუშავეფ, დილო ღმერთო, თქვენი სიკეთე სიკეთისთვინ მადლათ დიმიწერე.

ჩვენ ღუებს ასჯერ ჩევეკითხავთ, ვინც იკითხავს რიზლი ბლომათ ექნება, ჯერნეთის კარები ღია ექნება, მეზოლოლის ღეზაბზე დამხმარე ეყოლება, ამ ღუას თითო სიტყვაზე თითო მელაიქს აჩენს, ისინი ამ ღმერთს ყიამეთამდე პატიებას თხივენ ჩვენი ცოდვებისას.

არ შეიძლება ბებო შენებურა ილაპარაკო, მე ამდენეთი სახეირო საქმე გავაკეთე, ამის თქმა სტორე არ არის, ან კიდევ, მე ამდენი ცოდვა ჩევედინე, საჯერნებო გავხტი, ეს ყოლინფერი ღმერთის ნებაა.

ფარაზი-ღმერთის მიერ ნაბრძანევი და აუცილებლათ გასაკეთებელი საქმიებია.

ჰარამი-ღმერთის მიერ აკრძალული საქმიებია.

აბდესი-აბდეს ვიღებთ მაშინ, როიცხა ლოცვის ზამანიწა შავასრულოთ. უაბდესო კაცი ნამაზ ვერ ილოცავს, უსუფთათაა.

იქინდი - დილაა. იქინდის ლოცველი ცალკე გვაქ.

ახშანამაზი-სალამოა, ახშანამაზის ლოცვა კიდევ სხვაა.

ფითრე - არის შესანიწრავი, მარხვის მემრე ილლანა მიცე ვინცხა გაჭირვებულ ან ქრის, რომ ყაბული დევეწეროს, ოჯალის ყველა წევრისთვინ მიცენა თვარა იმდენი ნამარხი მადლათ არ დევეწერება.

მთქმელი: გურამ ბერიძე, 82 წლის,

მოსიაშვილების (გორგიველის მკვიდრი),

განათლება საშუალო

### სახში ძალი მევეყანევი

სახში ძალი მევეყანევი,

სახელათ ერქვა ლელია,

მე მისსა მოყვანაზედა,

ხუთ ცხენ მოვწყვიტე წელია.

ხუთი სარტყელი ვუყიდე,  
ხუთივე ძვირად ფასია,  
ხუთი მაგრათ გადავაბი,  
ვერ დუუჭირე წელია,  
რა ნააჩრი ძალი დამჩა,  
ვაიმე მის გამომშვებსა,  
სულ არ გყავდეს არ ჯობია,  
სახლი ძალსა გიდიევიდა,  
არც მე დამარჩინა ხათრი,  
იმ წუთ ჩხუბი იმიტება,  
მიმწრიხლა და მიმამკდარა,  
ცეცხლიანი ნაგუიზალი  
ეილო და მდრიკა წელზე,  
მამაჩემა შამომისტრა  
ე რას იჯები ლელიავ,  
გადაშპა და ხელი ტკლიცა,  
სულ დააბლალა წვერია.  
მიარტყა და მიაყოლა,  
ძრუგზე აღინა ბულია,  
სულ დიმილუპა ოჯალი,  
ამაღებია ხელია.

### ლამაზ ქალ

თელი ქვეყნის სიამაყევ,  
ჩემი თვალის ჩინო,  
შენზე მღერის გული ჩემი  
რახანია ქალო.

დაფრიალებ ძალვან ჩქარა,  
ვერ გენწევა ქარი,  
იალუმზე ყაზმაით ხელში  
ნათუზარს მიიჩქარი.  
შენ ყოლინფერს უაღერსეფ,  
როცა ღამე ქრება,  
ყვავილებიც ჰომ მღერთან,  
ციცავ შენზე ქებას,  
დიგიძინია ყანი პირაი,  
ქალო შვენეირო,  
ვაშკაცისა აფროთოლება ხარ,  
ჩემი გულის მკლელი.

### დავჯექ და წიგნი დავწერე

დავჯექ და წიგნი დავწერე,  
ჩიტ გავატანე ხებრათა,  
აგი სიდედრ მუუტანე,  
რომ ვერ ვესტუმრე ჩქარათა,  
წადი გაფრინდი წერილო,  
გზავრი შორი გზისაო,  
წაწერო ჩემი ხელითა,  
ნათქვამოჩემი გულითა.  
ამბავს გაბარებ წერილო,  
შენ შაასრულე ვალია,  
გადიარე მინდვრები,

ას გზა იარე გძელია,  
აბლულ ბეგი ძალვან გეძეფს,  
ამდგარი არი ფეხთა,  
ერთი გოგოს სევდა დამჩა ამას  
ნუ დეინახავთ ბევრათ.  
მე დამტიოს, იმან გიეთხვას,  
მას შავანვა ფიშეკები,  
მან, რომ მოკდეს მე დავსახდე,  
გიმიცივდეს ყურშუმები,  
იქით რომ გავაგზანე,  
ახლა რაფერ ვიძინო.  
ლალეები, შენი ლალეები,  
იცოდე შეგებრალეები,  
ღმერთო ი დრო მომასტარი,  
თავქვემ დუუდვა კლავები.

### გოგო - ბიჭის შაირი

ციცავ, შენი შემოხედვა მაგიუებს,  
ლამის არის, რომ დავკარქო გონება,  
დამჩა, დავდვა, ხელნანერი მწუხარი,  
ციცავ, გული შენთვინ გიდიმიკდება.  
არა, ნულარ მიჰერსდები ბიჭუნავ  
შენი ჰერსი ჩემთვინ არაფერია  
გამანებე, შენი თავი არ მიყვარს,  
სხვა მონახე, სხვა რალა დავჩენია.  
არა, ციცავ, ვარს ნუ შეტყვი იცოდე



მაშინათვე მხოლოთ ყვავათ ვიქცევი,  
შენ ტრედი ხარ, ლამაზი და ფიალი  
დაგბედდები და ჩემი იქნები.  
ნენეი ჩემი, ბაბაი ჩემი,  
ჩემი ქვეყნის უმფოსები,  
მე არ გამათხვებენ და  
შენ დაგრჩება დემონები.

### ქალს რომ კაცი მუუკდება

ქალს რომ კაცი მუუკდება,  
დაუდება და დეინყებს ფლუკუნს,  
განა მართლა ტირილს დეინყევს,  
საყვარელი აგონდება.  
ნამუსიან თავს გამეიდევს,  
უნამუსო გიეთხვება.

### ნაძვი ხე

სალამი ნაძვი ხესაო,  
ჩვენ ტურფა პირიმზესაო,  
რა თეთრი მანდილითაო,  
მორთულა ამ დილითაო.  
კაბა აქ ატლასისაო,  
დილები ალმასისაო,  
თვალეები ციმციმ გვიმზერენ,

გვიცინის ათასნაირსო.  
გამარჯობა, ნაძვი ხეო,  
თმაშუქურა პირიმზეო,  
ე რა მოგიტანიაო,  
აკიდული კლავებზეო,  
ამდენეთი საჩუქრები,  
ვისთვის მოგირთმევიაო,  
ვაშლი, თხილი და ბიები,  
ფორთოხალი, ჩუჩხელაო,  
მარგალიტის ძივებიო.  
ჩვენთან მოგიტანიაო  
ლალ-ფორტის კაკიები,  
სალამური და თარიო  
ვენაცვალე იმ ზამთარ,  
რა კარგია ზამთარი,  
შარშან ამ დროს ლამაზო,  
თოვლი გუნდათ გეყარა.  
მასხოვს ჩიტმა პატარამ,  
თავი შემოგაფარა,  
ხომ არ დარდოფ იმ ამბავ,  
ჩათუთნილხარ ფარჩებში,  
გევიხაროთ ამ ზამთარ,  
ჩვენ დარბაზში დარჩები,  
ვინ უმღერის ტყეში ნაძვის ხესაო,  
გამარჯობა თეთრქათიბა ტურფა პირიმზისაო.

## სიძეს

სიძევ, ღმერთმა აგაშენა,  
მოქცეს კაი ბედი,  
ბევრი მოხან და მოთესე,  
შენ არ ქქონდეს დერდი.  
სუ ყველაი შენა გლოცდეს,  
ახალგაზდა და ბერია,  
სახლი ხვაფით გავსილიყოს,  
მტერ თვალები დალევოდეს.  
გაცოცხლოს და გადღეგძელოს,  
დიდმა გამჩენელმა,  
ღმერთმა წყვილათ შეგაბერათ,  
რაფერც მზე და თვარე,  
გადღეგძელეფ იყავ ბევხან,  
დეუბმავდეს მტერ თვალები,  
შეგებას ბედაურები,  
დეგეკრას ოქროს ნალები,  
სახლი-კარი დუუნგრიე  
ჩემი სიძის მტერსა ,  
მათი ძროხა, მათი ცხვარი,  
დააჭმევიე გელსა.

## კაპნი ბოლოს დიგინახე

კაპნი ბოლოს დიგინახე,  
წელზე გერთყა ქამარი,  
ჩუმაღ მივხედ -მევხედევი,

ვერსად ვნახე სამალი.  
ტან ანაყად ჩიმიარე,  
თმა კუჭკუჭი ქშვენოდა,  
სიყვარილის თქმა მენადა,  
მაგრამ თქმა კი მცხვენოდა.  
შენი წელი მოქნეული,  
შენი ყელი ქათქათა,  
ნანწავების მიმორხევამ  
თავი გიდიმივიწყა.  
ამ წუთების მწარე, ტკბილი  
გულში ჩემელვარღვარა,  
და დანყველილ კაპნი ბოლოს  
დევიარები ჩქარ-ჩქარა.  
გოვ, ამდენი მოლოდინით  
გული გედემელია,  
ყოვლი ღამე გათენდება,  
რაგაი მოსათმენია.  
უგენილოთ ეს სანყალი  
ნენეი, ბაბაი გამწარდა,  
ერთი შენი გამომცხვარი  
ჭადი კვერაი მაჭამა,  
ერთი შენი მონაქსოვი,  
ჭრელი წინდა ჩამაცვა,  
ერთი ხელში ჩამაგორა,  
ჩვილ- ბოკვერაი ბალანა.

ლობიას

ლობიაჲ, ჩემო გამზდელი,  
მე შენ მომყვან ვენაცვალე,  
ჩემი ქვაბი გამეიტანეთ  
მოუხარშოთ ჩვენ ეს გემრიელი.  
ამან გიმიძლო მუცელი,  
მან მომანყინა თავი,  
ლობიამ გამომაცალა,  
მე ნამსხმანიდან ჰალი.  
ლობიაი ჩვენი გამჩენელი,  
ლობიაი გამცილებელი.

### „ვერცხლიწყალი“

ვერცხლი წყალი ავადუღე,  
გადმეიღვარა თეთრი წყალი,  
მე შენ თვალწინ მევიკლავ თავ,  
შენ დამასხი ცივი წყალი.  
იმას ილლა იტყვის ვინმე  
ტფობით მოკლა ი სანყალი.

### დიალოგებიდან

- რომ შავატყობდი უფროს იმნუთში გავბოდი, ტკივილი მქონდა თითებში, მემრე კოჭებში, მემრე მუშლებში, მემრე გამჰა და გეიარა, წევდა. ისეგავ, გავცივდი. კაი ახლა ჰაითე წევდეთ, დაღამდა. ერთი მეიცაი, ჯერ, ჭოვ. იოსკას ვუთხარ დავჭვირთოთ შიშა, ჯერ შეეზარა, მემრე მე ვუთხარ: იოსკავ, ჭოვ, დღევანდელი კვეცხი მიიჩვენია ხვალინდელ ქათამს - მეთქი და ძალით წევყვაი ტყეში. ეეთი ზამთრის შიშა მევტაი, ახლა გინდა თოვლმა მომაბუქოს კარებში.
- ძალლი ძალლი იქნება, ძროხა ძროხა იქნება, თხა თხა იქნება.

- იგე გაღმა გორას ხედავ ბაბუ, იქედან წამოვდა ღვარცოფი, მოდლოზა იმხელა გორა და ჩვენ წინ გუუფინა.
- ი რა ზოვლი ძალლი მუუყვანია ჭო თემურას, სახში შესული არ ვიყავ დატრიალდა და რა არ მომყარა ქალმა გეგონება, კაი ხანია მიცნობდა, ჰიდან მეიყვანა რომელი სოფლიდან?
- ქალო, რაცხა მენტის ტკივილმა ზოვლი მიზორა ამ ბოლო დროს. ისეგავ ვცივდები, თუ რაის ბრალია ნეტაი.
- ეთი შეხედე რა იმტრიანი ჭამა იცის. მაძლარი რომ იყო, მაინც მოვინდება ჭამა.
- ჭოვ, გამოდენე მაი ხობვები, იქით არ გეიქცენ, მაშინაი გენტანს მაგ გელ დასაჯდომებს.
- წაღან მაშინამ გააჩერა, საქონელი ხომ არ გყავან გასაყიდო.ერთი მაი ფუჩიები ხომ არ გეგვეყიდა ჩვენც. მაგათ ვინნა მიმოდოს კუდში.
- იმ ჭრელ ხობოს ზრუგზე ჯლიბაები აქ. წაცხა წამალი გეცოდინება და წუსვათ, რომ ავათ არ გიმიხტენ. ამდენს ვუსუსუნებ და არ მომიკდენ.
- წრევანდელი იალი რაცხა არ მივარგა. ასემალე აყრაღდა, წარე გემო დადევს. შარშან რომ მემთევრი მყავდა, იმან ზოვლი ოხტური ჩამომიტანა. წელს სახლი დაწვია და ბელქი გაზაფხულ წევდეს კიდევ, იმას გავატან.
- ქალებო, დუნია ენშერმენშერია, ვინ ჰად მიდის, ვინ რას აკეთებს, ვერ მიხტები, ზ-ის გოგოს რომ ესხრიკებოდა, თ-ს ბიჭი თელი ნ წელია, ახლა მეგემ ის გოგო გაპარულა და სუ სხვა ბიჭს გამოკიდებია. მუსტალია ბიჭისთვინ, ყველაი იმას ებნევოდა დროზე მოჭარ საქმეს თავიო, მარა შენ გეიგონე რამე, ისე მანაც.
- ნუსხედინაი და მისი ქალი ამოსული არიან ე ზაფხულია სოფელში. ერთი წუთი არ ისვენებს ი ჩენგემოღრეცილი ქალი, გუშინ სახლი წინ რომ ჰანაი მინდორაი აქ, ის მუუთხრია და ვითომ წვანილები მუუთესია. ვებნევი, ბიცოლაგ, დაჯექ შენი მინეთი ვინმეს არ ქაქ, მარა არ ესმის. მისი ბაღანა ქალის ერთად რუსეთშია წასული. გოგო

ბადიში იმხელა სახლში მართლა, ჩაი და ბებია-ბაბუამ ეპატრონე. სხვანაირი მიღეთები არიან.

- ბახლომ რათვერი ხაპიშორვა გამუა. თელი სული და გული ჩავდე და ჩემ მეტი ვინმე არ გასინჯავს, არადა წელიწადში ერთჯელ ხომნა გააკეთო.
- გეიძარ, ამხელა ალიგი ტყვილაი კი არაა. წესიერაი დამაჟდუმლე.
- მერაბავ, რაიჯები ჭო, შეიტყე ახალი ამბავი, კაცი სტოლბიდან გადმუარდა, ზორით კაცი მეიკლება, ტირილში არ წევდეთ?
- აბა არ წამუალ ჭო, თუ პანას მეიცდი, ბარემ ამ შპალსაც გავაბამ და წევდეთ, წუესლეელი არ მარგია, ხისიმები ვართ, ჩემი მამის ტაია იყო, საფასალლამი კაცი იყო, მარა დაბერდა სოინი და მუაკითხა ლებრაილმა. იმ ახალგაზდის და ამ ტაიას ტირილი ერთი არაა მარა მაიცნა წეხვიდე.
- ჩალუუნებული ყავს ბაღნები, კურტკები უყიდა, ახალი კაშნები, ქედები, ბატინკები, რამე არ დუეკლია, საცოდვაფი იფერებს და რა გინდა.
- ერთი მაგან ბაისახანი იცოცხლა, იგერ თათერის ბიჭი ზოფასავინ კაცი წეიქცა. დეივსო ოჯახი. წუხელ თელი ღამე ქოჩათ ადგა. არ უძინია იმ დღეში იყო. ჰალა შუეძლია. დაბერდა და ჩვენ კიდევ გვინდა, რაცხა გიგვიკეთოს.
- ჩემ ბალანას რომ ჩემზე დეეჯერებია, ახლა ცხოვრობაშო გამსტრო არ მეყოლებოდა.
- დედომინი გამჩენმა თუ ვნახე ი კაცი, გუულანძღველი არ დავტეე.
- ერთი დუჟინა ჭურჭელი მაქ გასარეცხი.
- ეს კასრული მაგარი გასახეხია, ჯანგი აქ მოდებილი.
- იქრა ქნა და პიში ჰასუთა აღარ წეიკარა ბალანამ, ახლა ძიფათანა გუეკეთო, ბელქი მიეჩვიოს.
- წინე გო, მაყურებიე ტელეფზორზე, რაცხას იტყვიან ჩვენი ქვეყნის ამბებს. თელ დღეს თქვენ უყურებთ და ახლა მაიც მაყურებიეთ აჭარას.

- სახეზე მუწუკები აქ გამოყრილი გო ბალანას, ვეფერი ვერ ვუშველე, ჰად არ მყავდა, რომელ ჰექიმთან, გზები გავასტორე, ვინ არ შავანუხე, მარა შედეგი არაა, ახლა ეთი შინავრი ჰექიმი მასწავლეს და იმ ჰექიმბაშთანა მივყვანო. რაცხა შინავრი წამლებით რაცხა ვუშველო, თვარა გავწამდით მეც და ბალანაც.
- მაი ყოსხოჯა გოგოა, არ უნდა მაგას სტავლება, მისითნა მიხტეს და გააკეთოს, რა ვიცი რომ შხედავ, ეფეიჯა ეშმაკი თვალეები აქ.
- ჭოვ ჰადმე კვარი არ ინახება, ამზამთარ სობას რაით დავანთობთ, ჰაცხა ხასი კვარი ნახე თვარა გიგვიჭირდება თეჩი განთება.
- ე თურქეები ყოველ წუთ ჩაის ხრიპავენ და არიან.
- კვირიკიბაზე მოყურება არ ვიცოდი, მარა მე რომ გადამხტა იმა მემრე არცეთ ქაშაყობას არც ყანაში შევსულვარ და არც ტანი დიმიბანია. ერთჯერ ბალანა დავბანე კვირა დღე იყო ჩურუგასი და იმ დღესვენაი დიდვანი ჩიბნები დააყარა ბალანას, იტყვიან საათი შეგხტებაო ხანდებან.
- რა ჭირი და მარაზი უნდა რომ ჰყორინობს მაი ხობო.
- ერთი თურთხლის ჩინკოი მომიტაი, წითე ხუმბრანა ჩავყარო.
- მე ინდავრის ჭუჭულებს ჯინჯრით ვზდიდი ყველთვინ.
- ძველებურ სახლ ფენჯრები არ ქონდა, ჰანვანი ფორტოჩკები იყო გამოჭრილი, მატო თავს თუ გაყოფდი, მარა ახლა რომ სახლი ავაშენეთ დიდვანი ფენჯრები გუუკეთა ჩემმა ბალანამ.
- გო შამოი სახში, კარის ზღრუბლზე მოხვევა არ შეილება ინსანზე, მეგემ წევჩხუბებთ.
- ი რა ბაძანმგარი ბალანა ყავდა გო. გეგონები ებბელი პირი არ არ დუუბანია ბალნისთვინო.
- ადრე ჰამიდორ რომ დავგავდით ძაფი არ გვექონდა, დავფრენდით ძველ ურბებს და იმით მივაკრავდით, ახლა ადვილია, გააბამენ თელს და ძაფით მიაბამენ.



- ახლა რა ვქნათ ნუგზარას ახალი ძალი დავუპაიჯოთ, სიიცხვილია, პანაი გაბღებებული კი ვარ მაგათზე, მარა ძალმა რა დააშავა.
- წუხელ ახშალამაზიხან მოვდენ საქონელი, მოვკტი ნერვიულობით. ყველა ღამე დათვი აბულულებს ძროხებს.
- იბრეთი დემემერთა, გუშინ ისკელედან კაცი ჩამუარდა, ჰამან ჩემი სახლის შენებას დეესართა, ფხარი მუეტეხია, საფასალლამი კაცი კინალამ მევსტარით, თვალი არააო არ ითქმის.
- აღარ ათავდა ე პური, დავაფქვიე ჭადი ფქვილი და დღეს პური აღარ მომიზღელია, დიდი ჭადი ვბრეგვე.
- ჩემს გამო კინარამ მოკდა კაცი.
- ჩემს შემდეგ შენ იქნები რიგში.
- ცემს შესახებ ვინმემ რამე არ იცის. მე ჩემებურაი ევწყე ბიზნესი და ახლა მშვენივრათ ვცხოვრობ
- სპიჭკა მომე ერთი ის დახვავებული ფოთოლო დაფნვა.  
ოდაში ფეხათ ლოგინი გავასტორე და თან მომისტრეს სტუმრებმა.
- საქონელ კარი დუუბიქსე და კიდე ჰაიდან გადმოხტა არ ვიცი.
- მე რა ვქენი იცი, ჭყინტლი შევყარე მაცივარში, საყინულეში და როიცხა მოგვენატრება მოვხარშავ.
- ჩვენ მემთევრ, ხარავლელ მერიკოს შარშან სახში პაჟარი გუუჩდა, ყველაფერი ამეილანძა და წელს ველარ წევდა თაზე, ჩემი ძროხები სხვას მივაბარე და კაი ოხტური არ ჩამომიტანას.
- ნეტაი ხვალ დარია თუ ავიდარი, გახედეთ აბა ცაში მარსკლავები თუ არი.
- ე ჭყანისი სუფთა მაყაყი ბუდეა,თელი ღამე მაყაყები ყიყინებენ, ახალათ რომ ჩამეგბარგეთ არ მეძინა, ძვილაი შევეჩვიე.
- გარში გასლასაც ჰელესა ხომ არ უნდა.
- რასცალა ლამაზი ციცაი ყოფილა, მუენდენ ამათაც მინისტრის შვილი.

- მამამისის შიშიმგონე ბიჭია და ჰადმე თეხი წაადგას.
- ლარმის იბრეთი დეემართა სულიკოს, პაპიროსის წინკალი ჩავარდნილა თივის ზვინში და ცეცხლი აბრიალებულა, ლარმის სახლში შაანია, ზვინი ოზოში ედგა, იმ ღამე კალაში ქარი ქროდა და ღმერთმა შეიბრალა, თვარა ალავს შეიტანდა სახშიც, ბაღნებს ეძინენ და ყველაი ამეითუთქებოდა.
- თილფანი ვის გაატაით, ვეძებე და ვერ ვნახე, ბარემ გამომეთიბა ბალახი, დარებია და გახმებოდა, მერე ერთი რომ აანცობს წვიმებს, ჩათორცობდება, ჩალპაბა, ვეფრათ ვერ იხმარ.
- ახორში პოლი ჩიმივარდა, ჩასაპოლი,ა თვარა დეკნაი ჩავარდება შით და გამეცობით.
- თეთრი სტოლსათარი ქლორში ჩავალბე, ჩაშამბულია, ბელქი გუუშვას.
- გუშინ მაშინამ ძალლი გეიტანა, ი სისხლიანი ძალლი ქვინცხებში შეშვა.
- შენ ყაზილარო შემოი სახში, ახლა გარში რა გინდა, ყირავია გარეთ და გაცივდები.
- ბაბამ იმ დღეს რესტორანში წიმიყვანა
- დიმიჩემა გინდა თუ არა ჩემთანა წამოხვიდეო. ბაღანას დაბადების დღე ქონია და ვითომ პატივინა ეცა ჩემთვინ.
- იმდენი შაირები ვიცოდი და ახლა ნახვარზე მეტი დამავინცდა.
- აქავრი წყალი არ ისმება მაყაყინყაროა.
- ვახტუნდა მახსოვს ანაი გვეტყოდა პირში ყიყვი ამოგივლენან, ჭვანი თავში ვცხოვრობდით, ტყიძირში და მალმალე კევს ვკევაავდით და პირში დიდვან კევს ვიღებდით, ყბა ჩამოგვივარდებოდა იმდენს ვღეჭავდით და პირიდან რომ გამოგველო, გვატყვილებდა ყიყვი ამოგივლენ ხახაშიო.
- ადექით ყველაი ,ხევსი ჭამეთ, რომ სუფრა ალავდეს ბოლოსდაბოლოს.
- ჩვენი მინა ჭყანიში ბერიძნიებს ეკუთნოდენ. მაშინ მეგემ ავატყოფობა იყო გაჩენილი, ცხროს უძახდენ. დიდი სიცხეები იწვევდა. ერთმა ბერიძემსხვა ხალხივით გადაწყვტა

ჰაცხა ჰაცხა ტყიძირში შეეფარებია თავი. ანია და ბაბამ შუუცვალა ჯალაბაშვილების თავში მიწა. ასე მოგვიწია ჭყანიში მიწა.

- იმ ბალანას რა ზოვლი ჭამა უყვარს, თან რა ბუთხუზაია. წითელი ვაშლივინ ჩუწითლებია ი ლოყები.
- რამდენჯერ გითხარ რომ მათი ბონდო არ დადვა მეორეთ მაქ, ან დანვი, ან გეიწნიე.
- საქათმის კრუგში შამუავლოთ თელი მგვალათ და მერე პრიზენტი დავამაგროთ ალაგ-ალაგ. თუ არ დავამწყნარეთ ქათმები მეორე დღეს შენი არაა, ან მელაი დააშუება, ან ტურა, ან ქორი. ყოლინფერს მტერი ყავს ზათინ.
- რამდენჯერ ვუთხარ დავალება დეენერა და სანამ შენ არ მოი მანამდე არ დანერა.
- ადე და ფეჩში შუურთე, ჩაქრა თლათ, ამას თქმა რათ უნდა, შენით ვერნა მიხტე. შუუჩიჩხინე, ნაკვერცხალი წინ გამეიტაი, რომ თლათ არ ჩაქრეს. დავაჯერებ მაიც
- ჩემ ბალანას ფეხი გუუსრიალდა ქვაზე და ღარმის გამევესე.
- ჩემ ამხანაგს დედა მუუკდა და იქ მივალ, ტირილში.
- ჩემ გულს დავაჯერებ მაიც.
- მისი კაცის სიკდილი ქალს თურქეთში შეატყობიეს.
- გუშინ ბალანა ძალღმა შააშინა და წუხელ მთელი ღამე არ უძინია.
- გასაშიშებელმა ძროხამ სასაფლაოებთან იმიყვანა.
- გუშინ იმხელა გრიპი მქონდა კინაღამ მოვკდი. კიდევ კაი ექიმთან წიმიყვანა, მეგემ ფილტვებში ანთება მქონია.
- ვითომ გუშინ ცხვირი შიმბრუნა, რა უნდა არ ვიცი, მეც პირი არ მიმიცია.
- ჰაჩანქი თბილსიში წევდა და ხარჯი ქნა, ბარემ ყველაფერი გამეიკვლიოს.
- ნამეტარი ჭრიფლაი ბალვია. ჰა ნახა არ ვიცი.
- კარის ზღრუბლზე ნუ დგახარ, არ ვარგია.
- ზამთარში ტყეები დაპანავდა, ღამეები გეიზარდა. მიბრუნდები, მობრუნდები და უკუე დაღამდა.

- მიღმასანი ყურნოლლები არიან ძველი გვარი.
- ბალანა ავარიაში მოხტა და დედამის თურქეთში ხებერი არ აქ. ბირემდენი რომ გარეთ არ გამუარდნილიყო ბალვი მოკდებოდა და დახედავდა დედაამისი ცივ ბუკზზე.
- ვითამ გაკვეთილი ისტავლა, წუხსამშაბათა.
- ე რა წესი შემოვდა გო, წეისვამენ ამ ჩიჩვირებზე წითელ ჰამადას და რაცხა გონიან თავი.
- თუთუნი ყველაი მოვხვეტე და რაცხა მქონდა დოსკაპიკაი გავატაი ყველაი.
- როის მოხტა მაი ანბავი, არა მე ჭურში ვიჯექ თუ რაა, ხალხი მერაყი მგონე არ არიან და მე ხებერი არ მაქ.
- ერთი ჰანაი ჭუჭრუტანაი აქ კარს, ი წუნკალი იქედან არ იჭიჭინებოდა მეგემ და ყველაფერი დეინახა. ყივილი უუტეხია, მიშველეთ სახში ქურდიაო, გამუარდნილა გარეთ, ის კაცი ფენჯრიდან გადახტა, ბალჩაში ჩუურბენია, სიმინდისთვინ ლანა-ლუნნი შუყყენებია, თლათ დუუმტრეგია სიმინდი, იმა მემრე ეძებენ იმ ბიჭს, ახლა შევტყეთ რომ ჰაცხა თურქეთში დეეთრევა.
- გოგო კი არა დურბახი უნდა მაგა-დურბახი.
- გომთუაკი ქალია მისი დედამთილი, ქალია და მისებურაი რაცხა გააკეთოს, ან ჰადმე წევდეს.
- რომ წავახტები ყინჯაპში, მაშინ მუა ჭკვაზე.
- ააფერს არ ჭამს, საჭმელი და შუურჩიო. ძინანარმი მაგა არ უყვარს, იმიტომა მასე განრეპილი, უჭმელობი მგონე კირჩხიდან იყურება.
- ანჯახ ამ ნაპირსაც ავბარგავ და თან დალამდება.
- ციგნები მარძალახები არიან, გეიარ ქუჩაში და ბერბადი მელამეთები ბალნები ყრიან ასვალტზე. ერთი ჩვენი ბალნები დავყაროთ მასე, იმწუთში სავატყოფოში გაგაჭენებენ.
- ფქვილი რომ შემომიტაი, გადმეიპნევა ვერ მიხტი?

- ალემბალი ნვიტი არიან ჩვენი ჭუჭულები, ძვალი და ტყავი, არ დეიკლებიან.
- ვახტუნდა იმფერი ქესტენაები მიდიოდა, ყანა იყო გათეთრებული, ახლა დრო შეიცვალა და ალაათფერი აღარ მოდის.
- მიდი ერთი ჩინკოი მომიტაი! სხალი-ვაშლი გავთალო, ბალანა რამეს არ ჭამს, ბელქი პანაი ღანვი გააქანოს, პირზე რენგი არ აქ. მიტკალივინ გათეთრებულია.
- თუ ბერნი დამჩა ჩემი ძროხა, მაშინ მაგას ვიღან გაზამთრის, ჰაიდა ღაზლა კისერში.
- ი რამბავია გო, საქმიმგონე კისრით ვარ დაკიდებული.
- მე ამაზე მეტი არ ვიცი. რაცხას გუუკეთეფ ის ჭამონ. თუ არ მოწონან კუდი ღილიას გზა ბარაქას
- გაღმა ბუყნის სახლს შეხედე, ქვეიდან ორი დირევი აქ მიცემული. ერთი რომ ქარმა დუექროლოს დეინგრევა და ჰაიდე, ჩეთინია საცოდვათ ცხოვრება.
- უჭმელო, ხანდებან ღანვი გააქანე, გაქრენა ვერ ხედავ. რაცხა სხვანაირი კოკომუავაი ბალანა ხარ განა.
- ნულარ კირკილებ გო. გოგოს ამხელა კისკისი ჰა გიგიგონია.
- გადამარქვეს სახელი და მემრე დამარქვეს გრიშაი.
- ტყულაი ხომ არ ამბობენ, ჭკუას თვალია არ ეცემაო.
- გუშინ ოთხეული დივან-კრესლო ვიყიდე, პაკრივალაიც მუაყოლო, რომ ლელევეინი გახტება ისე. მეიქაქნება და არ მინდა მოლორდეს.
- სობაი დავდგი და ჯორკო არ მაქ, რომ ფეჩი ძირში დავდგა და დავუდე. რაცხა მოვჭედო.
- თელი დღეა რაცხა მატანტალებს, მემგონი რაცხამ მომწამლა, წაღან კინალამ პლეტას დევეცი და მენახა დათუთქვა მერე. რომ არ დევეკავებიე რაცხას, ილლა დევწვავდი.

- ქვასეყურებოდეს, გუშინ ბალანა წეიქცა გზაზე, ბენვათ გუდუურჩა გატანას. ცხრამთას ცხრამთას იქით, ცხრაგორას იქით, რომ რამე ყეზხა არ დეგვემართა, იმიტომ იტყვიან, ყეზხა ერთემედენაიაო.
- რა უნდა გო, წამუელთ მოდულებიდან, დუუტიეთ დელიდუზი მინდორი მეზობლებს და აძვებენ და არიან ძროხებს. ზეით ტყეში რომ ევდენ ძროხებმა, ნადირი ჭამსო და ჩვენ ჭალაში აძვებენ. ზათი პატრონი აღარ ყავს იქავრობას და რა უნდა.
- გაზზე ქათამის ორი ნაჭერი მქონდა ტაფით დადგმული, თავი კი ეხურა, მარა მეგემ კატა უბუსუნებს და გარეთ რომ გამუელ, კატამ იხელთა დრო და ტაფიან ქათმი ნაჭრებიანა ძიში ლანდა მიცა. იმ ქათმი შეჭმას არ ვჩივი, ყოლონტერი ლურთხი გახტა და მერე იმის განმენდას დაჭირდა თელი დღე.
- გოია კაი დიდი საქმიანი ქალივით რომ გვიღვიძებს გამთენიოს , დაციცავს იმ თვალებს, ჯერ ვერ ხტება და მერე რომ ძილი მეენატრება მუა ჭკვაზე. ჰა ერქარება იმ დილიანა რომ წამოშუება ლოგინიდან, არ ვიცი.
- წელს ლობიას ხაშრათ ბამბუკის ჯოხები დუუსე და ზეიდან არ ეხვევა, ბამბუკი ხომ გარედან სლიპინაია და ლობიაი ძირში გეითხლაშა მინაზე.
- სკოლაში დასკუჯვილ კაბებს არ ჯობია შარვალი ჩეიცვან. გამუყრიან თეთრი კანჭები და გოია იუფკა აცვიან. მაქფერს მე ჯემპრეს ვიცვამ.
- ე რა ზოვლი უფრუტუნებს, ასე თუ გაგზელდა ხვალამდე, ქვეყნის თოვლი მუა.
- ცამმეტი წლის წინ ჰა იყო ამდენი ვიდეოები და სურათები.
- ყველამფერი ყველამფერია, მარა ამხელა ინათზე შედგომა რათ უნდა, ბახალომ როის ჩამუა ვირიდან.
- ბალანას არ უნდა ყველ წუთში ყვირილი და ყიამეთი, რომ შეაქო უმფო შეიფერებს და უმფო დიგიჯერებს.
- ჯარში წერილი დავწერევი და ჩემ ქალთან გავგზანე.

- ყოჯა დიდი კაცია, ლამე მარტო ვერ დარჩება, გუშინ ვეხვეწე დარჩენილიყო მარა ომრი დეიტირა და არ დარჩა.
- ბალაძეებში გიეთხვა ი გოგო, მერე კი დეპუტატად ეირჩიეს.
- ადრე მინამ ბაღვები არ მყავდა მყავდა შავუყვებოდი ზეითკენ და მევიარდი თელ სოფელს, ახლა დამაბეს ბაღნებმა სახში და ვერსად ვერ ვიარები.
- მე ახალობაში ბევრი წიგნი წევკითხევი. ახლაც მიყვარს წაკითხვა.
- სამი დები იყვენ, სამი ლამაში ქალბატონები, ყველაი დიეთხვენ, მარა არცეთს არ გუუმართლეს. უმფოს პირველი ბაღანა მუუკდა, შვათანა ავატყოფოფდა, ერთი ჰანა გოგოს არ უშავს. კაი ოჯალიც შეხტა და საშვალოთაც ცხოვრობენ. არ უჭირან
- სულ მარტვაი ვარ. ჩემი ორი ბავშვებიც გავაცილე სკოლაში და კარებში ვიყურები ბელქი ვინცხაი სტუმარი მოვდე, ი რა გლახაა მარტვაი დარჩენა, გამოყრუვდები კაცი, ღმერთმა არვის დუუნეროს მარტოყოფნა.
- მადლობა ღმერთს ბაღვი გიდიმირჩა და ერთი ცხვარი შევწირევი.~
- ხანჯელ ერთ მეზობელ აართვამდა ფქვილ, ხანჯელ მეორეს.
- წინწინდულა ახლა ჰადაა, გაადვილდა ცხოვრობა.
- ამწინაებზე მიველ მალაზიაში და სუძვირე იყო, ამწახანებაი გუეფებიან ყველაფერი.
- სიმწრისგან ოფლმა დამასხა,.
- უცბათ გაშპა დრო, ბაღნები დეიზარდენ
- ზარმა უკვე დეირეკა და ჯერ ესენი სახლიდანაც არ წასულან, რაღას აგვიანებენ. გობსაინაი მეიტაი, სხალი ლპება და გავთალო, ჰიში თუ არ ჩუედე, მათით არ გათლიან და არ შეჭამენ.
- ასჯერ დანამლა ფაროსანაები და სონი ბელქი დანყდებიან, თვარა კიტრსაც და ლობიასაც ყვავილი შუუჭამა და ნაყოფი აღარ მვისხა.
- მაგდენი ფქვილი რომ დიგიბექსტნია და დიგიტკეჰნია შამოტანა არ გინდა, გადმოგეჰნევა ემედენი.
- გუშინ ტირილში ვეხმარე, ჭამა ქონდენ და გედევალე, მუხლებში წყალი ჩიმიდვა.

- ნულარ მიყვები ჰეფიებს, შენი მოსატყვილებელი კპილი დიდი ხანია გამეცვალე, რაცხა სტორე დეილაპარიკე.
- საქმიმგონე კისრით ვარ დაკიდებული, ე რამბავი საქმეა ამ სახში, თან არც ჩანს განა.
- მე გასტავლეთ და გინდა შეისმინეთ, გინდა არა, ამას იქეთ კუდი ღილიას, გზა ბარაქას.
- გამოვდენ რომე აპინკინებული, სიცხიები აქვან, თიკოსაც და მის ბალანასაც, ერთი გავხედე, რომ ბალანა ჩემებნიდა ხელებში, გეთიშა, მძიურაი უყურებს და ვითომ აფერი, ანი ახლა რა ვქნა, დავაკიჟინე, მძიურაი ამბობს დავალევიებ წამალ და დუუნევს, არ შეეშინდა, უშიშარი ქალია გო, ისე გაზარდა ბიჭიც, გავაჩინე ყიამეთი და ისე მიხედავდა ბალანას. შენ რა გითხრას უუჟუნავ თბილის რომ იყავ წასული, ჩიყვი ამეიჭრანაო მითხრეს, ოპერაციანა გეიკეთოვო, ე რა ამბავია, გაჩინდა რაცხა დუნისთული ავატყოფოფები, სიმსივნეები, საჭმელიც დანამლულია, ვახტუნდა რო ძველები ფხალ და ჭად ჭამდა, იმიტომ იყვენ ჯამთელები. ეს რა კაი ჩირი გიგინბია გო,
- ციალამ ოპერაცია როის გეიკეტა, მაგა ცხიმი ქონდა დაგროვილი, ახლა ლამაზათ არიო, ექიმ უთქმია ჭრილობა კარგათ მოგირჩება და აფერი დეგემჩნევაო.
- წესიერი ლობიაი არ მქონდა შარშან, ერთი რაცხა ბაჯგაი ლობიაი მქონდა, ხინვაი დარჩა, წესიერაი ვერ გაარჩევიდი, არ იჭმებოდა.
- შარშან ვენახს გადავყე, თებერვალში რომ დევწყე გასხლა, თვლამდინ ხან წამლა, ხან მორწყვა, მარა ეტყობა კარგათ ვერ გავმარგლე ნამშხალი, ძალიან ბევრი ნაყარი ქონდა, ნახევარი მოსავალი არ მიმიღია. წელს გავჭრანა თლათ. მაიც სიმინდ დავთესავ და სიმინდ გავყიდი. ამდენი მოვლა მაიც არ უნდა.
- ახალციხიდან ვახტუნდა ფუშრუკა ყველებ ვყიდულობდით, ხან ხეხილში გვიცლიდენ. გორხოლო ყველი იყო, მარა ხაჭაპურში კაი იყო.



- წინნინ ზამთარში ღაზლი წინდებს ვიცვამდით, ნენემ ჭრელი წინდის ქსოვნაც იცოდა. მაშინ იყო ჯამთელობა უფრო. ჩვენ ღროს გათხვებისან ატანდენ გოგვებს, რაცხამდენიც იყვენ სახში იმდენი ცალი. რა კაი იყო. ერთათ მევეყრებოდით ახალი გენილები და ვართავდით მატყლ. საჩიჩელზე გაპენტილ მატყლს გაფჩიჩავდით და მერე ხერთალზე დავართავდით, ახლა ჰალადაა დართვა. ახლა ჰაზირ ნასკებს ვყიდულობთ. უწინდელი ზამთარიც არ არის, რომ შალის წინდები ჩიცვა.
- ადრე ბურღლის ბალიშებ ვკერავდით, ახლა გამეიგონეს სილოკონის ბალიშები, ვითამ ირეცხება, მარა ბურღლი ბალშებ მაიც რამე არ ჯობია.
- ახლანდელ ქორწილებს რა უნდა, ადრე სახლი-კარი ლელევენი ხდებოდა, ახლა დარბაზში მივლენ და ჰაზირზე დაჯდებიან, ორ დღეს დარბაზში სეირობენ, მერე წამეილებენ იმ საჭმელს და სახში აგძელებენ სეირობას, მარა ადრინდელ ქორწილს უფრო ქონდა გემო და ხალისი.
- გვარდაში ინახავდა ჩვენი მემთევერი ყველს და კარაქს. იმ ხის ჭურჭელში შენახული პროდუქტი უფრო გემრიელი იყო, ვიდრე ახლა პლასმასში შენახული. ის ხის ჭურჭელი ჰაერს სუნთქევდა და ალბად მაგიტომ, პლასმასში ჰაერი ჰადმეიდან არ შედის და იმიტომ არაა გემრიელი.
- ჩვენ ხელოვნების მასწავლებელი კინთით ქსოვას გვასწავლის, მას იმთვერი კაი რაცხაები აქ მოქსოვნილი, ყვავილები მომენონა მისი მოკინთული. ცოტა მეძნელა, მარა მაინცნა ვისწავლო.
- ტიპტიპებს და არი, ენას აღარ აჩერებს, ამდენი პარტყალი რათ უნდა და სულ ერთი და იგივე, ამასწინ ერთმა კაცმა რათში უყვირა, რომ შენ გარდა აქ თხუთმეტი კაცია და აღარ უნდა ამდენი ბარდღალიო. იმ დონემდე მივდენ, რომ რათი შოთვერმა გააჩერა და უთხრა ჩამოით ძიში და იქ არკვიეთ საქმიებო.
- ლემსში ძათი იმივე, ვერ ვხედავ, ერთი საათია ვუკირკიტებ და ვერ გუუყარე ყურწში.
- ე რამბავია, თვალეები აქ ახვევლი, ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურვილი, მარტო მაი ვერ ხდება, სხვამ ყველათვერი იცის მის გარდა.

- აჭარელი ქალი, ვინ გინდა ოჯახში მუუვდეს, ყველთვინ რაცხას დადგამს, ხელს არასდროს არ მეიჭამს.
- მაგის აკვანი ხომ არ გირწია, რალათ უნდა გადაყოლა.მაიც ისე იქცევა რაფერც უნდა.
- ამ პანა თავში რამხელა ტვინი აქ. მეგემ გუშინ აკრიფა ჩვენი ლაპარაკი, ევდა და ბებიაშის მუუყვა ყველაფერი.
- მოსათიბ ჭალაში შუუშვი ძროხები და ბაირამი აქვან, ვისნა მეეთიბა, ტყვილაი სიცხე ჩანვაუდა და ძროხები შუუშვი.
- ხალხი რა დღეშია და ის ბალბეა და ტყემალ ჭამს, ხებერი არ აქ.
- ინვალეფ ორი დღის სიცოცხლეში და ერთი გეიხედავ რომ გეიხედავ ფეხითითებში.
- გველინაკბენივინ მ,ახსოვს მისი სიტყვები, ტყვილაი ხომ არაა ნათქვამი, გველინაკბენი მალე მორჩება და ენით ნაკბენი თელი ცხოვრება გემახსოვრებაო.
- იმხელა ავარიანი მოხტა, თიდან მომავალი მანქანა ავალიაში მოხტა იმ წელს. ჭვანაში კაცს ორი ბალანა მუუკდა, ერთი ჩვილი ყავდენ 3 თვის და ერთზეც ფეხმძიმე იყო მისი ქალი, ის ორი ბალანა, რომლებიც დიდვანი იყვენ, მუუკდა კაცს, ის სამი თვის ბარანა ხის ტოტზე ჩამოკიდულიყო და გადარჩა, დღე მიწაში არ წაგყვებო მაგიტომ ამბობენ, რომელცხაზე ფეხმძიმე იყო, ისიც გაჩდა და ახლა ყავს ორი ბალანა, ორვეი ბიჭები, ის რომელცხაი მუუკდენ ტყუპები იყვენ, თან გოგვები. იმ წელწად კაცს წუყვანია ქალი-ბალანა და წასულა საბერძნეთში და ახლა იქ ცხოვრობენ, მაქ რომ დავჩე, ის დღე არნა დამავინწყდესო და წეიბარგა.
- იმფრათ ატეხილია, რომ კაი დღე არ უწერია მაგ საცოდვავს.
- ენის წვერზე მიდგას და ვერ ვიგონებ მის სახელს, კაც ჭადის სახელი დაავინწყდაო მე მჭირს.
- იმხელა ეშმაკია, რომ ვირს ხეზე გეიყვანს.
- რაცხა შენ დიმითვალე კბილები, მარა ზედმეტი არ მოგივდეს. ტილს ფეხზე დეისვამ და თავზე ავაო, მაგაზე სტორე რამე არაა.

- მანდარიანაი ვჭამე და მევენამლე, სიკდილი თვალით დევნახე, იმფერ ცუდათ ვიყავ.
- მალ-მალე ჩამოი, დედასავინ მიყვარს შენი თავი, მალ-მალე მომიძებნის თვალეზი, ნეტაი ჰაცხაიდან გიმიჩდებოდეს მეთქი, რამდენჯერ მინატრია შენი თავი.
- იმ დიდ მამალ თვალი დავადგი და ბელქი მომყიდოს, სახში ერთი მამალი კაია, დილას ოჯახში მამლი ყივილინა ისმოდეს. სოფელში იყო და მამალი არ გყავდეს, ჰა გაგონილა.
- არ მშია, მარა იმფერი ლამაზია რომ თვალი ჭამს და რაფერ გინდა არ გასინჯო და არ შეჭამო.
- ერთი მესტუმრეთ, რა იქნა, მოტეხეთ და ეშმაკს ფეხი.
- ისე ჩქარა დალია კოფე, გეგონება ჯეშტი აქ გამოკრული.
- პანახან დავკრიჭოთ კბილები ამ პანა სახში, ღმერთით სამომავლოდ გავარემონტებთ სახლს და იქ გადავალთ.
- ას ექვსი წლისაა ხარავლაში ამირანას დედამისი, ამასწინ რომ ეველ, მიხვეული იწვა.
- იახა დამარეკია, სირცხვილის რამე არ აქ. კი, ფული გინდა, მარა თლათ ასე არ შეიძლება, კაცმა ნიკორი არნა დეილო, იმ ქვეყნად ფარა არ წაგყვება კაცს, აჰ, აჰ მაგ კაცმა მე წელში გამტეხა.
- მე ნეტაი რაღას ვდერდოფ რამეს, ისეც ორი პარასკევი მაქ დარჩენილი, მარა უფროსი მქვია, მაიც ვფიქრობ ოჯახზე, გასაკეთებელი რამე არ დარჩეს, სხვაზე ნაკლები არ ქონდენ მათ, თვარა თუ არ გინდებიან, კუდი ღილიას გზა ბარაქას.
- ბაბას პირზე ფეხს ხომ არ დავადგამ, ჯერ მას დევეკითხები და ისე გადაწყვიტავ.
- საულვაშე მაფხანებს, ვინცხაი კაცი სტუმარი მუა დღეს.
- ბოლოს და ბოლოს მოჭარ საქმეს თავი, რაღას ახანხანებ. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო გაძნელდება მერე გადაწყვეტა.
- პირი ქვისკენ მიქნია, თქვენ ჯვარი გწერიათ და თვალეზის ანთება მაქ.
- წაი მომშორდი და ისეც სული კიბილით მიკავია, შენი აფირისტობის თავი არ მაქ.

- მეტი საქმე არ მაქ ახლა კიდევ უტკივარი თავი ვეტკინო.
- იმდენი საქმე მაქ თავი მოსათხანა\თ არ მცალია, ფუტი ამდის თავში.
- ხუთი წელია შვილი არ ყავან, ქვა წამლათ აქციეს, ორივემ, ცოლ-ქმარმა მარა ჯერ მაიც არ ეყოლენ
- ერთი წელია გადვიყვია ბაღნები გზაზე, ყვზას თვალი არ უჩანს.
- მან და მამამისი ერთ ხიდზე არიან გადასაკიდები. ერთი თუ თქვეს, რამე ვეღარ მიახტენ.
- იმდენი საქმე აქ ამ ფუტკრებს, გარედან ხორუმი ადვილია, ხალხ გონია, ეია ვარ გამხდარი ამ სკებით, შარშან 6 სკა დემევსო.
- ადრე მოშვი-გავარდი ქალი იყო, ხეს და ქვას ასკდებოდა, მარა ხანი მაიც მისასა შობა.
- რომ შეძრენ სახში ჭიტი, აღარ უქნიან გარში. ამ თურქებ ეშინიან ჩვენი თუ რა არი, არ ვიცო.
- ქვას ესმოდეს, ქვა და კილდემ გეიგონოს, გაზმა მეგემ შვილი კაცი გაგუდა, ე რა შამოვდა, ისე მეშინია მამ გაზის, რომ მე არც შევეყვან მაგა სახში.
- ქეშიში თმა აქ ბაბუამისივინ, ამფერი ქესაპეტაი თმა მამათილს ქონია და იმას დეემზგავსა. კუჭკუჭი და ქეშიში.
- გურამას ბიჭს გუშინ ქართველი გოგო მუუპარია და ჩამუყვანია.
- ჩიე-ამიეის ვუყურებდი იმათ სახ, მარა რათ გინდა, ჭაჭანება არ იყო ვინმესი. წეიბარგენ ბათუმ, პირი ქალაქისკენ ქნეს და სოფელი ეჩვენებთან. იმხელა დვარეცი სახლის დატევა პანაი საქმე არ არის.
- ადრე ბიშებ ვაცხოვდით სობაზე, მერე სინორს ვჭრიდით და სტუმრისთვინ ვინახევდით, ახლა ჰაზირი იყიდება ისიც, მარა იმ ხელით გაყვანილს და გამომცხვარს, მაიც სხვა გემო აქ. რომ დავწინინდებოდი, ჩქარ-ჩქარა გამყავდა ბიში იუხაზე, 5 წუთში გვევლებდი ერთი ათი ცალ ბიშს.

- ე რა მწარეა გო. დევჩე, წყალი მომიტაით, გადავაკაფიო.
- გუშინ მთელი დღე სახლში ვბრუნავდი, ხან ესაო, ხან ისაო, მიღმა მინდოდა გადასლა და ძვილაი გევეტიე სახლიდან.
- ამდენი ქვა ჰაიდან ჩდება, გეგონება ვინცხაი თესავს ამ ქვას ამ ვენახში, ყველა წელწად ვფოცხავთ, მარა არ ილევა, ზეიდან დიდი ქვიანი ყორეა მომდგარი და იქიდან ცვივა.
- გუშინ ნუგზარას 50 წლისთავი ქონდა დაბადებიდან ეს ბიჭები. ისე დამთრალან, რომ დედა ენა დავიწყიან.
- შარშანდელმა სათბურის ჰამინდორმა ზარალში ჩამაგდო, ვითომ საბაზროთ დავეე და არ მეისხა.
- ვეფერს ვერ ხედავს, თვალეებზე ნისლი აქ გადაკრული. ეს რა ამბავია, გეგონება რაც არის მისი შვილია.
- ხელი-ხელს ჩავკიდევით და ისე წევდოდით სკოლაში.
- დიდად გულზე არ მეხატება, მარა რამეს ხომ ვერ ვეტყვი. მერე ნახე აფეთქება მისი. ჯობია ენეს კბილი დავაჭირო.
- რაო, ჩავივარდა კოვზი ნაცარში, არ დარჩა შენებური?
- ერთი რაფერ ატლიკინებს იმ ენას, მუაძრონა ის გძელი ენა და ნახავს მერე რაფერ უნდა ენის წაგძელება.
- ქალს პირიდან თაფლი გადმოდის. იმფერი სიმწარე ჭამა, იმფერი რაცხა გუუკეთა მისმა კარის მეზობელმა, მარა ენას ცუდს არ ალაპარიკებს.
- ბებო თქვენთვინ პირიდან ლუკმას გამეველებ და თქვენ მოგცემთ, თქვენთვინ სული არ შემებრალება.
- რაის ჭამა მინდა ახლა მე, გულზე ცეცხლი მაქ შენთილი.
- ბაღნებს და მოხუცებს ჩიტის გული აქვან, ერთნაირათ წყენან და ერთნაირათ უხარიან.

- ჯიფიებში ხელების ჩანცობით რამე არ გამოუა, მასე რომ იყოს მეც ჩევენყობდი ჯიფიებში ხელებს, მარა მე თუ არ გავანძრიე ხელ - ფეხი, საჭმელი პირში ვინმემ არ ჩიმიღვა.
- ი რა სიცხვილი ვჭამე, არ ვიკადრე განა, ნეტაი მიწა გამხეთქოდა და შით ჩევეტანე თან.
- აფერი არ უშავან, ბალნები არიან, ახლა მაგათ სისხლი უდუღო. არც ცივან და ვერც შიმშილ ხდებიან, ითამაშონ და იყონ.
- რათერ არ ვარგა ყვავის დაჩხავლება დღეით და ბუს წივილი ღამე. ცუდის ნიშანია, ვინცხაი ახლობელი მოგიკდება.
- ინსანს შეხედავ მაშინათველთაი მიხტები ვინაა. ნათქვამია ამომავალ მზეს თავიდან ეტყობაო.
- იმფერი კუპენები არიან, მზე იყონ არ შავანათებენ.
- ძალიან გაჭირვებულზე მუუცია გოგო და ახლა ერთი ხელი მისკენ აქ, რომ წავა პროდუქტსაც ეს ყიდულობს და მიაქ.
- ე რაა, ჩუსტები ერთი ალთას გდია, მეორე ბალთას. მიანწყეთ ერთად და ეყაროს.
- თუთუნი გაეფებულა, წელს ხომ არა ვარ დამგველი, რაცხა თუ მეიყვია, ისიც ყუნწინა გამოაძრო, დაჭრა, მოხალო და ისე ჩააბარო, თან კაპიკებში. ადრე რა კაი იყო. ყველას ერთათ დავბასხავდით და ერთათ გავატანდით.
- შაი და ხის ლათერაი შამოიტაი, ძესნა მუურიო.
- რათერი ბილია ე სილიკონი ბალიშები, მარა ირეცხება და კაია.
- რამოდენიმე შლანგებია, სოფელ პატრონი არ ყავს, ყრია და წყალი ვერ ჩამუყვანიან.
- ილიამ იმდენი ქონება დააგროვა, რომ მისმა შთამომავლებმა დიდხანს და კარგათ იყვენ.
- შარშან მოსავალო რათერ მოვდა მიკვირს. ყურალები იყო და წყალი არ იყო, რომ მოგვერწყა.

- ნენეი სანამ ცოცხალი იყო, ყველ დღე მანონ ვუზიდევდი, მარა რაც ნენეი აღარაა, ბარსამი ხანია რამე არალ მიმიტანია.
- წელს იმდენი კარაქი შავადრალე ბორნის კეთებას, რომ არ ვიცი. ბორანის გაკეთება ზარალია და.
- მე რომ ცოცხალ არ ვიყო, ვესიეთ გიტევ, რომ დაბლა ყანი ბოლო გააჭალავე. იმა მოხნა არ უნდა, ხობიებს შუეშვებ და იდარეს იზამენ.
- რომ მიველ მამუდასთან, ორმა პრატებმა დაფაცურდენ. ისე ზოვლი უხტებოდენ ფრიალი, რომ ჰამან ბიჭი რომ მყოლოდა დასაქორწილებელი ერთს ვითხოვებდი. ნამეტარი მომენონენ.
- თქვენ სკოლაში რამე მუსიკა არაა, რომ ჩეენეროთ? ნახე ტელევიზორ შეხედე. სამი კაცი ერთ პიანინოზე უკრავენ.
- ზამთარი რაჰათია და. გამუა ახლა გამოსული, დევესობით ყანაში და დაზამთრებამდე ყანაში ვართ.
- დედეს ნაცეკვი ყოლსამა მახსოვს. მე მაშინ ბალვი ვიყავ, მარა ი რომ დატრიალდებოდა, ე რა კაი იყო ი დრო. რამითი კაცი აღარაა ამ ქვეყანას.
- გუშინ რომ ავაირიაი მოხტა, ცხრა აღამიანი არიან დაშავებული. ღმერთმა საბრი მიცეს მათ ოჯახებს.
- ვახტი, საათი არ ათავებულა.
- გომის თაზე სახლები თლიანათ იყვინტება სახლები, მარა მაისამდე თლათ შრება და მერე მიდიან მემეთევერები.
- იახა დამარეკია, იმ კაცმა ისე მეიქცა
- თოვლმა ჩამოვდა სერიებზე. ამელამ ყირავი იქნება.
- თანისთან თოხნე ბახჩა, თვარა ერთად მოგეყრება ყველაფერი მერე.
- რა მეცოდება, გოგო თოფლობით მიდიოდა.
- უჩუმარაი გამეგვარე სახლიდან.

- აგზე გუდუხუხტა ძროხამ და ძუძუ გეიფრინა.~
- აგზე რათ უნდა ბარგს დაყრა, იგზე ვერ დაანყე?
- მომდვა კისერში ხელი და ცეპი შამანყვიტა. ვერ გუუძლო რომ კისერში ვაჟინულილებდი.
- მეგემ სამი თვის ბალანა ჩამოკიდებულა ხის ტოტზე და გადარჩენილა.
- მერაბავ ტირილში არ წევდეთ?
- ფატყუმავ ამელამ აქ დავჩეთ და ხვალ წევდეთ.
- წუხელ 40 გრადუსი სიცხე ქონდა, მერე დავაყარე წამლები და ბოლოს იმხელა ოფლმა დაასხა, რომ ოფლში ცურავდა.
- გუუთიონა კიდევ და რანა ქნა აბა.
- იქში იქნება ჩაყრილი და ერთმანებში იქნება არეული.
- აქშინა იყოს შენახული.
- მეგემ დუუნყევლია მამას შვილი და ველარ გუუხარია.
- მეგემ რუსი ქალი მუუყვანია, მარა აჭარელს გუუსტრო ოჯახის ქალობაში.
- მისი მამის სიკდილმა გაანადგურა კაცი.
- 

**გიორგი მოსიძე, 75 წლის,**

**სოფ.მოსიაშვილების მკვიდრი, განათლება-საშუალო**

ახალდაბაში ი მომკდარა, ამისი ბიბისი კაცი, ეიდა ველარ წევდით ბათუმ, ბათუმიდან ხვალ კიდვენ ამოსლას, აღარ წევდით და ჰაიდე, გუშინდელი ბაღნები ხომ არ ვართ, ჩაი და ხვალ კიდვენ ამოი, პანახან ჩავალთ, ზამირაი მარტვაია, მევსაქმებთ პანას და მერე უკან ამუალთ, კარალოკებიც მოსაკრეფია, ამდენი ჰანა წევდეს არ ვიცი, ოფტომ ასხია.

რა გაჩინდა ამფერი გო, იმდენი არიან, რომ შემოსევლი არიან, ჰაიდან მოვდენ, გერჩექ ებბედი არ ყოფილან ჩვენთან, ზედასართულის პალკონზე ადილაი მქონდა დაკეცილი და იქ ძალიან ბევრი იყო.



მამაჩემმა დამაქორწინლა მეჩვიდმეტე წელში ვიყავ, სოფელ გეგელიძიებიდან, მე არ მომიყვანია, უწინდელი დრო იყო, არ ვიცოდი ამი თავი. ანა-ბაბამ მომიყვანეს დოდოთული სახში, წინწინ დანახვა არ იყო, ელჩობიით გაკეთდებოდა, ეიდა ამფრათ დავსახდი. მაშინ ყველაზე კაი მაშინაი იყო ვოლგა და იმით მომიყვანეს მე ახში ქალი. აბა, ვოლგით მევეყვანევი მე ქალი. მე არც წიმიყვანეს მოსაყვანლაი, ვინცხას მოგიყვანთ ის მიიღეო და მომიყვანეს დოდოთული.

მაშინდელ დროში ბალნების გაზდა არ იყო ადვილი.ტითო იშტონი და თითო კაბა ქონდენ. ქალი თუთუნში წევდოდა საკრეფელაი, მე ბალნებს ვარწობდი.

მე ცხმორისის საშვალო სკოლაში ვსწავლობდი, ათ კლასიანი იყო მაშინ სტავლა. ჰოდა ამფერი ცხოვრობა იყო მაშინ.

ომი დრო რასკალა მახსოვს. მე 1940 წელს დევბადე. ომი რომ დამთავდა მე მაშინ ხუთი წლის ვყავი. ლანდათ მახსოვს, რომ ხანდებან ჭადი არ იყო გვეჭამა, ყველი არ იყო მიგვეყოლებია, ნენეი რაცხა მეიცოდვილებდა, ჭადს გამუაცხობდა, მერე იმას წათხში ამუალვლებდა და იმფრათ გვაჭმევდა. წინწინ ჰად იყო ამდენეთი ურბები, ახლა ჰა წევლო არ ვიცი.მაშინ ვინათხვედებდი და თუ იმფერ ადგილზე მივდოდი მაშინ წათხვედ ვიცვამდი. აჯათ გავცვითონა თუ, იმდენი რაცხაები მაქ შიფანერკაში.

ჩვენ მოსიაშვილებში ორსართულიანი სახლი გვექონდა. ახლა რომ კუხნაა, იმას სარძიე ერქვა, ილლა ბევრი საქონელი გვეყავდა. ოცდახუთი სული და სარძიე იყო მთავარი ოდა. ჩემი ნენეი რიმ ყველი ჭიპას ამეილებდა, ი რა გემრიელი იყო, იმ ცხელ-ცხელ ჭიპას დავძლიძავდით ბალნები, ერთჯერ ცხელ შრატმა ხახა დამწვა.

ჩვენ დროსაც იყო სადილი მიტანა. ზურბიეთიან ბაქლაავას გაატანდენ დიდი ალუმინის ქვაბებით, გზითვად მიქონდენ: სკამეიკები, შიფანერკები, სერვანტი, კრავოტი. ჩემს ქალსაც მუუტანა მისმა ბაბამ.შენი დედეს ოზოში გედევხადეთ ქორწილი. ჰად იყო მაშინ ჩადრი, პრიზენტი, გარეთ ოზოში ხის სტოლები და სკამეიკები გაშალეს და ჰაიდა, წევდა გუგუნი.

ერთი ბოდოყრო ძალი მყავს

ჭკვა არ ქონია როისმე,  
თავშალაით ოდა დაგავა,  
ცოცხი ვერ მეიგონაო,  
ბუხრიწინ ცომი მოზილა,  
გობი ვერ მეიგონაო  
კედელზე პური დააკრა,  
კეცი ვერ მეიგონაო,  
საცერი კეც დაახურა,  
საჯი ვერ მეიგონაო,  
ვახშამი ძირში დაანყო,  
სუფრა ვერ მეიგონაო,  
ამისთანა ძალის ხელში  
რა ჭკვანა მეიფიქრო,  
ჩემი სახლი წინ არ წევდა,  
სულ მიხობავს უკან-უკან,  
შევხედე და შემომხედა  
რეტმა დამატრიალაო.  
სხვა ლოცვები და ლექსები ჩემ ქალ კითხე.

თამარა მოსიძე, 78 წლის,  
სოფ.მოსიაშვილების მკვიდრი,  
გამოთხოვილი გეგელიძებიდან,  
განათლება საშუალო

გამჩენლო, გენაცვალე  
გამჩენლო, გენაცვალე,

შენ ნაბრძანებ ქვეყანაში,  
რადგან ვერვინ შეგერევა  
ამ ხალხის გაშენებაში.  
დაილოცოს ღმერთო შენი,  
სასტორი და სამართალი,  
გააჩინე ცა-ქვეყანა,  
ქვეშ დაუდგი მთა და ბარი,  
ცა უხაშროთ დააყენე,  
სულ არ მიე დასამაგრი,,  
აქ მასკლავები აღმართე  
ბნელი ღამის სანათებლათ.

## **ლოცვები**

### **შაკიკის:**

ვინ იძახდა?- მე ვიძახდი; რას იძახდი?- ცოცხ ვიძახდი; ცოცხი რათ გინდა? - დარაბას  
გადმოვგვი; დარაბა რათ გინდა? - ყაჭაბრეშუმ ჩამოვექსელავ; ბურთი ბურთევედა, ბოროტ  
მოხტა თვალში, გაახტა ჭიშკარში, ჩაკრიტა სამი სამყური, ფალანი და ფილანი,  
გადავკრიფე, გადაცვინდა, გადმოვკრიფე გადმოცვინდა.

### **დამტკეცილის:**

კატამ ხორცი ტრედ მისა, ტრედმა ქარს მისა, ქარმა ზღვას მისა, მიაბრუნა, მუაბრუნა, ცულის პირის მონაჭარი, ცულის ტარათ ერგებოდა და ჩემი პირით ნალოცი, დამტკეცილსა ერგებოდა.

#### **თვალის ცემის:**

აღისა, მალისა, თვალი მეცა ადგილასა, შინავრისა, გარეველისა, მიღმასი, მოღმასი, ქალისა, კაცისა, თეთრისა, თეთრფერვანისა, შავისა, შავფერვანისა, შუულოცოთ, თვალმცემელ თვალბარკალი მიეღება.

**მთქმელი: ნათელა მახარაძე**  
**სოფ. ხარაულის მკვიდრი, 51 წლის**  
**განათლება - ფილოლოგი**

#### **ცრუ რწმენები**

- ახალ წელზე პირველად უხმარი ურბანა ჩეიცვა, რომ იმ წელში ახლების ყიდვა დეგებედოსო.
- ახალ წელზე პირველად ბრინჯინა გაარჩიო, რომ შენი საქმე ყველგან გარჩევლი გქონდესო.
- ახორში ახალ წელზე პირველად ქალმანა შევდეს, რომ დეკეულები დეებედოსო.
- ახალ წელზე პირველად ახორში რომ შეხვალ, საქონელს ბაგაზე ჯაჭვინა მუუტარო, რომ იმ ჯაჭვივით ერთმანეთზე მიკედლებული იქნებიანო.
- ახალი წლის მერე პირველად ქორს რომ დეინახავ ძაფინა გამოკოჭო და შუულოცონა. „ქორო, ჩემი ქათმებისკენ რომ წამოხვალ შენი ფრთები და ფეხები ამ ძაფივით გამოგეკოჭოსო“ მერე ეს ძაფი საცხან უნდა შეინახო და იმ წელში ქორი ქათამს ველარ წეიღებსო.

- ახალ წელს წინ ღამით ხურდა ფულს შეინახავენ გარეთ ყორეში. ახალ წელზე ეს ფული ახალგაზრდა ბიჭმა წელიდან ჭიქაშინა ჩაყაროს, სახლში შეიტანოს გადმოაპირქვავოს და თქვასნა: „ღმერთო, ამ წელში ამ წყალივით აღინე ფული და ოჯახში ბერექეთი მოგვეციო“.
- ხობო რომ დეიბადება, პირში პურინა გამუუსვა, რომ პურვით წინ წამოვდესო.
- ხობოს თუ წმინდა ბუკი აქ, იტყვიან, მომდევნო ხობო დეკნაი იქნებაო, თუ ფათაშია ბუკი აქ, მაშინ მოზვერიო.
- ახორიდან დეკველი არ გეიყიდება, რომ ხელი წაყვებაო.
- ძროხას რომ გაყიდი, ბანალი წინნა წააგლიჯო, რომ შენმა საქონელმა წინ წამოვდესო.
- ზამთრის მერე საქონელს ოთხშაბათ არ გამუუშვებენ-ოთხფეხი წაადგებაო.
- საქონელს რომ თაზე გადენი, სახლიდან წაღებული ჯოხი უკანნა მიიტანო, რომ საქონელმა სახლში ლამაზად დაბრუნდენო.
- საქონელს რომ თაზე გადენი, იმ დღეს ვინმეს რამე არნა მისცე, რომ არ დეიკარგონო.
- შვიდ სუფრას რომ დიესტრა, შვიდი ლუკმანა შეჭამო, რომ საჭმელი დაგწყველისო.
- კაცი რომ შაგაზმორებს, შეაფურთხონა, რომ ცოდვებს გაყრისო.
- კაცი რომ ჯარში ან შორ გზაზე წავა, ტაკობზე ლურსმანინა მიაჭედო და ქვანა შეპეჭო, რომ იმ რკინასავინ და ქვასავინ უვნებელაი მივდესო.
- ცოცხალი ქათამი ვინმეზე არ მიიციემა, რომ ხელი წაყვებაო.
- მამალი რომ ბალკონიდან დეიყივლებს, სტუმარსნა ელოდეთ.
- ქათამს რომ ტურა წეილებს, რამე არნა თქვა, რომ ორფეხის ყეზა მიაქო.
- ოთხშაბათ ბოსტანში არ იმუშავება, რომ ყანაში ოთხფეხი არ გამოგელევაო.
- ბოსტნის ღობეზე პირპილი, კვერცხის ნაჭუჭი და ასკილინა დაკიდო, ბოსტანს თვალი არ ეცემაო.

- ახალ წელზე ვინცხაი რომ მოვა, დუუუდომელი არნა გუუშვა, რომ კროხი არ დაუდება ბუჯერზეო.
- კდარს რომ დაბანვენ და წყალი დარჩება, იმით პირინა დეიბანო, რამიდან აღარ შეგეშინდებაო.
- კდრის ქვეს უშვილოს გაანურიებენ შვილი გაუჩინდებაო.
- კატას რომ თვალეხი დუუნვითდება, ავიდარი მოახლოებული არისო.
- ორ ქორწილს ერთად არ იზამენ, ან ერთი იხეირებს და ან მეორეო.
- უორმოცო ბაღვთან ცეცხლზე მუუვლელი არ შევლიან, რომ უუმური არ აყვესო.
- უორმოცო ნანველი ვინმეზე არ მიიცემა, რომ ძროხა გაშრებაო.
- შორი გზიდან რომ მოხვალ, ბაგაზენა დაუდე, რომ არ გიხამოსო.
- ტირილიდან რომ მოხვალ, გუერეცხელი ჩევრე სახლში არდა შეიტანო-ტირილი დეგებდებაო.
- ვარდ ფეხი არნა დააბიჯო, რომ ჯერნეთის ყვავილია და ცოდვააო.

### **დალოცვები**

- მუბაარეჟმა წყლის სიჯამთელე მოგცეს და იმისავეთ წინ წამოგიყვანოს.
- იარებმა იგიყვავა მაი ხელები და ჯენნეთის ყვავილები გაკრეფია.
- ღმერთმა ასი წელი გაცოცხლა და ბადიშის ბადიში მოგასტრა.
- რაცხას იცოცხლებ, ღმერთმა სასახელოდ გამცხოვრა ამ დუნიაზე.
- გამჩენელმა ღმერთმა, ანავ, ეს ქვეყანა წყარო წყალივინ შავარგონ
- ჩვენ თუ ვერ დაგლოცეთ, ღმართმა და ევლიებმა (ანგელოზებმა) დაგლოცონ

### **წყევლები**

- დიდმა დოვლეთმა საავატყოფოში დაგალპო.
- მუბაარეჟმა ეს ქვეყენა განატრა
- ღმერთმა იმ დუნის ყათლანში გადულოს, ამ დუნის კი, ძალღებმა შენი ნამსხმანი ხრან.

- ვინცხამ ჩემი ხაპები მომპარა იმხელვანი ზღმურტლები დააყარა მის ნამსხმანზე.
- ღმერთმა ღებებიდან თავი არ აგანწევია.
- ღმერთმა ყურშუმივით დაგამგვალა.
- ღმერთმა საყელიმთ იმას გუუპარა მისი სული , რეზინაი აღეჭია საჭმლის იერზე და შორვა ანატრა გამჩენელმა.

### ანდაზები

- ხათრიანი კაცი ჯერნეთში ვერ შევაო.
- დავლის ხმა შორ წევაო.
- ვირს ზეციდან ნურმა ჩამუუვდა , ვირმა ახორში შაასტრო.
- გეიარ, ქვას დადებ, გამეიარ, დაგხდებაო.
- დუნია იქცეოდა და შეითანს ხორუმი ქონდაო.
- მუცელი მარტვაი ლობიასთვინ არააო.
- ფეხი იმხელანა გაშალო, რამხელა საბანიცააო.მცოდნე კაცი ყველგან ვაციო.
- კდარმა გეიღვიძაო.
- უყანაეთობამ ზღვა დააშრო.
- ბაგა არ მუა ზროხასთან.
- ზარმაცი სალამოს გაიგიოთლება (ამუშავდება).
- 

### გამოცანები

- ოთხი კაცი სახლს აშენებს, ერთი კრუგომ უარება (წინდის ჩხირები)
- აღმა ევფურტნე, ცხვირზე მომხტა, თავდაღმა ნიკაპზე (მწარე სიტყვა).
- ერთი პანაი მაზლალაია, ყოლინფერი შით შედისო (ყური).
- გამყიდველს უხარია, მყიდველს წყენს, პატრონმა არ იცის, რა არის (კუბო)
- ეს ქვეყანა რაც დაარსდა, ცოცხალია და ჯერ ერთი თვისაც არ არის (მთვარე).
- ერთი პანაი ბუჯერი, ყველაი იმას უჯერის (საათი).
- შავ კუბოში თეთრი დოდოფალი წევს (მზესუმზირა).

- ხელში მიკავია, სახლზე დიდია (ხაჭა).
- თავი ცეცხლში, კუდი ზღვაში (ლამპის ფითილი).
- ოთხი ყათი ფორკა მაცვია, თავშეხვევლი აღმა გავბი (ნამყენი);
- მეზერში ჩავფალ და ათ დღის მემრენ ამოშპა (თესლეულობა);
- სხვას აჭმევს და მან კი არა (კოვზი)
- პანაზე დიდი, დიდზე უმფო დიდი, დიდზე უმფო პანაი, პანაზე პანაი ( ხელის თითები)
- ლოჯეში (კედელში) ერთი ფულურო, შიან ცეცხლი დავაგუგუნე (ბუხარი)
- ერთ მინდორზე ორი გველი წევს (წარბები).
- ერთ ჯამეს კრუგომ ვუარე და კარი ვერ ვნახე (კვერცხი).

### **იდიომები**

- ე რამდენ ჭამ გო, დღე ქილარი გამუალაგე და საყელო ჩამეგრეკე, იმდონი ჭურჭელი დავრეცხე, ქორწილი გეგონებოდა.
- ბუკი მეიბაი, ქერი ამოგივა მაგ პირზე.
- მაგ კბილებ ხელისგულზე დიგინცობ, ნულარ ესკმები. პოლი მობესე ჩქარა, ჯაზი ფეხს მეიტეხს.
- ცხვირი გააშვირა და ორი წელია აღარ უვლია ჩემთან.
- რა იბრეტი ხარ გენილო, გწყენს, არ გწყენს შუბლი გახსნილი გაქ, ღმერთმა შენფერი ფათფათაი ძალი შაგახვედრა.



ზვიად არძენაძე, 47 წლის,  
სოფ. დანდალოს მკვიდრი,  
განათლება - ფიზიკური აღზრდის პედაგოგი

### დანდალოს ტოპონიმები

დაფენილი - ადგილია თავდაღმართი და დაფენილებს უძახიან;

ყალივაკე - ეს ადგილი არის დანდალო თავში, იქ ყიშლებია. ადრე იქ ციხე ყოფილა, ყალე თურქულად ციხეს ქვია, ალბათ იქ ციხე იდგა ადრე. ადგილიც ვაკე ადგილია და დეერქვა ყალივაკე;

კიბია კილდე - კილდეზე ასასვლელი კიბიებივითაა და კიბიაკილდე ქვია ადგილს.

დაფენილი წყალი, წალან რომ დაფენილი ადგილი გითხარი იქ არის წყალიც და იმ ადგილს დიერქვა დაფენილი წყალი.

ტბები არის, საწუმბეც

კარჩოვკაცაა, რაცხა რუსებიდანაა შემორჩენილი,

საბრაგუნა - არის ადგილი სადაც ბევრი ჭალებია და ხალხი იქ ბევრს ებრაგუნებოდა ანუ მუშაობდა და დაარქვეს საბრაგუნა.

ლეკიძირიცაა, თივნაც, მოცვნარიც, სათემოც, ბორსელათიც, არძენაშვილებიც, კინტაურებიც, ოტოლაძიებიც, ჯანივრიც, ყარსლებიც, კიროვიც, ნაკალევიც, სირთელებიც, ხრანცალელიც, ხელთაშუალებიც, ბაყათავრიც, არდანებიც. ეს მე რაც ვიცი.